ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი

№ 10, ოქტომბერი

Journal of Young Researchers

№ 10, October

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2021

ISSN: 2346-7754

ს ა რ ჩ ე ვ ი

ლევან ალფაიძე

ურბანული ეკოსისტემების სერვისები – ურბანული პარკებისა და საქალაქო სასაფლაოების მწვანე საფარის პოტენციალი (თბილისის ორი პარკის და ვაკის სასაფლაოს მაგალითზე)

რეზიუმე

მსხვილ ქალაქებში, მწვანე სივრცეების, პარკებისა და ზოგადად, ურბანული მწვანე ინფრასტრუქტურის სასიკეთო დანიშნულება საყოველთაოდ არის ცნობილი. ხეები ჰაერიდან შთანთქამენ მავნე აირებს, დადებით გავლენას ახდნენ ქალაქებში ტემპერატურის რეგულაციაზე, ხელს უწყობენ ქალაქში ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას. თუმცა კითხვები, თუ რამდენად სასარგებლოა პარკები და მწვანე სივრცეები ქალაქისათვის, რა მოცულობისა თუ ღირებულების სერვისებზეა საუბარი, კვლავ კითხვებად რჩება.

კვლევის მიზანი გახლდათ გაგვერკვია თუ რა მოცულობისა ეკოსისტემების სერვისებს აძლევენ საქალაქო პარკების და სასაფლაოების ხე-მცენარეები ქალაქს და შეგვეფასებინა ამ სერვისების როლი, ქალაქის გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

2018 წლის ზაფხულში და 2021 წლის შემოდგომაზე, ჩატარდა თბილისის ორი პარკის და ვაკის სასაფლაოს ხე-მცენარეულის კვლევები. კვლევის დროს გამოყენებულ იქნა აშშ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო სააგენტოს მეთოდები: მოდელირების პლატფორმები, i-Tree Eco-ს და i-Tree Canopy-ის.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ქალაქის პარკების („წითელი ბაღი“ და „ექსპო-ჯორჯიას პარკი“) და ვაკის სასაფლაოს მცენარეული, ქალაქს რამდენიმე მნიშვნელოვან ეკოლოგიურ სერვისს სთავაზობენ. ისინი ყოველწლიურად, ატმოსფერული ჰაერიდან შთანთქავენ დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგს: 4.6 ტ-ს „ექსპო ჯორჯიას პარკში“, 4.7 ტ-ს - „წითელი ბაღში“ და 34.23 ტ-ს (ვაკის სასაფლაოს მწვანე საფარი); ხეები ბოჭკოვან სხეულში აგროვებენ ნახშირბადს: 198.4 ტ-ს („ექსპო ჯორჯია“), 126.5 ტ-ს („წითელი ბაღი“) და 859.65 ტ-ს (ვაკის სასაფლაო); წლის განმავლობაში, ჰაერიდან შთანთქავენ დიდი რაოდენობით მავნე აირებსა და მცირე ნაწილაკებს (CO, NO2, O3, SO2, PM2.5 და PM10) - 119.6 კგ („ექსპო ჯორჯიას პარკი“), 90.3 კგ („წითელი ბაღი“) და 961.27 კგ (ვაკის სასაფლაოს ხეები).

მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა რომ თბილისის პარკებისა და სასაფლაოების მცენარეულის, ეკოსისტემური სერვისების პოტენციალი დიდია და მათი ჯამური ღირებულება, დღეს არსებული მსოფლიო ფასების და შეფასების მეთოდოლოგიების გათვალისწინებით, წელიწადში $ 10 მილიონ აშშ დოლარს აღემატება, რაც საყურადღებოა ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკის ინფორმირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ურბანული; პარკი; ეკოსისტემები; სერვისები; სასაფლაო; i-Tree Eco; მწვანე ინფრასტრუქტურა

Abstract

The beneficial features of green spaces, urban parks and generally, of green infrastructure in big cities, is well acknowledged. Trees absorb pollutants from the air, affect the temperature regulation, support biodiversity and maintain the ecological equilibrium in urban areas. Nevertheless, the questions of how beneficial are the parks and green spaces and what are the volumes of ecosystem services, provided by urban parks, are still partially answered.

The aim of our study was to find out what types of ecosystem services do the urban parks and green cover of urban cemeteries provide to the city; evaluate those services, and identify the roles, the ecosystem services play, in the improvement of environmental and ecological status of the city.

The study of two urban parks and one cemetery, in Tbilisi had been conducted in 2018 and 2021, using the modelling platforms i-Tree Eco and i-Tree Canopy of USDA federal Forest Service.

The research revealed that the green infrastructure of two urban parks of Tbilisi ("Red park" and "Expo Georgia" park) and the Vake cemetery, provide city with number of important ecosystem cervices. Annually, those green spaces sequester big amounts of carbon from the atmosphere (4.6 tons in "Expo Georgia" park, 4.7 tons – in "Red park" and 34.23 tons at Vake cemetery); store carbon in the woody tissue of trees (126.5 t in "Red park", 198.4 t in "Expo Georgia" park and 859 t at Vake cemetery); absorb big amounts of various pollutants and particulates from the air (CO, NO2, O3, SO2, PM2.5 and PM10) - 119.6 kg ("Expo Georgia" park), 90.3 kg ("Red park") and 961.27 kg ("Vake cemetery").

Study results showed that the green infrastructure of Tbilisi parks and cemeteries have an essential potential of ecosystem services and their aggregated value exceeds $ 10 million US, what underlines the role, the ecosystem services should play in urban planning and in informing various urban policies.

Keywords: Urban; parks; ecosystems; services; cemetery; i-Tree Eco; green infrastructure.

შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე ინტენსიური ურბანიზაციის პროცესის მიერ წარმოქმნილი პრობლემები, მასშტაბური და მრავალფეროვანია. გასულ საუკუნეში, სოფლების ასობით მილიონი მცხოვრების ქალაქებში გადასახლებამ, უკეთესი სამუშაოსა და შემოსავლის ძიებაში, ქალაქებში უამრავი ახალი შესაძლებლობა და პრობლემა წარმოშვა. დღეს, ურბანიზაციის შედეგების დახასიათებისას ჩვეულებრივი ამბავია საუბარი სიღარიბეზე, არაფორმალურ დასახლებებზე, გარემოს დაბინძურებასა და ჯანმრთელობის პრობლემებზე (Agarwal et al. 2018). ბევრი ქალაქი განიცდის ეკოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც პირდაპირ არიან კავშირში რესურსების არარაციონალურ გამოყენებასთან, მიწათსარგებლობისა და ურბანული დაგეგმარების შეცდომებთან, სატრანსპორტო სისტემების გაუმართაობასთან, ნარჩენების გატანა-გადამუშავების სირთულის და საცხოვრისის ნაკლებობის საკითხებთან, რომლებიც ქალაქებში იწვევენ საცხოვრებელი გარემოს გაუარესებას და ხიფათის წინაშე აყენებენ ქალაქების მდგრად განვითარებას (Seto, Parnell and Elmqvist, 2013).

ქალაქები, დღეს, ალბათ ყველაზე მეტად მოწყვლადი ეკოსისტემებია დედამიწაზე, როდესაც საუბარი შეეხება ჯანმრთელობის, კლიმატის ცვლილების, სრულყოფილი კვების თუ სუფთა სასმელი წყლით მომარაგების პრობლემებს (Solecki et al. 2013). ბევრგან, ურბანული საზოგადოების განვითარების პრობლემური საკითხები მჭიდროდ უკავშირდებიან საცხოვრებელი გარემოსა და ეკოსისტემების დეგრადაციით გამოწვეულ შედეგებს. ამ პრობლემების წარმოშობის მიზეზებს კი დიდწილად წარმოადგენენ რესურსების დიდი რაოდენობების მოხმარება, სხვადასხვა ტიპის ურბანული ემისიები და გარემოს დაბინძურება (Prashant, 2021).

ამ პირობების გათვალისიწინებით, დღეს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალაქებისა და მათთან ახლომდებარე ბუნებრივ კომპლექსების ეკოსისტემების კვლევებს. სწორედ ურბანული და სუბ-ურბანული ეკოსისტემები აწვდიან ქალაქებს სხავადასხვა სახის მარეგულირებელ,

უზრუნველყოფის, კულტურულ და გარემოსდაცვით სერვისებს, როგორებიცაა წყლით მომარაგება, ჰაერის გასუფთავება, ტემპერატურის რეგულირება, ჰაბიტატების ფუნქციონირება და შენარჩუნება, ქალაქის მცხოვრებლებისთვის სარეკრეაციო და ესთეტიკური სივრცეების შექმნა (Szkop, 2016), რაც საბოლოოდ, ქალაქებში კომფორტული და მდგრადი საცხოვრებელი გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

ლიტერატურის მიმოხილვა: ეკოსისტემების კვლევის მოკლე ისტორია

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, გამოჩნდა კვლევების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომლებიც ურბანულ ეკოსისტემების სერვისებს (უეს) შეეხება. ამან დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ცოდნის გაღრმავებას უეს-ის შესახებ, მათი ბიოფიზიკური, სივრცითი, ეკონომიკური და სოციო-კულტურული მიმართულებებით.

დაახლოებით ოცდაათი წლის წინ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოჩნდა ეკოსისტემების სერვისებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ დაწერილი ორი საეტაპო პუბლიკაცია - გ.დეილის წიგნი ეკოსისტემებზე (Daily, 1997) და რ. კოსტანზას და თანაავტორების სტატია ჟურნალ „Nature"-ში (Costanza et al. 1997), რომლებმაც დასაბამი დაუდეს ეკოსისტემების სერვისების შესახებ კვლევებს. ლ. ბრაატი და რ. დე გროოტი, ჟურნალ Ecosystem Services-ის 2012 წლის გამოცემაში (Braat and de Groot, 2012) აჯამებენ ეკოსისტემების სერვისების კონცეფციის ისტორიას და იკვლევენ მის ინტერდისციპლინარულ საფუძვლებს როგორც ეკოლოგიური, ისე ეკონომიკური კუთხით. ამ პუბლიკაციაში, გარკვეულწილად მოხერხდა ამ ორი დისციპლინის (ეკონომიკისა და ეკოლოგიის) სინთეზი ეკოლოგიის ეკონომიკაში.

ურბანული მწვანე ინფრასტრუქტურის, როგორც ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობისა და ურთიერთქმედების სივრცის, სამეცნიერო გააზრება და შესწავლა, მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო (Gomez-Baggethun et al. 2009) და დღეს, ამ თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები ათასობით სტატიას ითვლის (Hubacek and Kronenberg, 2013). სამეცნიერო კვლევებმა დაადასტურეს, რომ საჭიროა ახალი საკვლევი მოდელების შექმნა და განვითარება, რაც საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ როგორც ურბანული ეკოსოსიტემების ფუნქციონირების, ისე - ადამიანის ქმედებების გავლენა ამ სისტემებზე. აუცილებელი გახდა ქალაქების ეკოსისტემების ფუნქციონირების ზღვრების და მასშტაბების შესწავლა და ამ სივრცეში ადამიანთა საზოგადოების საქმიანობის სწორად აღქმა.

აღსანიშნავია, რომ ავტორიტეტულ (იმპაქტ-ფაქტორიან) სამეცნიერო გამოცემებში, ურბანულ ეკოსისტემების სერვისების შესახებ გამოქვეყნებული სტატიები გადანაწილებულია სხვადასხვა სპეციალიზაციის ჟურნალებში, რაც ეკოსოსიტემების სერვისების დარგის ინტერდისციპლინურ და ხშირად, ტრანს-დისციპლინურ ხასიათს ადასტურებს. ეს ფაქტი, შედეგად, საკვლევი საკითხების სიმრავლესა და სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერთა დაინტერესებას იწვევს (Costanza et al. 2017). მაგალითად, 2013 წლამდე, ყველაზე მეტი სამეცნიერო სტატია, ურბანულ ეკოსისტემებზე და მათ სერვისებზე, გამოქვეყნდა ჟურნალებში, რომლებიც მოიცავენ სამეცნიერო კვლევებსა და დისკუსიებს ეკოლოგიის, გეოგრაფიის, არქიტექტურის, გარემოსდაცვითი, ლანდშაფტების შემსწავლელი და სატყეო მეცნიერებების საკითხებზე (Hubacek and Kronenberg, 2013).

ურბანული ეკოსისტემების სერვისები წარმოადგენენ იმ სიკეთეებს, ან აქტივებს, რომელსაც საზოგადოება, პირდაპირ ან ირიბად იღებს ქალაქში არსებული ბუნებრივი ეკოსისტემების ფუნქციებიდან (Costanza et al. 1997). ეკოსისტემების სერვისები, ან სხვაგვარად, ბუნებისგან მიღებული სიკეთეები (ე.წ. „ბენეფიტები“), შესაძლებელს ხდიან ადამიანის არსებობას მოცემულ გარემოში და წარმოადგენენ სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელ ფუნქციებს, რომლებსაც ბუნებრივი ეკოსისტემები აწვდიან გარემოსა და საზოგადოებას.

საქართველოში, „ეკოსისტემების სერვისები“, როგორც ტერმინი, ნახსენებია საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის #110 ბრძანებულებაში, სადაც იგი შემდეგნაირად არის განმარტებულია: „ეკოსისტემური სერვისები - ადამიანთა კეთილდღეობის საქმეში ეკოსისტემების მიერ შეტანილი პირდაპირი და არაპირდაპირი წვლილი, რომელიც იყოფა ოთხ კატეგორიად: უზრუნველმყოფი, მარეგულირებელი, ჰაბიტატის ანუ დამხმარე და კულტურული...“[2]. შესაბამისად, ეკოსისტემების სერვისები მოიცავენ შემდეგს: ა) უზრუნველყოფის (როგორებიცაა საკვები, ხე-ტყე, ბოჭკო და სასმელი წყალი), ბ) მარეგულირებელ (როგორებიცაა ჰაერის გაგრილება, ნიაღვრული წყლების მოცულობის კონტროლი და მავნე აირებისა და ნივთიერებების ჰაერიდან შთანთქმა), გ) დამხმარე ან მხარდამჭერი სერვისები (ჰაბიტატის და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. დამტვერვა, სხვა), და დ) კულტურულ სერვისებს (არამატერიალური სიკეთეები, როგორებიცაა რეკრეაცია და ბუნებისგან შთაგონება-ინსპირაცია, სხვა). ეკოსისტემების სერვისების ეს განმარტება მოიცავს როგორც „ბუნებრივ“ ეკოსისტემურ სერვისებს (ნახშირბადის დაგროვება ხე-მცენარეების სხეულში - ფიქსაცია) და ვთქვათ, ბუნების ესთეტიკური სილამაზეს, ისე - ინტენსიურად მართვად სერვისებს (საქალაქო

პარკების გაშენება, სასოფლო-სამეურნეო წარმოება ან ტურისტულ-რეკრეაციული შესაძლებლოებების გამოყენება).

კვლევის მიზანი და ამოცანები

ურბანული ეკოსისტემების სერვისების მნიშვნელობის, მოცულობისა და შესაძლო ღირებულების დასადგენად, 2018 წელს ჩატარდა ურბანული ეკოსისტემების სერვისების საკვლევი საველე სამუშაოები თბილისის ორ პარკში („წითელ ბაღსა" და „ექსპო-ჯორჯიას პარკში"), ხოლო 2021 წელს, ჩატარდა ეკოსისტემების სერვისების კაბინეტური კვლევა, თბილისის ვაკის სასაფლაოს მცენარეული საფარის ეკოსისტემების სერვისების შესასწავლად.

ამ კვლევების მიზანი გახლდათ დაგვედგინა თბილისის მწვანე ინფრასტრუქტურის მიერ ქალაქის ეკოსისტემისათვის მიწოდებული ეკოსისტემური სერვისების მოცულობა, მათი მასშტაბები და დაახლოებითი მონეტარული ღირებულება.

აღსანიშნავია, რომ ქალაქებში მდებარე კულტურულ-რეკრეაციული (პარკები, სკვერები, ქუჩის ხეივნები) და რიტუალური სივრცეები (სასაფლაოები), როგორც ქალაქის მწვანე ინფრასტრუქტურის ნაწილები, უმეტესწილად ნაკლებად არიან გამოკვლეულნი. ასევე ცოტაა კვლევები ურბანული ეკოსისტემების სერვისების კუთხითაც. სარიტუალო ტერიტორიების (სასაფლაოების) სპეციალური სტატუსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე (მიწათსარგებლობის სპეციალური ზონა-2), მათი ტერიტორიების დიდი ნაწილი დაფარულია ხე-მცენარეებითა და ბუჩქნარით. შესაბამისად, სასაფლაოების მწვანე საფარს (ურბანულ პარკებთან ერთად), გააჩნია ქალაქისათვის ეკოსისტემების სერვისების მიწოდების დიდი პოტენციალი გააჩნია, მაგრამ ისინი, როგორც წესი, „გამოტოვებულნი" არიან საქალაქო მწვანე სივრცეების ნარატივიდან, მიუხედავად მათი მდიდარი და ხშირი მწვანე საფარველისა (Quinton and Duinker, 2018). ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ სასაფლაოებზე შენობების და სხვა ნაშენი ინფრასტრუქტურის არარსებობა (გარდა მონუმენტებისა და ადმინისტრაციის რამდენიმე შენობისა), კარგ საშუალებას იძლევა ხეების ახალი პოპულაციების და ახალი ნარგავების გაშენებისათვის (Quinton et al. 2020).

ჩვენი კვლევით გვსურდა გვეჩვენებინა ქალაქური პარკებისა და სასაფლაო ტერიტორიების მწვანე საფარის შესწავლის მნიშვნელობა, რადგან ისინი ქალაქის მწვანე ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან

ელემენტებს წარმოადგენენ. ქალაქის კონტურში არსებულ ურბანული პარკებს და სასაფლაოებს, თბილისის მუნიციპალიტეტის საერთო ფართობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილი უკავიათ (დაახლ. 590 და 517 ჰა, შესაბამისად) და მათი გარემოსდაცვითი შინაარსისა და ფუნქციის გათვალისწინებით, ჩავთვალეთ, რომ მათი კვლევა საინტერესო იქნებოდა თბილისის ურბანული გარემოს თავისებურებების შესწავლისათვის.

კვლევის ამოცანა გახლდათ დაგვედგინა და შეგვედარებინა თბილისის ვაკის სასაფლაოს ეკოსისტემების მიერ მოწოდებული სერვისები - ნახშირორჟანგის ჰაერიდან შთანთქმა/სეკვესტრაციის და ხის სხეულიში ნახშირბადის დაგროვების (აკუმულირების, ან ფიქსაციის) და ჰაერიდან მავნე აირებისა (CO, NO2, O3, PM2.5, SO2) და მცირე ზომის (2.5 მიკრონის ზომის)[3] მყარი ნაწილაკების (PM2.5 – particular matter) შთანთქმის მონაცემები, თბილისის ორი ურბანული პარკის („წითელი ბაღისა“ და „ექსპო-ჯორჯიას პარკის“) ეკოსოსისტემების ანალოგიურ სერვისებთან და გაგვერკვია ბუნების მიერ მოწოდებული სერვისების მასშტაბი.

კვლევის მეთოდები და მონაცემები

ქალაქებში ურბანული ეკოსისტემების მიერ გაწეული სერვისების შესასწავლად და მათი მნიშვნელობის დასადგენად, აუცილებელია ამ სერვისების სწორად იდენტიფიცირება, გაზომვა და შემდეგ, შეფასება. თბილისის პარკების ეკოსისტემების სერვისების აღსაწერად და შესაფასებლად კვლევისთვის გამოყენებულ იქნა აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სატყეო ფედერალური სამსახურის მიერ შემუშავებული მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა შევისწავლოთ და შევაფასოთ ეკოსოსისტემების სერვისები ქალაქის მასშტაბით ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიის შერჩეულ ნაწილებზე. კვლევისას ჩატარდა საველე სამუშაოები (ხე-მცენარეულის უშუალო გაზომვები და ხე-მცენარეების სრული ინვენტარიზაცია) და საკვლევი ტერიტორიების პოლიგონის შედგენა და კვლევა პოლიგონის საზღვრებში ელექტრონული რუკების და მოდელირების საშუალებით.

წარმოდგენილი კვლევა, თავისი შინაარსით, ანალიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-ეკოლოგიური ხასიათისაა და შეისწავლის ურბანული ეკოსისტემებისა და ადამიანი-ბუნების ურთიერთქმედებას, ურბანულ გარემოში. კვლევა, ძირითადად ეყრდნობა აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, ფედერალური სატყეო სამსახურის (USDA Forest Service) მიერ

შემუშავებული კვლევითი მეთოდოლოგიას, კერძოდ, i-Tree Eco-ს და i-Tree Canopy-ის სოფტ-ინსტრუმენტებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან, ურბანული მწვანე ინფრასტრუქტურის მიერ მოწოდებული ეკოსისტემების სერვისები გამოკვლეულ იქნან საკვლევ ტერიტორიაზე ხეების საველე მონაცემების (i-Tree Eco) და ტერიტორიის ზედაპირის საფარველის (i-Tree Canopy) ანალიზის მეშვეობით. კვლევის ეს მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა შევისწავლოთ და შევაფასოთ საქალაქო სასაფლაოებისა და საჯარო პარკების მწვანე საფარის ეკოსისტემების სერვისების მოცულობა და მიღებული შედეგების მიხედვით დავადგინოთ მათი მნიშვნელობა ქალაქში საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებისთვის.

თბილისის პარკების ეკოსისტემების სერვისების აღსაწერად და შესაფასებლად კვლევისთვის გამოყენებული მოდელირების პლატფორმა i-Tree Eco V6 (ვერსია 6) (What is i-Tree? 2020)[4], გახლავთ გლობალურად ხელმისაწვდომი სოფტი/პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც იყენებს და გადაამუშავებს, სხვადასხვა სახის კლიმატურ, გეოგრაფიულ და ბიოგეოგრაფიულ მონაცემებს, ეკოსისტემების სერვისების პარამეტრების გამოსათვლელად და ურბანული თუ სხვა ტყეების სტრუქტურული და ფუნქციური მახასიათებლების ანალიზისა და მოდელირებისთვის.

ამ მეთოდით, 2018-2019 წლებში, მოხდა თბილისის ორი საქალაქო პარკის, „წითელი ბაღისა“ (საბურთალო) და ექსპო-ჯორჯიას პარკის“ (დიდუბე) ხეების შესწავლა (ხეების არსებული ნარგავების სრული ინვენტარიზაციით და აზომვით პარკების ტერიტორიებზე).

მეთოდის ოპერაციონალიზაციისთვის მოვახდინეთ ადგილობრივი (ქ. თბილისის) მეტეოროლოგიური (წლიური ნალექების საათობრივი მონაცემები/რაოდენობა, ჰაერის ტემპერატურა, ქარების ქროლის მონაცემები) და ჰაერის დაბინძურების წლიური, საათობრივი და სხვა, ზოგადგეოგრაფიული, ბიოლოგიური და კლიმატური მონაცემების i-Tree Eco-ს სისტემაში შეყვანა, რომლის მეშვეობით, სისტემის ალგორითმი დაიანგარიშებს ტყეების სტრუქტურას, გარემოსდაცვით ეფექტებსა და ღირებულებებს, მოცემულ ადგილას.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგად, პირველად სამხრეთ კავკასიაში, შესაძლებელი გახდა, ურბანული ეკოსისტემების სერვისების კვლევისათვის, i-Tree Eco-ს პლატფორმაში ჩატვირთულიყო ქ. თბილისის, სისტემისათვის აუცილებელი ყველა მონაცემი, რომელიც გამოდგება თბილისის სამომავლო კვლევებისათვისაც.

თბილისის ორი ურბანული პარკის ეკოსისტემების კვლევის დეტალური შედეგები, რომლებიც წინამდებარე კვლევისთვის გამოვიყენეთ, აღწერილია სამეცნიერო სტატიაში, რომელიც შარშან გამოქვეყნდა შვეიცარულ სამეცნიერო-კვლევით ჟურნალ Climate-ში (Alpaidze and Pace, 2021).

თბილისის პარკების ეკოსისტემების სერვისების აღნიშნული კვლევის შედეგები, გამოყენებულ იქნა თბილისის ვაკის სასაფლაოს ხე-მცენარეული საფარის ეკოსოსიტემების სერვისებთან შესადარებლად, რამაც ჩვენს კვლევას ანალიტიკური ხასიათი მისცა; შესაძლებელი გახდა i-Tree პლატფორმის ორი საკვლევი მეთოდით მიღებული შედეგების ერთმანეთთთან შედარება.

თბილისის ვაკის სასაფლაოს მწვანე საფარისა და სხვა ზედაპირების ანალიზი განხორციელდა i-Tree Eco-ს მონათესავე პროგრამის, i-Tree Canopy-ს გამოყენებით, რომელიც google map-ზე დაყრდნობით, ქალაქში არსებული მცენარეულის მწვანე საფარველის, ღია გრუნტის, მყარი, არაგამჭოლი ზედაპირებისა და შენობებით დაფარული ხედაპირების გათვალისწინებით, შერჩეულ პოლიგონზე გამოითვლის ეკოსისტემების რიგ სერვისებს (ამ კვლევის შემთხვევაში, ვაკის საქალაქო სასაფლაოს საზღვრებში). კვლევისათვის რუკაზე შეირჩა საკვლევი ტერიტორიის ფარგლები (საზღვრები), „გუგლის“ რუკების გამოყენებით (რომლებიც სოფტ-პროგრამაშია ინტეგრირებული) და შემთხვევითი შერჩევით მოხდა 500-ზე მეტი საკვლევი წერტილით ზედაპირის მონიშვნა და მათი იდენტიფიკაცია. პროგრამაში ეს ზედაპირები მოიცავენ შემდეგს: ა) ხეების ვარჯი (ხის ფოთლოვანი საფარველი, მისი განშტოებული ნაწილი), ბ) ბალახი, გ) ღია გრუნტი, დ) გამჭოლი და ე) არაგამჭოლი ზედაპირები, ვ) შენობები, ზ) გზები და თ) წყლოვანი სივრცეები. ზედაპირების ანალიზის მეშვეობით, პროგრამა ახდენს იმ ეკოსისტემების მოდელირებას (გამოთვლას), რომლებიც ზოგადად დამხასიათებელია ასეთი ზედაპირებისათვის, პოლიგონის გრძედისა და განედის გათვალისიწინებით და ანალიტიკურ პლატფორმაში, თბილისის შესახებ არსებული სხვადასხვა კლიმატური და ჰაერის დაბინძურების მონაცემების გათვალისწინებით.

პროგრამის მიერ შემოთავაზებულია 500-1000-მდე საკვლევი წერტილის შერჩევა-მონიშვნა (რაც უფრო მეტი წერტილია, მით მაღალია ზედაპირის ანალიზის სიზუსტე). ჩვენი კვლევისას, შემთხვევით იქნა შერჩეული დაკვირვების 546 წერტილი (იხ. ნახატი 3).

მოცემული პროგრამა (i-Tree Canopy), განსხვავებით i-Tree Eco-გან, არ ითვალისწინებს საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ხეების სახეობების ანალიზს და იყენებს მსოფლიოს მასშტაბით არსებული

სხვადასხვა ტიპის ხე-მცენარეულით დაფარული და სხვა ზედაპირების ანალიტიკურ, გასაშუალებულ მონაცემებს. ეს პროგრამა მოხერხებულია ქალაქის ან მისი რაიონების მწვანე და სხვა ტიპის (ნაცრისფერი ინფრასტრუქტურა, წყლოვანი ზედაპირები, ღია გრუნტი, სხვა) საფარველის შესასწავლად და მისი შემადგენელი ელემენტების გასაანალიზებლად, შერჩევის სტანდარტული ცდომილების (standard error) გათვალისწინებით.

საკვლევი ობიექტი და კვლევის შედეგები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორია 502 კვ. კმ-ს შეადგენს. თბილისის მწვანე სივრცეები, ძირითადად ხელოვნური და/ან ბუნებრივი წარმოშობის მწვანე ფართობებს მოიცავენ. მწვანე სივრცეებში შედიან ურბანული პარკები, სკვერები და ბაღები, ქუჩების ხეივნები, სასაფლაოების ხე-მცენარეული, კერძო საკარმიდამო ნაკვეთების მწვანე ფართობები და თბილისის პერიმეტრში და მის გარშემო არსებული ბუნებრივი მცენარეული სისტემები.

თბილისის მწვანე სივრცეები (მწვანე საფარი) დაახლოებით 145 კვ. კმ-ზე ვრცელდება, რაც თბილისის მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობის (502 კმ2) დაახლოებით 28.9%-ია. ჯამურად, ყველა ტიპის მწვანე ტერიტორიის ფართობი ჩამორჩება არაგამჭოლი ზედაპირით დაფარულ, ან სხვაგვარად, ურბანიზირებულ, უწყვეტი განაშენიანებით და „ნაცრისფერი“ ინფრასტრუქტურით დაფარულ ფართობებს (158 კმ2, ანუ მთლიანი ფართობის 31.47%) (Gadrani et al. 2017). თბილისში მიწათსარგებლობის სხვა ტიპების (ან ზონების) ფართობები ასეა განაწილებული: წყლიანი ფართობები (მდინარეები, ტბები) - მთელი ფართობის 2.86%, სასოფლო-სამეურნეო მიწები (3.29%) სხვა ტერიტორიები (32.88%, რომლებიც მოიცავენ შიშველ მიწებს, კლდოვან ზედაპირებს, მდელოებს და სხვას) (Gadrani et al. 2018).

ჩვენი საკვლევი ტერიტორიები მოიცავდა თბილისის ორ ურბანულ პარკს და ვაკის სასაფლაოს ტერიტორიას (იხ. ნახატი 1). კერძოდ, „ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკს“ (ასევე ცნობილს „წითელი ბაღის“ სახელით), მთლიანი ფართობით 3.3 ჰექტარი (საბურთალო, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, სიმაღლე ზღვის დონიდან 455 მ); „ექსპო-ჯორჯიას პარკს“ - მთლიანი ფართობი 3.2 ჰექტარი, მდებარე მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დიდუბეში, ზღვის დონიდან 418 მ-ზე; და ვაკის სასაფლაოს ტერიტორიას (17.86 ჰა), თბილისის დასავლეთით, ზღვის დონიდან 540 მ. ეს პარკები ქალაქის უწყვეტი განაშენიანების ზოლში მდებარეობენ და მათ შორის მანძილი დაახლოებით 2.7 კმ-

ია (იხ. ნახატი 2). ვაკის სასაფლაოც ქალაქის კონტურში მდებარეობს, მდინარე ვერეს ხეობასა და დაბა წყნეთში მიმავალ გზატკეცილს შორის. (იხ. ნახატები 1 და 3)

ნახატი 1. ვასო გოძიაშვილის („წითელი ბაღი“) და „ექსპო-ჯორჯიას“ პარკები ვაკის სასაფლაო, თბილისი, აეროფოტოს საფუძველზე (ავტორები: გიორგი კირკიტაძე და ლევან ალფაიძე, 2020).

შერჩეულ პარკებში, საველე სამუშაოები ჩატარდა 2018 წლის აგვისტო-სექტემბერში, i-Tree Eco v6-ის საველე სახელმძღვანელოს შესაბამისად (i-Tree Eco, field guide, 2020)[5].

ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულ იქნა პარკებში განხორციელებული საველე სამუშაოების დროს, სხვა მასალებთან ერთად, მოიცავდა შემდეგს: ა) ხის უნიკალური იდენტიფიკატორი/ნომერი, ბ) სახეობის (ლათ. genus) დასახელება (ქართულად და ლათინურად), გ) თითოეული ხისა და საკვლევი ნაკვეთის ცენტრის GPS; დ) სიმაღლე (მთლიანი და ცოცხალი ფოთლოვან საფარამდე), ე) სიმაღლე ფოთლოვან საფარამდე (ძირიდან), ვ) ხის ღეროს დიამეტრი მკერდის სიმაღლეზე, DBH[6] (1.38 მ სიმაღლეზე, 5 სმ > სისქის ვარჯისთვის), ზ) ფოთლოვანი საფარის (გვირგვინის) სიგანე (N - S და E - W მიმართულებები), ი) ხის ფოთლოვანი საფარის დანაკლისი (პროცენტი), კ) მკვდარი ტოტების პროცენტი ხის გვირგვინზე და ფოთლოვანი საფარველის განათება (1-დან 5-მდე შკალაზე, სადაც „5“ ნიშნავს ხუთი მხრიდან მზის სხივებით განათებას: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი, ჩრდილოეთი და ზემოდან განათება). აღნიშნული კვლევით მიღებული მონაცემები მოცემულია ჟურნალ Climate -ში გამოქვეყნებულ სტატიაში (Alpaidze and Pace, 2021).

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დღეისათვის, სამწუხაროდ არ გვაქვს თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სხვადასხვა კატეგორიის მწვანე საფარის (პარკები, სკვერები, კერძო ნაკვეთები, სატყეო ზოლები და ქუჩის ხეივნები, სხვა) ფართობების დაზუსტებული მონაცემები. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020“-ში[7] მოცემულია 1988 წლის, თბილისის ხეების ინვენტარიზაციის მონაცემები (რომლებიც ერთადერთი არსებული მონაცემია თბილისში არსებული ხეების ძირების რაოდენობის შესახებ), რომელთა მიხედვით, თბილისში და მის მუნიციპალურ ტერიტორიაზე (რომელიც 2007 წლამდე 365 კვ. კმ-ს შეადგენდა)[8], 18 მილიონ ძირზე მეტი ხე-მცენარე არსებობს. რბილად რომ ითქვას, ეს მონაცემი საკამათოა. ეჭვს იწვევს თბილისში მდებარე ხეების ძირების მთლიანი რაოდენობა, რომელიც მნიშვნელოვნად

აღემატება ქ-ნიუ-იორკის ხუთივე რაიონში (borough) მდებარე ხე-მცენარეების რაოდენობას (6,977,000 ძირი ხე, ქ. ნიუ-იორკის მწვანე საფარველის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით) (Nowak et al. 2018).

შესაბამისად, ვფიქრობთ, თბილისის მუნიციპალიტეტის ხე-მცენარეების ახალ, სრულ ინვენტარიზაციამდე, უპრიანი იქნება i-Tree Canopy-ის სოფტ-პროგრამის გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა გამოკვლეულ იქნას ელექტრონულ სატელიტურ რუკებზე არსებული ურბანული დასახლებების ზედაპირების საფარველი და მწვანე საფარის მიერ მოწოდებული ეკოსისტემების სერვისების მოცულობა.

წარმოდგენილი კვლევისათვის ჩატარდა თბილისის მუნიციპალიტეტის საქალაქო პარკებისა და სასაფლაოების ტერიტორიების ფართობების გაზომვები, თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული სამსახურის ვებ-გვერდზე არსებული რუკის მეშვეობით[9] (შენიშვნა: რუკაზე აზომვები ჩატარდა ვებ-გვერდზე, tas.ge-ზე, არსებული ინტერაქტიული რუკის გაზომვის არსებული ხელსაწყოებით და მიღებულ შედეგებს არ აქვთ პრეტენზია იყვნენ ზუსტი; აზომვების მიზანი გახლდათ თბილისში არსეული ყველა დიდი ზომისა და მნიშვნელობის მქონე პარკისა და სასაფლაოს მწვანე საფარის დაახლოებითი ფართობების დადგენა, თბილისის ურბანული ეკოსისტემებების სერვისების კვლევისათვის).

თბილისის მუნიციპალიტეტის ელექტრონულ რუკაზე განხორციელებული აზომვების შედეგად, დადგინდა რომ თბილისის ცხრამეტი (19) დიდი ზომისა და მნიშვნელოვანი ფართობის მქონე საქალაქო პარკების ჯამური ფართობი, დაახლოებით 590.17 ჰა-ს შეადგენს[10], ხოლო თბილისში არსებული ოცდაერთი (21) მსხვილი სასაფლაოს ჯამური ფართობი დაახლოებით, 517.07 ჰექტარია[11].

ვაკის სასაფლაოს ტერიტორიის პოლიგონზე (მთლიანი ფართობი 17.86 ჰექტარი), 546 შემთხვევითი შერჩევის წერტილის ანალიზით, ტერიტორიის საკვლევი ზედაპირები შემდეგნაირად განაწილდა (იხ. ცხრილი 1 და ნახატი 2):

ცხრილი 1 . ვაკის სასაფლაოს ტერიტორიის განაწილება, საფარი ზედაპირის კლასების მიხედვით (შედგენილია Google map-ის რუკაზე დახაზული პოლიგონის მიხედვით).

ზედაპირის კლასი	კვლევის ერთეულების წერტილების რაოდენობა	% საფარი, +/- SE (სტანდ. გადახრა)		ფართობი (ჰა), +/- SE	
ბალახი/ბალახეული მცენარეული	20	3.66	+/- 0.80	0.74	0.16
შენობებით დაკავებული გაუმჭოლი ზედაპირები;	4	0.73	+/- 0.37	0.15	0.07
სხვა გაუმჭოლი ზედაპირები	18	3.30	+/- 0.76	0.66	0.15
გაუმჭოლი გზები	13	2.38	+/- 0.65	0.48	0.13
ნიადაგი/ღია გრუნტი	138	25.27	+/- 1.86	5.09	0.37
ხეები/ბუჩქნარი	350	64.10	+/- 2.05	12.91	0.41
წყალი	3	0.55	+/- 0.32	0.11	0.06
Total	546	100		17.86	

ხეებით/ბუჩქნარით დაფარული ზედაპირის ტერიტორიის და სტანდარტული გადახრის გამოსათვლელად, გამოყენებულ იქნა შემდეგი ფორმულები:

N –კვლევისათვის შემთხვევით შერჩეული წერტილების რაოდენობა

N = 546

n = წერტილების რაოდენობა, რომელბიც მოინიშნა როგორც „ხეები/ბუჩქნარი“

n = 350

p = n/N (350/546= 0.64)

q = 1 – p (1 - 0.64= 0.36)

SE (სტანდარტული გადახრა)= √ (pq/N) (√ (0.64x0.36/ 546= 0.00042197802);

√ 0.64*0.36/546 = 0.020542, ან 2.05 %-ს.

შესაბამისად, ვაკის სასაფლაოს ტერიტორიის 64.10% დაფარულია ხეებით/ბუჩქნარით, სტანდარტული გადახრა 2.05%.

ნახატი 3. ვაკის სასაფლაოს ხე მცენარეული საფარველის მიერ მოწოდებული ეკოსისტემების სერვისების დანგარიშება i-Tree Canopy-ის მეთოდით (შემთხვევითი, პროგრამული შერჩევა პოლიგონზე, 546 შერჩევის წერტილი.

ნახატი 2. ზედაპირის საფარი და მისი ტიპები (პროცენტული განაწილება და ფართობი, ჰა). ვაკის სასაფლაოს ტერიტორია, 2022 წელი. (ლეგენდა: T - ხე-მცენარეები; IB - არაგამჭოლი ზედაპირი/შენობები; IR - არაგამჭოლი ზედაპირი - გზები, IO -არაგამჭოლი ზედაპირი/სხვა; S - მიწა, ნიადაგი; , H - ბალახეული)

ეკოსისტემური სერვისი - ნახშირბადის ატმოსფეროდან შთანთქმა და დაგროვება (ფიქსაცია)

„წითელის ბაღისა“ და „ექსპო ჯორჯიას პარკის“ ხეები, თავიანთ ვარჯში, ღეროში და ფესვებში (ხის ბიომასა) ინახავენ (აგროვებენ) 126.5 და 198.4 ტონა ნახშირბადს, შესაბამისად. ორივე ურბანული პარკის ტყეში, ხეების ღეროში/სხეულში ყველაზე მეტ ნახშირბადს ინახავენ ჰიმალაიური კედარი (Cedrus deodara, 27%), პირამიდული (ხმელთაშუაზღვის) კვიპაროსი (Cupressus sempervirens, 24.6%), და თეთრი ხვალო (Populus alba, 15.8%) - ამ სახეობებზე მოდის „წითელი ბაღის“ ხეების მიერ დაგროვილი ნახშირბადის ყველაზე დიდი წილი. „ექსპო ჯორჯიას პარკში“, მთლიანად ხეების ღეროში/სხეულში დაგროვილი ნახშირბადის ნახევარზე მეტი მოდის ორ სახეობაზე: ჰიმალაიურ კედარზე (C. deodara, დაგროვილი ნახშირბადის მთლიანი რაოდენობის 33.8%) და პირამიდალურ (ხმელთაშუაზღვიურ) კვიპაროსზე (C. sempervirens, მთელი დაგროვილი ნახშირბადის 20%) (იხ. ნახატი 4).

ნახატი 4. ხეების სახეობები რომლებიც აგროვებენ (Carbon storage) და შთანთქავენ ატმოსფეროდან (სეკვესტრაცია - Carbo sequestration)) ყველაზე მეტ ნახშირბადს „წითელ ბაღსა“ და „ექსპო ჯორჯიას“ პარკში.



i-Tree Canopy-ის პროგრამით ჩატარებული სიმულაციის მიხედვით, იგივე სერვისის კვლევისას აღმოჩნდა, რომ ვაკის სასაფლაოს მცენარეული, თავიანთ ვარჯში, ღეროში და ფესვებში (ხის ბიომასა) ინახავენ (აგროვებენ) 859 ტ ნახშირბადს, ხოლო ჰაერიდან წელიწადის განმავლობაში შთანთქამენ 34.23 ტ ნახშირბადს (სერვისების დაახლოებითი შეფასებისთვის გამოყენებულია i-Tree-ის სოფტ-პროგრამის ფასი ნახშირბადზე (აშშ დოლარში): $133.05/t of Carbon, 2017 წელი) (Nowak et al. 2017) (იხ. ცხრილი 2).

აქვე აღსანიშნავია რომ მიუხედავად ამ პარკების თითქმის ერთნაირი ფართობებისა (3.2. და 3.3 ჰა, „წითელი ბაღი“ და „ექსპო-ჯორჯიას“ პარკი, შესაბამისად), „ექსპო ჯორჯიას“ პარკის ხეების მიერ ფართობის ერთეულზე ნახშირბადის შენახვის რაოდენობა, (62 ტ/ჰა) მნიშვნელოვნად აღემატება „წითელი ბაღის“ (38.33 ტ/ჰა) და სასაფლაო ხეების მონაცემებს (48.13 ტ/ჰა) (იხ. ცხრილი 2). ეს ნაწილობრივ აიხსნება „ექსპო-ჯორჯიას“ პარკის ხეების უფრო დიდი ზომითა და ასაკით (პარკი 50-იან წლებში გაშენდა) და ნაწილობრივ, „ექსპო ჯორჯიის“ პარკში ხეებით დაფარული საკმაოდ დიდი

ფართობით (56.25%), რაც ადასტურებს ასაკოვანი ხეებისა და ნარგავების სიხშირის მნიშვნელობას ქალაქის ეკოსისტემებისთვის.

გარდა ამისა, საყურადღებოა განსხვავებები, გამომდინარე შესწავლილი ტერიტორიების ფუნქციებიდან - სასაფლაოებზე, ხეების სიხშირისა და სივრცის განსხვავებულად ორგანიზების გამო, ხე-მცენარეულის ზრდისათვის უფრო ხელსაყრელი და ბუნებასთან მიახლოებული პირობებია შექმნილი (არაგამჭოლი, არადახშული ზედაპირების მცირე წილი - 6.41%, ნარგავების სიხშირის გამო ჰაერისა და ნიადაგის მაღალი ტენიანობა, ზოგადად, ნაკლები ზეწოლა სასაფლაოს გარემოზე, სხვა). სასაფლაოს მცენარეულის უპირატესობა ასევე გამოჩნდა ჰაერიდან ნახშირბადის სეკვესტრირების ფართობის ერთეულზე დათვლილ მაჩვენებელშიც: „წითელი ბაღი" (1.39 ტ/ჰა), „ექსპო ჯორჯია" პარკი (1.47 ტ/ჰა) და „ვაკის სასაფლაო" (1.92 ტ/ჰა) (იხ. ცხრილი 2).

ხეების მიერ ატმოსფეროდან ნახშირბადის შთანთქმისა და სხეულში დაგროვების ეფექტის უკეთ წარმოსადგენად, გამოვიყენეთ აშშ-ს გარემოსდაცვის ფედერალური სააგენტოს, EPA-ს „ ე.წ. ნახშირბადის კალკულატორი", რომელიც გვიჩვენებს ნახშირბადის შთანთქმის რეალურ ეფექტს:

მაგალითად, ისეთი მცირე ზომის პარკის, როგორიცაა „ექსპო ჯორჯია" (3.2. ჰა), რომელიც თბილისის ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რაიონში, დიდუბეში, მდებარეობს, ხეები, წელიწადში ჰაერიდან შთანთქავენ და ხეების სხეულში ინახავს ნახშრიბადის (C) იმ რაოდენობას (198.4 ტ), რომელსაც ატმოსფეროში, იმავე პერიოდში, ემისიის გამოყოფს დაახლ. 158 ერთეული მსუბუქი ავტომობილი; ან ემისიის სახით გამოყოფს ერთი ავტომობილი, 2.8 მილიონი კმ-ის გავლისას; ან ემისიის სახით გამოყოფს ქალაქში მცხოვრები 87 ოჯახი (EPA, greenhouse-gas-equivalencies), წელიწადში(EPA, Greenhouse Gas Equivalencies Calculator)[12] .

ცხრილი 2. ხეების მიერ მოწოდებული ეკოსისტემების სერვისების შედარება თბილისის ორ პარკში („წითელი ბაღი" და „ექსპო ჯორჯიას" პარკი), თბილისის ვაკის სასაფლაოს მწვანე საფარის მიერ გაწეული სერვისებისებთან და მონაცემების ექსტრაპოლაცია თბილისის მსხვილი პარკებისა და სასაფლაოების ხე-მცენარეულის საფარზე.

დასახელება	საერთო ფართობი (ჰა)	ნახშირბა-დის დაგროვება ხის ღეროში (ტონა)	ნახშირბა-დის სეკვესტრირება, (ტ/წ)	ნახშირბა-დის დაგროვება ხის ღეროში, ტ/ჰა	ნახშირბა-დის სეკვესტრირება, (ტ/ჰა)	ეკოსისტემის სერვისის დაახ. ღირებულება, აშშ დოლარი ($133.05/ტონა C-ზე), #6 = #2* $133.05	ეკოსისტემის სერვისის დაახლ. ღირებულება, აშშ დოლარი, 1 ჰა-ზე
#	1	2	3	4	5	6	7
„წითელი ბაღი“	3.3	126.5	4.6	38.33	1.39	16,830.82	5,100.3
„ექსპო ჯორჯიას“ პარკი	3.2	198.4	4.7	62.00	1.47	26,397.12	8,249.1
ვაკის სასაფლაო, თბილისი	17.86	859.65	34.23	48.13	1.92	114,376.43	6,404.05
თბილისის 19 მსხვილი პარკი	590.18	29,499.6	844.00	49.98	1.43	3,924,922.5	6,650.38
თბილისის 21 მსხვილი სასაფლაოს მწვანე საფარი	517.07	26,706	1,059	51.65	2.05	3,553,233.3	6,871.86

ნახატი 5. ხეების მიერ მოწოდებული ეკოსისტემების სერვისების (ნახშირბადის შთანთქმა და დაგროვება) თბილისის ორ პარკში („წითელი ბაღი“ და „ექსპო ჯორჯიას“ პარკი) და თბილისის ვაკის სასაფლაოზე.



ეკოსისტემური სერვისი- ჰაერიდან მავნე აირებისა და მცირე ზომის მყარი ნაწილაკების შთანთქმა

ქალაქებში, ჰაერის დაბინძურება სხვადასხვა დამაბინძურებელი გაზებითა და მიკროსკოპიული ზომის მყარი ნაწილაკებით (PM10 და PM2.5 : ჰაერში არსებული მტვრის მყარი ნაწილაკები, რომელთა ზომა/დიამეტრი 10 და 2.5 მიკრონი ან ნაკლებია) ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გარემოსდაცვით გამოწვევას წარმოადგენს და უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე (Kochladze, 2018).

2018 წელს, „წითელი ბაღისა“ და „ექსპო ჯორჯიას“ პარკების ხეებმა ატმოსფეროდან შთანთქეს შესაბამისად 90.3 და 119.6 კგ სხვადასხვა დამაბინძურებელი ნივთიერება; ვაკის სასაფლაოს ხე-მცენარეებმა კი ატმოსფეროდან წლის განმავლობაში - 961.27 კგ (იხ. ცხრილი 3). თუ ამ რიცხვებს სხვა ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს შევადარებთ, ვნახვათ რომ თბილისის პარკების ხე-მცენარეული, ჰაერის დამაბინძურებლებს (CO, NO2, O3, PM2.5, და SO2) სხვა ქალაქების მსგავსი “ეფექტურობით“ შთანთქავენ: თბილისის ორი პარკი - 0.121 კგ/ხე/წელიწადში; ქ. კიოტოს ქუჩების ხეები - 0.148 კგ/ხე/წ (Tan et al. 2021); ქ. სეგედის ქუჩების ხეები - 0.300 კგ/ხე/წ (Kiss, Takács, Gulyás, 2015); ქ. ნიუ-იორკის ხე-მცენარეულის ჯამური მაჩვენებელი - 0.157 კგ/ხე/წ (Nowak et al. 2015).

ჰაერიდან დამაბინძურებელი აირებისა და ნაწილაკების შთანთქმის მონაცემების საკვლევი ტერიტორიების მიხედვით შეფასებისას, გაირკვა რომ ფართობის ერთეულზე, ყველაზე ეფექტურად, ვაკის სასაფლაოს მცენარეული ეკოსისტემა „მუშაობს“ და იგი 1 ჰა ფართობზე, წელიწადის განმავლობაში, საშუალოდ 53.82 კგ მავნე აირებსა და ნაწილაკებს შთანთქავს - თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე ამას „წითელი ბაღისა“ (27.36 კგ/ჰა) და „ექსპო ჯორჯიას“ პარკის (37.37 კგ/ჰა-ზე) ხეები ახერხებენ (იხ. ცხრილი 3). ამ მნიშვნელოვანი განსხვავების ახსნა ნაწილობრივ შესაძლებელია იმ ფაქტით, რომ ვაკის სასაფლაოს ტერიტორიის თითქმის 63% ხეების ფოთლოვანი და წიწვოვანი ვარჯებით არის დაფარული („წითელ ბაღში“ - მთელი ფართობის 45.45% და „ექსპო ჯორჯიას“ პარკში - 56.25%), რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ატმოსფეროდან მავნე აირებისა და ნაწილაკების შთანთქმა და ზედაპირზე დეპონირება, პირდაპირ არის დამოკიდებული ხეების ფოთლოვანი ზედაპირების ფართობთან (Nowak et al, 2018).

ქ. ნიუ-იორკის ტყეების ეკოსისტემების შეფასებისას, დ. ნოვაკისა და კოლეგების მიერ, 2018 წელს გამოყენებულ გათვლებით (Nowak et al, 2018), ქალაქის ხე-მცენარეების მიერ წლის განმავლობაში ჰაერიდან შთანთქმული დაბაბინძურებლების (აირები და მყარი ნაწილაკები) მთლიანმა რაოდენობამ 1,100 ტ შეადგინა. იმავე ანგარიშში, ეს სერვისი შეფასებულ იქნა $78 მილიონ დოლარად. შესაბამისად, ჰაერიდან 1 ტონა დამაბინძურებლების შთანთქმის ღირებულება (ნიუ-იორკისათვის) დაახლოებით $70,909 დოლარს წარმოადგენდა (!). თუ გათვლებისთვის სერვისის ამ ღირებულებას დავეყრდნობით (ამ სერვისის მასშტაბის აღსაქმელად, თბილისის პარკებში და სასაფალოს მწვანე საფარში), მივიღებთ რომ წელიწადში, ჰაერიდან სხვადასხვა დამაბინძურებლების შთანქმით მიღებული სარგებელი ქალაქისთვის შემდეგი იქნება: დაახლოებით $8,481 აშშ დოლარი, „ექსპო ჯორჯიას“ პარკისთვის (3.2

ჰა); $6,381.8 აშშ დოლარი - „წითელი ბაღისთვის“, (3.3. ჰა) და $68,162.7 აშშ დოლარი - ვაკის სასაფლაოსთვის (17.86 ჰა). თუ მავნე ნივთიერებების შთანთქმის სერვისის ამ ღირებულებას თბილისის მსხვილი პარკებისა და სასაფლაოების მთლიან ფართობებზე (590.18 ჰა და 517.07 ჰა, შესაბამისად) განვაზოგადებთ, მივიღებთ რომ აღნიშნული მწვანე ინფრასტრუქტურა, ყოველწლიურად, ჰაერიდან დაახლ. 43 ტონა მავნე ნივთიერებებს შთანთქამენ, რაც დაახლოებით $3 მილიონი დოლარის ღირებულების ეკოსისტემური სერვისი გამოდის (!) ამ შეფასებებიდან კარგად ჩანს თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ღირებულია ხე-მცენარეებისა გამწვანებული სივრცეების ფართობი და ფოთლოვანი საფარველის სიხშირე, ქალაქში ჰაერის სისუფთავისთვის და მათი ეკონომიკური ეფექტისათვის.

ცხრილი 3. ხეების მიერ მოწოდებული ეკოსისტემების სერვისების შედარება (მავნე აირებისა და მცირე ზომის მყარი ნაწილაკების შთანთქმა) თბილისის ორ პარკში („წითელი ბაღი“ და „ექსპო ჯორჯიას“ პარკი და თბილისის ვაკის სასაფლაოს მწვანე საფარისათვის.

ხეების მიერ გაწეული მომსახურება: ჰაერიდან მავნე აირებისა და ნაწილაკების შთანთქმა (წელიწადში)	საერთო ფართობი (ჰა)	ნახშირბადის მონო-ოქსიდის შთანთქმა, მხუთავი აირი (CO), კგ/წ (კგ/ჰა-ზე)	აზოტის ორჟანგის შთანთქმა, (NO2), კგ/წ (კგ/ჰა)	ოზონის (O3) შთანთქმა, კგ/წ (კგ/ჰა)	გოგირდის ორჟანგის შთანთქმა (SO2), კგ/წ (კგ/ჰა)	მყარი ნაწილაკების - PM 2.5-ზე მცირე) და PM10 -ის ჯამური შთანთქმა, კგ/წ (კგ/ჰა)	ჯამურად მავნე აირების და ნაწილაკების ჰაერიდან შთანთქმის რ-ბა, სულ კგ/წ (კგ/ჰა-ზე)
#	1	2	3	4	5	6	8
„წითელი ბაღი“	3.3	2.0 (0.60)	24.6 (7.45)	48.9 (14.81)	8.2 (2.48)	6.6 (2.0)	90.3 (27.36)
„ექსპო ჯორჯიას“ პარკი	3.2	2.4 (0.75)	33.1 (10.34)	63.8 (19.93)	10.8 (3.375)	9.5 (2.96)	119.6 (37.37)

ვაკის სასაფლაო, თბილისი	17.86	11.31 (0.63)	61.65 (3.45)	613.97 (34.37)	38.85 (2.175)	235.49 (13.18)	961.27 (53.82)

თბილისის სასაფლაოების (ჯამური ფართობი, დაახლ. 517 ჰა), როგორც ქალაქის ეკოსისტემების სერვისების რესურსის გააზრება და სამომავლოდ მისი შესწავლა, ვფიქრობთ საინტერესო იქნება თბილისის ეკოსისტემების სერვისების მთლიანი რესურსის მნიშვნელობისა და მოცულობის აღქმისთვის. საინტერესოდ გვეჩვენება ვაკის სასაფლაოს მწვანე საფარზე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგების ექსტრაპოლაცია თბილისის ძირითადი სასაფლაოების მწვანე სივრცეებზე და მათ მიერ მოწოდებულ ეკოსისტემურ სერვისებზე. ქვემოთ იხილეთ თბილისის ძირითადი სასაფლაოების ჩამონათვალი და მათი დაახლ. ფართობები (ცხრილი 4).

ცხრილი 4. თბილისის ძირითადი სასაფლაოები და მათი ფართობები (ფართობები დათვლილია tas.ge-ს რუკის საზომი ხელსაწყოებით)

x	თბილისის სასაფლაოების დასახელება	მთლიანი ფართობი, ჰა
1	ღრმაღელე	82.5
2	სოფ. გლდანის (ქერჩის ქუჩა) სასაფლაო	9.4
3	ზემო ავჭალის	9.3
4	კუკია 1	20.4
5	კუკია 2	43.5
6	ახალი ვაზისუბნის	6.3
7	პეტრე-პავლეს სახელობის	27.65
8	ზემო ვერის	3.9
9	ვაკის	17.61
10	საბურთალოს	45.29
11	დამპალოს	15.53

12	ვარკეთილის	12.42
13	წმ. ბარბარეს სახელობის	4.39
14	ფონიჭალის	2.4
15	მუხათგვერდის	160.74
16	ზაჰესის	10.125
17	ლოტკინის (ე.წ. „ქურთების“)	4.518
18	დიღმის საქალაქო	11.82
19	ვაშლიჯვრის საქალაქო	4.35
20	სოფ. დიღმის საქალაქო	12.26
21	ზემო საბურთალოს საქალაქო	12.67
	ჯამი	517.07

როგორც ვხედავთ, თბილისის ერთი საქალაქო სასაფლაოს მცენარეულზე ჩატარებულმა მცირე ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ მიწათსარგებლობის ამ ზონის (სპეციალური ზონა-2, სასაფლაოები) მოწოდებული ეკოსისტემების სერვისების მოცულობა და სავარაუდო ეკონომიკური ღირებულება საკმაოდ მნიშვნელოვანია: 1 ჰა-ზე, ღეროში დაგროვილი 48.13 ტ ნახშირბადის ღირებულება $ 6,404 აშშ დოლარი; ხოლო ჯამურად, მთელ პოლიგონზე (17.86 ჰა) - $114.376 აშშ დოლარი. თუ 1 ჰა-ზე ვაკის სასაფლაოს ხე-მცენარეების ღირებულებას გამოვიყენებთ თბილისის შერჩეული 21 მსხვილი სასაფლაოს (ჯამური ფართობი: 517.07 ჰა) მცენარეულის იგივე სერვისის სავარაუდო შეფასებისთვის (იხ. ცხრილი 4), მივიღებთ რომ სასაფლაოების ხეები, წლების განმავლობაში, თბილისის ატმოსფერული ბალანსიდან სავარაუდოდ 26,000 ტონაზე მეტ ნახშირბადს შთანთქამენ (სეკვესტრაცია/წელიწადში) და აფიქსირებენ ხის სხეულში (აკუმულირება, ხის ბილოგიური სიცოცხლის პერიოდში), რაც მონეტარულ გამოსახულებაში დაახლ. $ 3.55 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ჯამურ სერვისს შეადგენს.[13]

ჰაერიდან ნახშირორჟანგის წლიური სეკვესტრირების მაჩვენებლები ფართობის ერთეულზე შემდეგია: „წითელი ბაღი“ (1.39 ტ/ჰა-ზე), „ექსპო-ჯორჯიას“ პარკი (1.47ტ/ჰა-ზე) და ვაკის სასაფლაო (1.92 ტ/ჰა-ზე). ამ მონაცემებზე დაყრდნობით და მიღებული შედეგების ექსტრაპოლაციით შესაძლოა

გამოითვალოს საშუალოდ, წლის განმავლობაში თბილისის ძირითადი პარკებისა და მსხვილი სასაფლაოების ხე-მცენარეულის მიერ ჰაერიდან სეკვესტრირებული ნახშირორჟანგის სავარაუდო რაოდენობაც: ჰაერიდან შთანთქმული ნახშირორჟანგის რაოდენობა პარკებისთვის (ჯამური ფართობი 590.17 ჰა) იქნება დაახლოებით 843.94 ტონა; ხოლო სასაფლაოებისთვის (ჯამური ფართობი: 517.07 ჰა) – 992.77 ტონა. მონაცემების განზოგადების საშუალებით, შესაძლებელი გახდა დაგვედგინა და შეგვეფასებინა თბილისის 19 ურბანული პარკის (ჯამური ფართობით დაახლოებით 590 ჰა) მცენარეულის მიერ მოწოდებული ეკოსისტემების სერვისების: ჰაერიდან ნახშიშირორჟანგის სეკვესტრაცია - 488 ტ/წ, ნახშირბადის ხის სხეულში დაგროვება - 29,499.6 ტონა და ატმოსფეროდან მავნე აირებისა და ნაწილაკების შთანთქმა) დაახლოებითი ღირებულება $ 4 მილიონ აშშ დოლარს აღწევს.

თუ სასაფლაოების მცენარეულის მიერ დაგროვილი ნახშირბადის რაოდენობას აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტოს (EPA-ს) მიერ შემუშავებული სათბური გაზების დათვლის მეთოდოლოგიით გადავთვლით (Greenhouse Gas Equivalencies Calculator), თბილისის სასაფლაოების მწვანე ნარგავების მიერ დაგროვილ ნახშირბადის მთლიანი რაოდენობა (26, 706 ტ) შეესაბამება 1 წლის განმავლობაში 21,200 საშუალო ზომის ავტომობილის მიერ ემიტირებულ სათბური გაზებს, ან 49,000 ტ ქვანახშირის დაწვით წარმოქმნილ, ან დაახლოებით 41 მილიონი ლიტრი ბენზინის დაწვით მიღებულ ემისიებს!

დასკვნა

კვლევის შედეგად მიღებული, ჰაერიდან ნახშირბადის სეკვესტრაციისა და მისი ხის ვარჯში დაგროვების (ფიქსაციის) მონაცემების გამოყენებით, შესაძლებელი გახდა თბილისში და მის შემოგარენში განლაგებული პარკების/ბაღების და სასაფლაოების მწვანე საფარის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება და მათ მიერ მოწოდებული ეკოსისტემების სერვისების სავარაუდო მოცულობების ჯამური შეფასება მათი მთელი ფართობისათვის (საქალაქო პარკების ჯამური ფართობი, დაახლოებით 590.17 ჰა და თბილისის სასაფლაოების ჯამური ფართობი - დაახლოებით, 517.07 ჰა).

თბილისის მსხვილი პარკებისა და სასაფლაოების მწვანე საფარი და ხეები, ჰაერიდან ყოველწლიურად შთანთქამენ 2,000 ტონაზე მეტ ნახშირორჟანგს და ხის ბოჭკოვან სხეულში ინახავენ (აფიქსირებენ) დაახლოებით 55,000 ტონა. ნახშირბადს. ნახშირბადოვანი ემისიების

საერთაშორისო ფასებით, აღნიშნული ეკოსისტემურ სერვისები, ჯამურად, დაახლოებით 6-7 მილიონი დოლარის შეადგენს.

თბილისის მსხვილი პარკებისა და სასაფლაოების ხეები და მწვანე საფარი, ყოველწლიურად ჰაერიდან შთანთქამენ დაახლოებით 43 ტონა მავნე აირებსა და მცირე ზომის მყარ ნაწილაკებს, რაც საერთაშორისო ფასებით, 3 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების სერვისს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ სოციალური და გარემოსდაცვითი სერვისები, რომლებსაც ურბანული პარკები თბილისის მოსახლეობას აწვდიან, სუსტად არიან შესწავლილი მათი ეკოლოგიური, ეკონომიკური, ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური, კულტურული და ზოგადად, ურბანისტული კუთხით.

სამომავლოდ, ვფიქრობთ, აუცილებელი იქნება ისეთი საკვლევი საკითხების პრიორიტეტულად ჩამოყალიბება როგორებიცაა შემდეგი: ა) თბილისის დიდი ზომის პარკების (მთაწმინდის პარკი, თბილისის დენდროლოგიური პარკი, სხვა) ეკოსისტემების სერვისების შესწავლა; ბ) ურბანული მწვანე ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის დეტალური შესწავლა და მისი სამართლიანი სივრცითი განაწილების საკითხების დაყენება; გ) მწვანე სივრცეების დაგეგმარებისას, გადაწყვეტილებების მიღებისას, სამეცნიერო ცოდნისა და კვლევების შედეგების გამოყენება.

ვფიქრობთ, ეს საკითხები პირდაპირ კავშირშია თბილისის მდგრადი განვითარების პრობლემატიკასთან და მათი შესწავლა საქართველოს კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს.

მადლიერების გამოხატვა

კვლევის ჩატარებასა და მონაცემების მოპოვებაში აღსანიშნავია საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს, აშშ-ს სატყეო ფედერალური სერვისის (USDA Forest Service), მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის (TUM-ის) მკვლევართა, იტალიის კვლევით საბჭოს მკვლევარის, დოქტორი როკო პაჩეს, ბიოლოგი-მკვლევარების, გრიგოლ დეისაძისა და მამუკა მირცხულავას, გეოგრაფიის მაგისტრის, გიორგი კირკიტაძის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელთა და სტუდენტთა დროული და გულწრფელი თანადგომა. კვლევის განხორციელება და სამეცნიერო-სასწავლო პრაქტიკის გავლა

მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში, შესაძლებელი გახდა შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის კვლევითი გრანტის საშუალებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

Agarwal, S., Satyavada, A., Kaushik, S., Kumar, R., (2018) Urbanization, Urban Poverty and Health of the Urban Poor: Status, Challenges and the Way Forward (March 2, 2018). Demography India, Vol. 36, No. 1, 2007, [online source] URL: https://ssrn.com/abstract=3133050 , accessed 27.10.2021.

Alpaidze, L., and Pace, R (2021) Ecosystem Services Provided by Urban Forests in the Southern Caucasus Region: A Modeling Study in Tbilisi, Georgia. Climate 2021, 9, 157. https://doi.org/10.3390/cli9110157

Braat, L.C., de Groot, R. (2012) The ecosystem services agenda:bridging the worlds of natural science and economics, conservation and development, and public and private policy, Ecosystem Services, Volume 1, Issue 1, 2012, Pages 4-15, https://doi.org/10.1016/j.ecoser.2012.07.011 .

Costanza, R., d'Arge, R., de Groot, R., Farber, S., Grasso, M., Hannon, B., Limburg, K., Naeem, S., O'Neill, R., Paruelo, J., Raskin, R., Sutton, P., van den Belt, M. (1997) The value of the world's ecosystem services and natural capital. Nature 387 (15), 253–260.

Costanza, R., de Groot, R., Braat, L., Kubiszewski, I., Fioramonti, L., Sutton, P., Farber, S., Grasso, M. (2017) Twenty years of ecosystem services: How far have we come and how far do we still need to go? Ecosystem Services, Volume 28, Part A, 2017, Pages 1-16, URL: https://doi.org/10.1016/j.ecoser.2017.09.008 ,

Daily, G.C. (1997) Introduction: What Are Ecosystem Services? In: Daily, G.C., Ed., Nature's Services: Societal Dependence on Natural Ecosystems, Island Press, Washington DC, 1-10.

Gadrani, L., G. Lominadze, M. Tsitsagi (2018) assessment of landuse/landcover (LULC) change of Tbilisi and surrounding area using remote sensing (RS) and GIS, Annals of Agrarian Science, Volume 16, Issue 2, 2018, Pages 163-169, https://doi.org/10.1016/j.aasci.2018.02.005 .

Gomez-Baggethun, E., de Groot, R., Lomas P.L., Montes, C. (2009) The history of ecosystem services in economic theory and practice: From early notions to markets and payment schemes, Ecological Economics, 69, issue 6, p. 1209-1218, ISSN 0921-8009, https://doi.org/10.1016/j.ecolecon.2009.11.007 ,

Kiss, M., Takács, A., & Gulyás, Á (2015) The role of ecosystem services in climate and air quality in urban areas: Evaluating carbon sequestration and air pollution removal by street and park trees in Szeged (Hungary) (2015), Moravian Geographical Reports, vol.23, no.3, 2015, pp.36-46. https://doi.org/10.1515/mgr-2015-0016 ,

Kochladze, M. (2018) Ambient Air Pollution in Georgia - Challenges of European Integration (2018), a policy brief, Open Society Georgia Foundation, Tbilisi, June 2018. URL: https://osgf.ge/wp-content/uploads/2018/09/Angarishi-A4_-Air_ENG.pdf ,

Nowak, D. J., Bodine, A. R., Hoehn, R. E. III, Edgar, C. B., Riley, G., Hartel, D. R., Dooley, K. J., Stanton, S. M., Hatfield, M. A., Brandeis, T. J., Lister, T. W. (2017) Houston's Urban Forest, 2015. Resour. Bull. SRS–211. Asheville, NC: U.S. Department of Agriculture, Forest Service, Southern Research Station. 91 p., web address: https://www.srs.fs.usda.gov/pubs/54109 ,

Nowak, D. J., Bodine, A. R., Hoehn, R. E., III, Ellis, A., Hirabayashi, S., Coville, R., Auyeung, D.S. Novem; Sonti, N. F., Hallett, R. A., Johnson, M. L., Stephan, E., Taggart, T., Endreny, T. (2018). The urban forest of New York City. Resource Bulletin NRS-117. Newtown Square, PA: U.S. Department of Agriculture, Forest Service, Northern Research Station. 82 p. https://doi.org/10.2737/NRSRB-117. Web-source: https://www.nrs.fs.fed.us/pubs/57234 ,

Prashant, K. (2021) Climate Change and Cities: Challenges Ahead, Frontiers in Sustainable Cities, volume 3, 2021, [online source], URL: https://www.frontiersin.org/article/10.3389/frsc.2021.645613 , https://doi.org/10.3389/frsc.2021.645613

Szkop, Z. (2016) an evaluation of the ecosystem services provided by urban trees: The role of Krasiński Gardens in air quality and human health in Warsaw (Poland), Environ. Socio.-econ. Stud., 2016, 4, 4: 41-50, OI: 10.1515/environ-2016-0023.

Quinton, J.M. and Duinker, P.N. (2018) Beyond burial: researching and managing cemeteries as urban green spaces, with examples from Canada. Environmental Reviews. 27(2): 252-262.
URL: https://doi.org/10.1139/er-2018-0060

Quinton, J.M., Duinker, P.N., Steenberg, J.W.N., Charles, J.D. (2020) Quinton, J.M., Duinker, P.N., Steenberg, J.W.N., Charles, J.D. (2020) The living among the dead: Cemeteries as urban forests, now and in the future, Urban Forestry & Urban Greening, Volume 48, 2020, 126564,
URL: https://doi.org/10.1016/j.ufug.2019.126564

Seto, K. C., Parnell, S., & Elmqvist, T. (2013). A Global Outlook on Urbanization. https://doi.org/10.1007/978-94-007-7088-1_1

Solecki, W., Seto K. C., Marcotullio, P.J. (2013) It's Time for an Urbanization Science, Environment: Science and Policy for Sustainable Development, 55:1, 12-17, URL: https://doi.org/10.1080/00139157.2013.748387 ,

Tan, X., Hirabayashi, S., Shibata, S. (2021) Estimation of Ecosystem Services Provided by Street Trees in Kyoto, Japan. Forests 2021, 12, 311. https://doi.org/10.3390/f12030311

---

[*]ელფოსტა:levan.alpaidze859@sps.tsu.edu.ge

[2] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №110, 2014 წლის 12 მარტი, ქ. თბილისი, „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურის შესახებ“.

[3] მიკრონი (ბერძ. Μικρόν), ან მიკრომეტრი(მკმ, μm) = 0.001 მმ

[4] What is i-Tree? (2020), i-Tree, a cooperative effort between the USDA Forest Service, Davey Tree Expert Company, The Arbor Day Foundation, Society of Municipal Arborists, International Society of Arboriculture, Casey Trees, and SUNY College of Environmental Science and Forestry. Web resource: https://www.itreetools.org/about

[5] i-Tee Eco, field guide v6.0, 2020, USDA Forest Service, online source: https://www.itreetools.org/documents/274/EcoV6.FieldManual.2020.07.23.pdf

[6] DBH (Diameter at the breast height) – დიამეტრი მკერდის სიმაღლეზე.

[7] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020, დადგენილება №23-93, 2015 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი, ონლაინ წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2985711?publication=0

[8] Resolution of the Parliament of Georgia on changing the administrative borders of Gardabani, Mtskheta municipalities, doc. #4173, published in 09/01/2007, in Georgian). Online source (in Georgian): https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/44278?publication=0

[9] თბილისის არქიტექტურა, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, ინტერაქტიული რუკა, ვებგვერდი: https://tas.ge/

[10] გაიზომა ქ. თბილისის შემდეგი საქალაქო პარკების ფართობები: 1) "წითელი ბაღი" (ვასო გოძიაშვილს პარკი); 2) „ექსპო ჯორჯიას პარკი"; 3) „9 აპრილის ბაღი"; 4)"გიორგი ლეონიძის ბაღი"; 5)"დედაენის ბაღი"; 6) „9 მარტის ბაღი"; 7) „თბილისის ბოტანიკური ბაღი"; 8) „მუშტაიდის ბაღი"; 9) პარკი „მზიური"; 10) პარკი „რიყე"; 11) „ვაკის პარკი"; 12) „მთაწმინდის პარკი"; 13) „ვერის პარკი"; 14) „კიკვიძის პარკი"; 15) თბილისის დენდროლოგიური პარკი („თბილისი ზღვაზე"); 16) იპოდრომის ყოფილი ტერიტორია (ე.წ. „ცენტრალური პარკი"); 17) "ხუდადოვის ტყე"; 18) „ძველი ზოოპარკის" გამწვანებული ტერიტორია; 19) „ახალი ზოოპარკი" („თბილისის ზღვაზე").

[11] გაიზომა თბილისის მუნიციპალიტეტის შემდეგი სასაფლაოების ფართობები: 1) ღრმაღელეს, 2) სოფ. გლდანის (ქერჩის ქუჩა) სასაფლაო, 3) ზემო ავჭალის, 4) კუკია 1, 5) კუკია 2, 6) ახალი ვაზისუბნის, 7) პეტრე-პავლეს სახელობის, 8) ზემო ვერის, 9) ვაკის, 10) საბურთალოს, 11) დამპალოს, 12) ვარკეთილის, 13) წმ. ბარბარეს სახელობის, 14) ფონიჭალის, 15) მუხათგვერდის, 16) ზაჰესის, 17) ლოტკინის (ე.წ. „ქურთების"), 18) დიღმის საქალაქო, 19) ვაშლიჯვრის საქალაქო, 20) სოფ. დიღმის საქალაქო, 21) ზემო საბურთალოს საქალაქო.

[12] „სათბურის გაზების“ ექვივალენტის კალკულატორი, აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტო - Greenhouse Gas Equivalencies Calculator, U.S. Environmental Protection Agency, [online source] URL: https://www.epa.gov/energy/greenhouse-gas-equivalencies-calculator

[13] ხეების ღეროში, ტოტებში და ფესვებში დაგროვილი 26,706 ტონა ნახშირორჟანგი * $133.05 აშშ დოლარი/ C ტ = $ 3,553,233.3 აშშ დოლარს.

ლიკა ფეიქრიშვილი ნანო ქარდავა

STEM სპეციალობების სტუდენტი გოგონების ინტერესისა და მოტივაციის გამომწვევი ფაქტორები

აბსტრაქტი

STEM სფეროს, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ინჟინერიასა და მათემატიკას მოიცავს, თანამედროვე მსოფლიოში წამყვანი ადგილი უკავია. მასზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება, რასაც ვერ ვიტყვით STEM-ით დაინტერესებული ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი გოგონების, რაოდენობაზე. მიუხედავად ამისა, ტექნიკური და სამეცნიერო დარგების საზოგადოებრივი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მასთან დაკავშირებული სპეციალობები სტუდენტების მხიდან უყურადღებოდ არ რჩება. სწორედ ამიტომ, კვლევის მიზანი იყო, გაგვეგო ის ფაქტორები, რომლებიც STEM სპეციალობების სტუდენტი გოგონების ინტერესსა და მოტივაციას იწვევს მომავალი პროფესიის არჩევისას. ასევე, დაგვედგინა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ოჯახის, სკოლისა და საუნივერსიტეტო გარემოს მათზე, როგორია ლექტორ/მასწავლებლების, ადმინისტრაციის და საზოგადოების დამოკიდებულება გოგონების მიმართ. ამ საკითხების შესასწავლად შეირჩა ტრიანგულაციის მეთოდი, რომელმაც მოიცვა კვლევის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მიდგომა. თავდაპირველად, მონაცემები შეგროვდა სიღრმისეული ინტერვიუს სახით, რომელმაც მიზნობრივად შერჩეული 9 STEM სპეციალობის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტი გოგონა მოიცვა. ამის შემდეგ, თვისებრივი მონაცემების რაოდენობრივად ასახვისთვის, ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც 150-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებით გამოვლინდა, რომ გოგონების მთავარი მოტივატორი მათი პირადი სურვილი და ინტერესია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა პროფესიული არჩევნის გაკეთებისას, ოჯახის, მეგობრებისა და მასწავლებლების მხარდაჭერამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. აგრეთვე, ხაზი გაესვა იმ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას, რომელსაც გოგონები საკუთარი სპეციალობების გამო, საზოგადეობის მხრიდან გრძნობენ და გამოვლინდა ყველაზე ხშირად მოსმენილი სტერეოტიპული გამონათქვამი. შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ სამიზნე ჯგუფის ინტერესს, უმეტესად, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სიყვარული განაპირობებს, რაც თავის მხრივ, მათ მოტივაციაზეც აისახება.

საკვანძო სიტყვები: STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა), მოტივაცია, ინტერესი, სტერეოტიპები, წინააღდეგობა

Abstract

The STEM field, which includes the natural sciences, computer technology, engineering and mathematics, occupies a leading place in the modern world. The demand for it is growing day by day, which can not be said about the number of young people, especially girls, interested in STEM. Nevertheless, the public importance of the technical and scientific fields is so great that the related specialties do not go unnoticed by the students. That is why the aim of the research was to understand the factors that arouses the interest and motivation to girl students, who are choosing STEM disciplines as a future profession. We also explored the importance of family, school and university environments in this regard and the attitudes of lecturers / teachers, administration and the community towards these girls. In order to study these issues, We chose a triangulation method, which included both qualitative and quantitative approaches of research. Initially, the data were collected in the form of an in-depth interview, which included 9 student girls who were selected from STEM specialties of selected public and private universities. Then, to quantitatively reflect the qualitative data, a survey was conducted in which 150 respondents participated. After processing of the obtained information, it was revealed that the main motivator of the girls is their personal desire and interest. However, it should be noted that the support of family, friends and teachers also played an important in their decision making process. Also, a stereotypical attitudes were highlighted, that girls feel from the public because of their specialties, and the most commonly heard stereotypical expression was revealed. In conclusion, it can be said that the interest of the target group is mostly driven by a love of mathematics and natural sciences, which in turn is reflected in their motivation.

Keywords: STEM (Science, Technology, Engineering, Math), Motivation, Interest, Stereotypes, Obstacle

შესავალი

ინგლისური აბრევიატურა STEM დღეს ფართოდ გამოიყენება აკადემიურ სივრცეში და მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის სფეროებს (Science, Technology, Engineering and Math) მოიცავს. გავრცელებული განმარტების მიხედვით, STEM განათლება გულისხმობს სწავლის

ინტერდისციპლინარულ მიდგომას, სადაც მკაცრი აკადემიური ცნებები დაკავშირებულია რეალური სამყაროს გამოცდილებასთან, იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტები მიღებულ ცოდნას თემში, სამსახურსა და გლობალურ საწარმოსთან ურთიერთობის დროს იყენებენ და კონკურენტულ ეკონომიკურ გარემოს ქმნიან (Tsupros, Kohler, Hallilen 2009). STEM-ის დარგში გამოცდილების მიღება ხელს უწყობს სამეცნიერო აღმოჩენებს და, ამასთანავე, ახალ სამსახურებსა და ეკონომიკურ შესაძლებლობებს უხსნის გზას. ტექნოლოგიური მიღწევების შედეგად, აშშ-ში STEM სამუშაო ადგილები ბოლო 10 წლის განმავლობაში 3-ჯერ გაიზარდა და ამ ტემპით აგრძელებს განვითარებას. თუმცა, მიუხედავად ამისა, კონკრეტული პოზიციებისთვის საჭირო კვალიფიციური სამუშაო კადრები, მასობრივი უმუშევრობის ფონზეც კი, არაა საკმარისი (Modi, Schoenberg, 2012).

ბუნებრივია, მაშინ, როდესაც ისეთი განვითარებული ქვეყნის სამუშაო ბაზარი, როგორიც ამერიკაა, STEM სფეროს პერსონალის დანაკლისს განიცდის, ჯერ კიდევ განვითარებადი სტატუსის მქონე საქართველოსთვის აღნიშნული პრობლემა ბევრად უფრო თვალშისაცემია. „აიფიემი"-ის (IPM) მიერ ჩატარებული 2014 წლის კვლევის თანახმად, დამსაქმებლებს კვლავაც უჭირთ საჭირო კვალიფიციის მქონე კადრების მოძიება, რაც რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. კერძოდ, ქვეყანაში ზოგადად ამ ტიპის სპეციალისტთა ნაკლებობაა, არსებული კადრების კვალიფიკაცია დაბალია, ეს პროფესიები არ მიიჩნევა მოდურად/პრესტიჟულად. კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ჩვენს ქვეყანაში STEM განათლებისადმი ინტერესი, სხვა სფეროებთან შედარებით, ბევრად დაბალია.

IPM-ის კვლევამ უფრო მნიშვნელოვანი საკითხიც წამოწია წინ, კერძოდ ის, რომ გოგონების პროცენტული მაჩვენებელი STEM საბაკალავრო პროგრამებზე 2-ჯერ ნაკლებია ბიჭების პროცენტულ მაჩვენებელზე. ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც, კომპიუტერული ტექნოლოგიები, მათემატიკა, ფიზიკა და მეცნიერება კაცების საქმე უფროა, ვიდრე ქალების, რადგან ბიჭის ტვინი უკეთ ღებულობს და გადაამუშავებს ჩამოთვლილ სფეროებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ვიდრე გოგონასი. ამის კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება იყოს მშობლების დამოკიდებულება ქალიშვილის არჩევანისადმი, საკუთარი ძალები ტექნიკურ სფეროში მოსინჯოს. გარკვეულ შემთხვევებში, ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ შვილის შესაძლებლობებს.

გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უნივერსიტეტებში STEM დარგით დაინტერესებული ახალგაზრდების, განსაკუთრებით, გოგონების რაოდენობა მკვეთრად იზრდება. შესაბამისად, საინტერესო ხდება ის ფაქტორები, რომლებიც მათში ინტერესსა და მოტივაციას აღვივებს და ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროებში წარმატების მიღწევისკენ უბიძგებს.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტი გოგონები, რომლებიც სწავლობენ STEM სპეციალობების საბაკალავრო პროგრამებზე, კერძოდ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე, კომპიუტერულ ტექნოლოგიასა და ინჟინერიაზე და მათემატიკაზე.

კვლევის საგანი არის სამიზნე ჯგუფის დამოკიდებულებისა და მოტივაციის შესწავლა STEM სპეციალობების მიმართ.

კვლევა მიზნად ისახავდა თბილისის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების STEM სპეციალობების სტუდენტი გოგონების ინტერესისა და მოტივაციის გამომწვევი ფაქტორების გამოკვეთასა და შესწავლას პროფესიის არჩევის დროს, შესაბამისად, კვლევითი კითხვა შემდეგში მდგომარეობდა: რა ფაქტორები განაპირობებს უნივერსიტეტის STEM სპეციალობების სტუდენტ გოგონებში ინტერესსა და მოტივაციას, როდესაც ისინი STEM-ის სპეციალობას ირჩევენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარებისას?

მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრა ძირითადი ამოცანები:

1. რა მნიშვნელობა აქვს სკოლასა და ოჯახში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას STEM სპეციალობების სტუდენტი გოგონებისთვის?
2. როგორია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ლექტორ/მასწავლებლების დამოკიდებულება STEM სპეციალობების სტუდენტი გოგონების მიმართ?
3. როგორია თანაკურსელი ბიჭებისა და გოგონების დამოკიდებულება STEM სპეციალობების სტუდენტი გოგონების მიმართ?
4. როგორია ოჯახისა და საზოგადოების დამოკიდებულება STEM სპეციალობების სტუდენტი გოგონების მიმართ?

5. რა გავლენას ახდენს ქართულ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები ზემოთ აღნიშნული სპეციალობების წარმომადგენელ გოგონებზე?

კვლევის ჰიპოთეზა: STEM სპეციალობების სტუდენტი გოგონების ინტერესები პირდაპირ კავშირშია მათ მოტივაციასთან.

რადგანაც კვლევაში გამოყენებულ იქნა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მიდგომა, ჩამოყალიბდა სამი სამუშაო ჰიპოთეზა:

- გოგონების მოტივაცია კავშირშია პერსონალურ ინტერესებთან და სურვილთან;
- ოჯახის წევრების გავლენა მათ პროფესიულ არჩევანზე მნიშვნელოვანია;
- სტერეოტიპები უბიძგებს გოგონებს ინანონ თავიანთი არჩევანი STEM-ის სპეციალობების შესწავლასთან დაკავშირებით.

კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნული თემის სიღრმისეულად საკვლევად შეირჩა მეთოდების ტრიანგულაცია, როგორც „ერთიდაიგივე ფენომენის შესწავლისას გამოყენებული ორი ან მეტი მეთოდის კომბინაცია“(Norman, 1978:291). კემპბელმა (Campbell) და ფისკემ (Fiske) „მრავალჯერადი ოპერაციონალიზაციის“ იდეა განავითარეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვალიდაციის პროცესში ერთზე მეტი მეთოდით ხელმძღვანელობაა საჭირო (Campbell & Fiske, 1959). თავდაპირველად, ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომელიც მისი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდით - სიღრმისეული ინტერვიუთი განხორციელდა, ხოლო მომდევნო ეტაპზე, მექანიზმის მოქმედების შეწავლისა და მონაცემების რაოდენობრივი ანალიზის ჩატარების მიზნით, შეირჩა რაოდენობრივი გამოკითხვის მეთოდი.

გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდნენ თბილისის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტი გოგონები, რომლებიც ე.წ. STEM სპეციალობებს სწავლობდნენ. უნივერსიტეტები შემდეგი ორი პრინციპის გათვალისწინებით შეირჩა: 1. რეიტინგულობა და მოთხოვნადობა, რომელიც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) მიერ 2018 წლის სტატისტიკით განისაზღვრა და 2. კვლევით გათვალისწინებული ფაკულტეტები (ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ბიოფიზიკა, ბიოქიმია), კომპიუტერული ტექნოლოგიები და ინჟინერია, მათემატიკა). ამ მახასიათებლებიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ივ.

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 9 სიღრმისეული ინტერვიუ, რომელმაც მოიცვა აღნიშნული სფეროს შემადგენელი ყველა სპეციალობის წარმომადგენელი სტუდენტი: ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ბიოლოგი, მათემატიკოსი, ინჟინერი, კომპიუტერული ინჟინერი და კომპიუტერული პროგრამისტი. სიღრმისეული ინტერვიუები საშუალოდ 40 წთ-დან 1 სთ-მდე გაგრძელდა და წარიმართა ინტერვიუს გზამკვლევის საშუალებით. ინტერვიუებით მიღებული მონაცემები დამუშავდა კატეგორიზაციის საშუალებით.

მომდევნო ეტაპზე, თვისებრივი მონაცემების მიხედვით მიღებული შედეგების რაოდენობრივად გასაანალიზებლად, ჩატარდა რაოდენობრივი გამოკითხვის მეთოდი, გამოიყო ძირითადი ცვლადები, მოტივაცია და ინტერესი, და მათი გასაზომი ინდიკატორები: ოჯახი, მეგობრები, მასწავლებლები, ლექტორები, საუნივერსიტეტო გარემო, პერსპექტივა, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო საგნების სიყვარული.

კვლევის ინსტრუმენტს ონლაინ კითხვარი წარმოადგენდა, რომელიც ე.წ. Google Form-ის პლატფორმაზე შეიქმნა. მის ძლიერ მხარედ შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ სასურველი ინფორმაციის მიღება მოკლე დროსა და ნაკლები ხარჯის გარეშე გახდა შესაძლებელი. ამასთანავე, რესპონდენტებისთვის კითხვარზე წვდომა საკმაოდ მარტივი იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის სისუსტეებიც, რაც რაოდენობრივი კვლევის ნაწილს ახლდა თან. კერძოდ, მკვლევარს ონლაინ გამოკითხვის სრული კონტროლი არ შეეძლო და ცალკეულ შეკითხვებზე რესპონდენტების მხრიდან ჩასაწერ პასუხებთან დაკავშირებული ინტერპრეტაციის გაგება სირთულეს წარმოადგენდა.

მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე და მოიცვეს თითქმის ზემოთ ნახსენები კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტები. არსებული კვლევის ფარგლებში სულ გამოიკითხა 150 გოგონა და დაფიქსირდა არგამოპასუხების 20 შემთხვევა. კითხვარის შევსებას, საშუალოდ, 15-20 წუთი დასჭირდა და ამ პროცესმა ერთ კვირას გასტანა. კითხვარების შევსების შემდგომ დაიწყო მონაცემთა დამუშავება, რომლის პირველი საფეხურიც იყო მონაცემების შეყვანა SPSS-ში, შემდეგ კი -

მათი რეკოდირება. ამის შემდგომ განხორციელდა მონაცემთა კროსტაბულაცია და კორელაციური ანალიზი.

კვლევის შედეგების შეზღუდვას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შერჩევა არც ისე ფართოა და მოიცავს მხოლოდ თბილისის მასშტაბით არსებულ უნივერსიტეტებს, რაც გენერალურ ერთობლიობაზე შედეგების განზოგადების საშუალებას ნაკლებად იძლევა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ რაოდენობრივი ნაწილი ზოგადი სურათის განმტკიცებაში გვეხმარება. შესაბამისად, წარმომადგენლობითობაზე აქცენტი ნაკლებადაა გაკეთებული, რადგან რაოდენობრივი კვლევა თვისებრივი მონაცემებით მიღებული შედეგების გადამოწმებას ემყარებოდა. ასე რომ, თვისებრივმაც და რაოდენობრივმა ნაწილმაც დაახლოებით ერთი ტიპის პოპულაცია მოიცვა.

ლიტერატურის მიმოხილვა

მადარა და ნამაგო მსოფლიოში მიმდინარე ისეთი პროცესების ფონზე, როგორებიცაა: გლობალიზაცია, კლიმატის ცვლილების შემსუბუქება და ადაპტაცია, სიღარიბესთან ბრძოლა, ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი და ა.შ., ხაზს უსვამენ მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მნიშვნელობასა და დანიშნულებას. მათი თქმით, გამოცდილი და მრავალფეროვანი უნარებით დაჯილდოებული ინჟინრების საჭიროება ისეთი მაღალია, როგორც არასდროს, რადგანაც, დღევანდელი ბაზრის პირობებში, პროდუქტიულობა წარმოუდგენლად იზრდება ისეთ სპეციალისტებში, რომლებიც მაღალკომპეტენტურები არიან მათემატიკასა და მეცნიერებაში და სწრაფად ცვალებად პროფესიებს მარტივად ეგუებიან (Madara, Namago, 2016). მშობლებისა და მასწავლებლების გენდერული სტერეოტიპები, რწმენები და წარმოდგენები, რომლებიც მიმართულია ბავშვების მათემატიკისადმი დამოკიდებულებისკენ, შემდგომში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათზე. მშობლებს ღრმად სწამთ, რომ მათ ვაჟებს, გოგონებთან შედარებით, ბუნებრივი მათემატიკური ტალანტი აქვთ და, შესაბამისად, ამ სფეროში მეტს მიაღწევენ, გოგონებს კი იმავე კარიერის გაკეთება ზევრად გაურთულდებათ (Eccles, 1990).

მოს-რაკუზინი და დოვიდიო აღნიშნავენ, რომ ხალხის დამოკიდებულება მეცნიერი ქალებისადმი ყალიბდება დაფარული ან გაუთვალისწინებელი მიკერძოებით, რომელიც გავრცელებული კულტურული სტერეოტიპებიდან მომდინარეობს. ისინი ქალს ნაკლებად კომპეტენტურად წარმოაჩენენ, თუმცა, ამავდროულად, გამოკვეთენ მათ სითბოსა და კეთილგანწყობას, კაცებთან

შედარებით. უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, სექსიზმის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, ეს დახვეწილი გენდერული მიკერძოებები, ხშირად, ყველაზე ეგალიტარულ ინდივიდებშიც კი ვლინდება და როგორც კაცების, ისე ქალების მხრიდან გამოიხატება (Moss-Racusin, Dovidio, 2012). მსგავსი სიტუაციაა საქართველოშიც, სადაც გამოკითხულ დამსაქმებელთა 92% აცხადებს, რომ ისინი ვერ ხედავენ ქალების წარმომადგენლობის გაზრდის საჭიროებას საკუთარ კომპანიაში/საწარმოში (Gay, Javakhishvili, 2014).

ტელისა და ორტიზის მიხედვით, გოგონები, რომლებიც ირჩევენ მეცნიერებას, ტექნოლოგიებს, ინჟინერიასა და მათემატიკას, მოტივაციის მნიშვნელოვან წყაროდ ასახელებენ „კარიერის პარამეტრებს“ და „ოჯახის მხარდაჭერას“. მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ხშირად, სტრესსა და წინააღმდეგობებს აწყდებიან, მაინც თავდაჯერებულნი არიან საკუთარი შრომისმოყვარეობის უნარში და ფიქრობენ, რომ ყველაზე მთავარი თვითმოტივაციაა. მათ არ აშინებთ ის ფაქტი, რომ სქესის გამო, გარშემომყოფები ნაკლებ მოლოდინებს ამყარებენ მათზე (Talley, Ortiz, 2016).

ონგი დაახლოებით 40 წლის განმავლობაში იკვლევდა STEM სპეციალობებზე მყოფი გოგონების პოსტ-საშუალო განათლების გამოცდილებას, რათა დაედგინა ის ფაქტორები, რომლებიც ქალების ტექნიკურ სპეციალობებზე მოხვედრის დაჟინებულ სურვილს, მიზანდასახულობასა თუ, პირიქით, მათ მიერ თავის შეკავებას განაპირობებდა. მათგან მნიშვნელოვანი კი გამდრიდრების პერსპექტივა, თანატოლებთან და ფაკულტეტთან ინტერაქცია, აკადემიური თვითშეგრძნება და პერსონალური სურვილი აღმოჩნდა (Ong, 2011). მეორე მხრივ, ედზის (Edzie) კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ გოგონების სამოტივაციოდ მნიშვნელოვანია შემდეგი კომპონენტები: ალტრუიზმი, კარიერული გზები, თავდაჯერებულობა და STEM სპეციალობებისადმი მიდრეკილება. ამასთანავე, გამოიკვეთა მშობლების ფაქტორიც, კერძოდ, ბევრმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ამ დარგის შესწავლის სურვილი გაუჩნდა დედ-მამისგან, რომლებმაც უკვე მიაღწიეს წარმატებას STEM-ში (Edzie, 2014).

მოტივაციის კიდევ ერთი ინტეგრირებული მოდელი ეკუთვნის ლეონარდს, ბარბუტოსა და შოლს, რომლებიც 5 ძირითად წყაროს გამოყოფენ. პირველი მათგანია „მოტივაციის შინაგანი პროცესი“, რომლის დროსაც ინდივიდები მოტივაციას არსებითად სასიამოვნო ამოცანების შესრულების დროს იღებენ, თუმცა, შინაგანი მოტივატორის დაკარგვის შემთხვევაში, ეს პროცესიც სრულდება. მეორე ელემენტია „ინსტრუმენტული მოტივაცია“, როდესაც ინდივიდს სჯერა, რომ მისი მოტივაცია რაიმე მანქანა ან ინსტრუმენტია, რომელსაც მივყავართ ისეთ შედეგებამდე, როგორებიცაა: კარგი ქულები,

სტაჟირება, სამსახურის შეთავაზებები და ა.შ. მესამე ელემენტს წარმოადგენს „გარეგან თვით-კონცეფციაზე დაფუძნებული მოტივაცია", რომლის წარმმართველი წყარო კონკრეტული ჯგუფის წარმოდგენები და მითითებებია. შემდეგი ელემენტი „შინაგან თვით-კონცეფციაზე დაფუძნებული მოტივაციაა", როდესაც ინდივიდმა ზუსტად იცის, როგორ უნდა მიაღწიოს მიზანს. მეხუთე ელემენტად კი „მიზნის ინტერნალიზაცია" გვესახება, რომელშიც ინდივიდის ფასეულობათა სისტემა შეესაბამება მის შინაგან ქცევებსა და დამოკიდებულებებს (Leonard & Scholl, 1998).

კვლევის ფარგლებში გამოყენებეული მეთოდოლოგიური მიდგომაც სწორედ ზემოთ მოცემულ აბზაცში ხაზგასმულ მოტივაციის ძირითად წყაროებს ეფუძნება და, მიღებული შედეგების საფუძველზე, ამ ცნების ოპერაციონალიზაციას ახდენს.

შედეგების ინტერპრეტაცია

რესპონდენტებმა სიღრმისეულ ინტერვიუებში ისაუბრეს მომავალი პროფესიის არჩევის წინაპირობებზე. აღმოჩნდა, რომ მათმა უმეტესობამ კონკრეტული სპეციალობის სწავლა პირადი ინტერესის გამო გადაწყვიტა, თუმცა, საგულისხმოა მომავალი პერსპექტივის ფაქტორიც (საკუთარი პროფესიით დასაქმება, კარგი ანაზღაურება, აღიარება), რომელიც გოგონებმა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად დაასახელეს. ინტერვიუს მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ, უნივერსიტეტის გარდა, რესპონდენტები პარალელურად დასაქმებულები არიან როგორც საკუთარი სპეციალობით, ისე მასთან ახლოს მდგარ დარგებში და, ამასთანავე, აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა სახის აქტივობაში.

გოგონებმა აღნიშნეს, რომ ლექციების შემდეგ საკმაოდ დატვირთული გრაფიკი აქვთ. მათგან თითქმის ყველა კერძო რეპეტიტორია და თავისუფალ დროს მოსწავლეებსა და სტუდენტებს ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო საგნებში ამეცადინებს. რესპონდენტების თქმით, ეს საქმე მათთვის ერთგვარი გამოწვევაა, რომლისგანაც თავადაც ბევრ სიახლეს იღებენ და სწავლობენ.

რეპეტიტორობა გოგონებისთვის მხოლოდ შემოსავლის წყაროსა და თავშესაქცევს არ წარმოადგენს, ამით ისინი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ პროფესიულ ცოდნას იმყარებენ და მომავალში აკადემიურ სფეროში თავის დამკვიდრების ნიადაგსაც იმზადებენ. სასკოლო რეპეტიტორული სწავლების 65-მა დამოუკიდებელმა შეფასებამ, საგანმანათლებლო შედეგების მეტა-ანალიზისას

(Cohen, Kulik, & Kulik, 1982), აჩვენა, რომ სტუდენტი ტუტორები საგნის მნიშვნელობას მოსწავლეების მომზადების დროს ბევრად უკეთ იგებენ, ვიდრე სწავლის პერიოდში ესმოდათ. მათ, სხვებისთვის სწავლების ინტერაქტიულ პროცესში, რეფლექსიური ცოდნა უვითარდებათ (Roscoe & Chi, 2008).

თვითდასაქმების გარდა, გოგონები კერძო კომპანიებში არიან დასაქმებულები და უნივერსიტეტში მიღებულ თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში იყენებენ. მათი აზრით, საკუთარი პროფესიით მუშაობა თავდაჯერებულობასა და სიამაყის განცდას ჰმატებთ. ჰულის (Hooley) მიხედვით, STEM-ის კურსდამთავრებულებს აქვთ ცოდნა, რომელიც შრომის ბაზარზე საკმაოდ დაფასებულია. არსებობს სამუშაო ადგილები, რომლებიც STEM ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყველა, ვინც ამ სფეროს სწავლობს, საკუთარი პროფესიით არ საქმდება. ეს ფაქტი შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ყველა სპეციალობაზე ერთნაირი მოთხოვნა არ არის. მაგალითად, ინჟინერისთვის უფრო მეტი შანსი და შესაძლებლობებია შრომით ბაზარზე, ვიდრე ფიზიკოსისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკის კურსდამთავრებულები უდავოდ გამოიყენებენ თავიანთ უნარებს (Hooley, Hutchinson & Neary, 2012).

STEM სპეციალობების სტუდენტი გოგონები საკმაოდ აქტიურები არიან. მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, ისინი ხშირად ერთვებიან მოხალისეობრივ საქმიანობაში, მონაწილეობას იღებენ ტექნოლოგიურ პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებში, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და პრაქტიკებში. ამას გარდა, სხვა სტუდენტებსაც ეხმარებიან ცოდნის მიღებაში და საკუთარ გამოცდილებებს უზიარებენ.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ რესპონდენტებისთვის პროფესიის არჩევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო პერსპექტივა, რომელშიც გოგონებმა საკუთარი სპეციალობით დასაქმება, კარგი ფულადი ანაზღაურება, სახელი და აღიარება იგულისხმეს. შესაბამისად, თავიანთი სურვილისა და მისწრაფებების გარდა, იმასაც ითვალისწინებდნენ, თუ რამდენად შეძლებდნენ კონკრეტული პროფესიით ამ ყველაფრის რეალიზებას. მეორეს მხრივ, იყო შემთხვევები, როცა გოგონები უნივერსიტეტში ჩაბარებამდე საერთოდ ვერ ხედავდნენ თავიანთი მომავალი პროფესიის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას და, იმის გამო, რომ, მათი აზრით, კონკრეტული სფეროები ქართულ ბაზარზე არც ისე გავრცელებული და დაფასებულია, დიდხანს ფიქრობდნენ და ორჭოფობდნენ საკუთარ გადაწყვეტილებაზე. თუმცა, სპეციალობისადმი სიყვარული და მისი სიღრმისეულად შესწავლის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ არსებულ ეჭვებზე თვალი დახუჭეს.

გოგონებმა STEM სფეროს არჩევაში, ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, ოჯახისა და მეგობრების განსაკუთრებული წვლილიც აღნიშნეს და მათ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოტივატორად მიიჩნიეს. მეორე მხრივ, იმ წინააღმდეგობებზეც ისაუბრეს, რომლებიც პროფესიის არჩევის დროს მშობლების მხრიდან შეხვდათ. რესპონდენტების ნაწილს ოჯახის მხრიდან საკუთარ არჩევანში სრული თავისუფლება ჰქონდა. მათი თქმით, დედ-მამა შვილის გადაწყვეტილებაში საერთოდ არ ჩარეულა და ყველანაირად უწყობდა ხელს, რათა გადაწყვეტილება საკუთარი სურვილისამებრ, დამოუკიდებლად მიეღო. იყო შემთხვევები, როდესაც გოგონებს სწორედ მშობლებმა მისცეს ბიძგი, რომ ის საქმიანობა აერჩიათ, რაც მოსწონდათ და უნდოდათ და საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ შეეტანათ. დედები, მამებთან შედარებით, უფრო დიდ გავლენას ახდენენ შვილის გადაწყვეტილებებზე, მათ შორის, პროფესიულ არჩევანზე. ამის მიზეზად შეიძლება დედაშვილური დამოკიდებულება მივიჩნიოთ. დედები ბავშვებთან, განსაკუთრებით, გოგონებთან, უფრო დიდ ემოციური კავშირს ამყარებენ. (David, Ball, 2003).

გამოიკვეთა მამების როლიც, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, ან ნაკლებად ერეოდნენ შვილების საქმეში, ან ყველანაირად ცდილობდნენ, დახმარებოდნენ და მათი არჩევანი წაეხალისებინათ. ზოგ შემთხვევაში რესპონდენტებმა გადაწყვიტეს, მამების გზას გაჰყოლოდნენ და ეს ერთგვარ ბარიერადაც ექცათ. კერძოდ, გაჩნდა ეჭვი იმისა, რომ მათ პროფესია გაუცნობიერებლად აირჩიეს. თუმცა, ისიც აღნიშნეს, რომ მშობლების პროფესიებმა და იმ გარემომ, რომელშიც გაიზარდნენ, გარკვეულწილად, მათი მომავალი განაპირობა. მშობელთა როლურ მოდელებს საკმაოდ დიდი ზეგავლენა აქვთ შვილების ჩართულობასა და ღირებულებებზე. როდესაც ბავშვები მშობლებს აკვირდებიან და ამჩნევენ, რომ მათ მოსწონთ და აფასებენ მათემატიკას, შემდგომ ეს ქცევები საკუთარ ცხოვრებაში გადმოაქვთ და ერთგვარ იმიტაციას აკეთებენ (Bandura & Walters, 1963).

მშობლები, რომლებიც STEM სფეროსთან დაკავშირებულ გენდერულ სტერეოტიპებს ეთანხმებიან, სავარაუდოდ, საკუთარი ქალიშვილების შესაძლებლობებს არ აფასებენ, რასაც ვერ ვიტყვით ვაჟებთან მიმართებით მათ დამოკიდებულებაზე (Frome & Eccles, 1998). ტრადიციული გენდერული სტერეოტიპების მქონე დედების ქალიშვილებმა ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომავალ პროფესიებად ფიზიკური და მათემატიკური მეცნიერებები აირჩიონ. (Jacobs & Bleeker, 2004). ამ შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავინახოთ, რომ მშობელთა რწმენები ერთგვარად განაპირობებს ახალგაზრდების რწმენას თავიანთი შესაძლებლობების მიმართ, რაც, თავისთავად, მათ მომავალ

მიღწევებსა და კარიერულ არჩევანზე აისახება (Gunderson, 2012). თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, ძირითად შემთხვევებში, მსგავსი დამოკიდებულება მაშინვე იცვლება, როდესაც გოგონები სპეციალობების შესწავლას აქტიურად იწყებენ და მშობლებიც ხედავენ, რომ თავიანთი შვილები ნამდვილად კარგ და ღირებულ საქმეს აკეთებენ.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სამეგობრო წრე ძალიან დიდ როლს თამაშობს გოგონების მოტივაციის გაზრდასა და მათთვის ემოციური მხარდაჭერის საქმეში. როდესაც ისინი გრძნობენ, რომ საყვარელ ადამიანებს მათი სჯერა, თავდაჯერებულობა და სიმტკიცე ემატებათ და მიზნის მისაღწევად საჭირო გზაზე სიარულს უფრო თამამად განაგრძობენ, რითიც, ხშირად, თავად ხდებიან მისაბაძი მაგალითები.

ამას გარდა, გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა ნაწილისთვის სკოლის მასწავლებელი ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი და საკუთარი მომავალი სპეციალობისადმი ინტერესის გამღვივებელი იყო. ხაზი გაესვა მის მიდგომასა და გადმოცემის უნარს, რადგან, როგორც გოგონებმა ახსენეს, როცა მასწავლებელი კარგად და გასაგებად ხსნიდა მასალას, თავადაც ზევრად სიამოვნებდათ იმ საგნის სწავლა და მეტი გულისყურით ეკიდებოდნენ მას. ამასთანავე, მასწავლებლის მხრიდან პროფესიული არჩევნის მოწონება უფრო უმყარებდათ გადაწყვეტილებას. მასწავლებლის მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდების ჩართულობისა და მოტივაციისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეები მათემატიკურ ცოდნას გონებრივ შესაძლებლობებთან აიგივებენ, ტექნიკურ საგნებში წარმოშობილ სირთულეებს, ჩვეულებრივ, ნაკლები უნარების ქონას დააბრალებენ. აქედან გამომდინარე, მხარდამჭერი პედაგოგები, რომლებიც მოსწავლეების შესაძლებლობებს სათანადოდ შეაფასებს და მათ ერთმანეთში დაპირისპირებას თავიდან აიცილებს, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს სწავლის მოტივაციის გაზრდას (Ryan & Patrick, 2001).

ზემოთ მოყვანილი მაგალითებისგან განსხვავებით, რესპონდენტებმა გაიხსენეს ისეთი შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი არათუ გოგონების ინტერესსა და მოტივაციაზე ზრუნავდა, არამედ ვერც კი ხსნიდა საგანს ისე, რომ ბავშვებს რაიმე გაეგოთ. რამდენიმე გოგონამ აღნიშნა, რომ უკვირთ კიდეც, რატომ შეუყვარდათ ასე თავიანთი სპეციალობა მაშინ, როცა სკოლიდან საკმარისი ცოდნა ვერ წამოიღეს. ამ ფაქტის ასახსნელად შეიძლება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებული ასაკობრივი სხვაობა მოვიხმოთ. საქართველოში ხანდაზმული პედაგოგების წილი ძალიან მაღალია,

რაც მიწოდების და მოთხოვნის ნაკლებობას შეიძლება იწვევდეს და, ამასთანავე, ამცირებდეს ურთიერთგაგების შესაძლებლობას (ანდღულაძე, 2016).

გოგონებმა განსაკუთრებული ყურადღება საუნივერსიტეტო გარემოსა და სწავლებაზე გაამახვილეს. ისაუბრეს იმაზე, თუ რატომ აირჩიეს თავიანთი უნივერსიტეტი და რამდენად გაუმართლდათ ის მოლოდინები, რომლებიც იქ ჩაბარებამდე ჰქონდათ. ამასთანავე, ხაზი გაუსვეს ლექტორის, როგორც მოტივაციის მომცემი ერთ-ერთი ფაქტორის როლს, თანაკურსელების დამოკიდებულებასა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტუდენტებთან ურთიერთობას.

რესპონდენტებმა ლექტორები ორ ნაწილად დაყვეს. პირველი კატეგორიის ლექტორები მაქსიმალურად ცდილობენ, ყველა სტუდენტს თანაბრად მიაწოდონ ახალი ინფორმაცია და არც იმას ზარდებიან, რომ ერთიდაიგივე მასალა რამდენჯერმე ახსნან იმისთვის, რომ სტუდენტებმა კარგად გაიგონ მისი არსი. ამასთანავე, სტუდენტთან აუდიტორიის გარეთ კონტაქტსაც არ თაკილობენ. როგორც ჩანს, ლექტორები პირდაპირი თუ ირიბი გზებით სტუდენტების გაძლიერებას უზრუნველყოფენ და მათ პრობლემებს ეცნობიან, ამიტომაც, ზოგჯერ, სტუდენტები ყველაზე მცოდნე და სანდრო დამხმარეებად სწორედ მათ სახავენ. ეს ფაქტი იმითაც აიხსნება, რომ ლექტორებს მათთან ინტერაქციისთვის და ცოდნის გაზიარებისთვის საჭირო პლატფორმა გააჩნიათ (Gerard, 2007). შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ მოზარდებს კარიერულ და აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით რჩევის მიღება პროფესორებისგან ურჩევნიათ (Alexitch, 2002).

რაც შეეხება მეორე კატეგორიას, მასში შემავალი ლექტორები, გარდა იმისა, რომ მასალას კარგად ვერ ხსნიან, სტერეოტიპული გამონათქვამებითაც გამოირჩევიან, რითიც გოგონებს აკნინებენ და მათი ტექნიკურ სფეროში ყოფნისადმი აღშფოთებას გამოხატავენ. თუმცა, რამდენიმე რესპონდენტმა ხაზი გასუვა იმასაც, რომ ბევრჯერ უგრძვნია თავი პრივილეგირებულად თავისი გენდერის გამო. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ ლექტორის პირდაპირი მოვალეობაა, ისინი ყველა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოს. მიუხედავად იმისა, რომ მათ დამატებითი ძალისხმევა უნდა ჩადონ ყველა დეტალის გაგებაში, კონკრეტულ საკითხზე კონცენტრირებისთვის მაინც სჭირდებათ გზამკვლევი, ამ შემთხვევაში - ლექტორი, რომელიც მათთვის საჭირო ძირითად ცნებებს აუხსნის (Mulligan, Kirkpatrick, 2000).

სირთულეებზე საუბრისას, გოგონებმა ის სტერეოტიპები გაიხსენეს, რომლებსაც საკუთარი მომავალი პროფესიის გამო ხვდებიან ყოველდღიურობაში. ყველაზე გავრცელებული შეხედულებით, მათ შესაძლებლობებს ყოველთვის კაცის ტვინთან და უნარებთან ადარებენ და ამბობენ, რომ ბიჭი მეტადაა მიდრეკილი ტექნიკური და საბუნებისმეტყველო საგნებისკენ, ვიდრე გოგო, რადგან ქალს არ აქვს იმხელა გონებრივი რესურსი, რამდენიც - მისი საპირისპირო სქესის წარმომადგენელს. მოზარდობის ასაკი იდენტობის ფორმირების ძირითადი პერიოდია. ამ დროს სკოლის საგნების ერთგვარი დახარისხება მიმდინარეობს, კერძოდ, მოსწავლეები გარკვეულ საგნებთან იდენტიფიცირებას ახდენენ, ხოლო დანარჩენს - უარყოფენ და ამგვარად აყალიბებენ საკუთარ პიროვნებას. იმის გამო, რომ ზოგიერთი საგანი უფრო მეტად მასკულინური, ხოლო ზოგი - ფემინური ჩანს, არჩევანი მხოლოდ აკადემიურ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე დამოკიდებული აღარ არის (Hannover & Kessels, 2004). ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არამარტო უცხოსგან, საკუთარი მშობლისგანაც კი მოუსმენია მსგავსი შეხედულება.

გამოიკვეთა, რომ STEM სპეციალობების სტუდენტი გოგონები თავიანთი პროფესიით, უმეტესად, საზოგადოების გაკვირვებას იწვევენ, რადგან, როგორც თავად ამბობენ, ხალხი მათგან არ ელის ისეთი საქმის შესრულებას, რომელსაც, უმეტესად, კაცები ასრულებენ. ამ ფაქტს ისიც ცხადყოფს, რომ, მათთან ერთად, სამსახურში უფრო მეტი მამრობითი სქესის წარმომადგენლები მუშაობს, ვიდრე - მდედრობითი. ერთ-ერთმა გოგონამ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ძალიან ბევრია დამოკიდებული მშობლებზე და იმაზე, თუ როგორ აღზრდიან ბავშვს და ლოგიკურ აზროვნებას განუვითარებენ. გოგონების უმრავლესობის თქმით, მათ, ასევე, ხშირად ესმით ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, STEM სფეროში მომუშავე ქალს ვერ ექნება პირადი ცხოვრება, არ ეყოლება ოჯახი და შვილები და მხოლოდ სამსახურზე მოუწევს კონცენტრირება, რასაც ისინი არ ეთანხმებიან.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში 150 გოგონა გამოიკითხა. მათი რაოდენობა, ფაკულტეტების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ბიოფიზიკა, ბიოქიმია) – 82 გოგონა, კომპიუტერული ტექნოლოგიები და ინჟინერია - 45 გოგონა, მათემატიკა - 23 გოგონა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითოეულ მათგანს კითხვარი დაეგზავნა პირადად, მკვლევრის მიერ, შესაბამისად, იმის საფრთხე, რომ კვლევაში მონაწილეობა სამიზნე ჯგუფის გარეთ მყოფ ადამიანს მიეღო, ნაკლები იყო.

რადგანაც რაოდენობრივი ნაწილის მიზანი, თვისებრივის მსგავსად, STEM სპეციალობების სტუდენტი გოგონების ინტერესისა და მოტივაციის შესწავლა და მათი გამომწვევი ფაქტორების გამოვლენა იყო, თავდაპირველად დასმული კითხვებიც პირდაპირ ეხმიანებოდა იმ ძირითად სუბიექტსა და ობიექტს, რომლებმაც ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მათ არჩევანში. აღმოჩნდა, რომ 34%-სთვის პროფესიის არჩევნის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი საკუთარი სურვილი აღმოჩნდა, 29%-მა ბიძგის მიმცემად ოჯახის წევრი დაასახელა, 15%-მა - სკოლის მასწავლებელი, ხოლო 10%-მა - მეგობარი (იხ. გრაფიკი1). ეს შედეგი ცხადყოფს, რომ „შინაგანი მოტივაცია“ უმთავრესია იმ ფაქტორებთაგან, რომლებიც პიროვნების მიზნის მიღწევისა და წარმატებისკენ სწრაფვას განაპირობებს (Leonard, Barbuto & Scholl, 1998). ამასთანავე, კიდევ ერთხელ ადასტურებს თვისებრივი კვლევის შედეგებს, რომელთა მიხედვითაც, ოჯახი, სკოლის მასწავლებლები და მეგობრები ფუნდამენტურ როლს ასრულებენ STEM სფეროთი გატაცებული გოგონების ინტერესებისა და მოტივაციის ფორმირების საქმეში. ლეონარდის კონცეფციის თანახმად, აღნიშნული შედეგი შეიძლება „გარეგან თვით-კონცეფციაზე დაფუძნებული მოტივაციას“ მივაკუთვნოთ, რადგანაც, ამ შემთხვევაში, მოტივაციის წარმმართველი წყარო კონკრეტული ჯგუფის წარმოდგენლები და მათი მითითებებია (Leonard, Barbuto & Scholl, 1998). ამ ჯგუფში იგულისხმება როგორც მშობლები, ოჯახის სხვა წევრები, ისე - მეგობრები, სკოლის მასწავლებლები და ლექტორები.



გრაფიკი 1 – STEM სფეროს არჩევის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი

გარდა ამისა, გამოიყო ის მატერიალური თუ არამატერიალური ფაქტორებიც, რომლებმაც, თავის მხრივ, გავლენა იქონია გოგონების არჩევანზე. მათმა 59%-მა უპირატესობა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სიყვარულს მიანიჭა, 30%-ის თქმით, მათი არჩევნის მიზეზი პერსპექტივა გახდა, 4%-მა მიზეზად საინჟინრო და ტექნოლოგიური პროექტი, 3%-მა კი დედის ან მამის STEM სფეროში მუშაობა დაასახელა(იხ.გრაფიკი2). ამ კონკრეტულ შედეგს შეიძლება „ინსტრუმენტული მოტივაცია“ დავუკავშიროთ, იქიდან გამომდინარე, რომ გოგონებისთვის მათი მოტივაცია რაიმე მანქანა ან ინსტრუმენტია, რომელსაც მივყავართ ისეთ შედეგებამდე, როგორებიცაა: კარგი ქულები, სტაჟირება, სამსახურის შეთავაზებები (Leonard, Barbuto & Scholl, 1998), შესაბამისად, იმ სასურველ მიზნამდე, რომელსაც პერსპექტივა ეწოდება, მისვლა მეტ სტიმულს სძენს მათ.



გრაფიკი 2 - კონკრეტული სპეციალობის არჩევის განმაპირობებელი ფაქტორი

კითხვაზე, თუ რატომ აირჩიეს კონკრეტული სპეციალობა (იხ. გრაფიკი 5), ძირითადი მიმართულების სფეროს ინტერესს 51% სრულიად დაეთანხმა, 4%-მა კი მთლიანად უარყო ეს პასუხი. 37%-სთვის ძირითადი სპეციალობის პერსპექტიულობა სრულიად მართალ დაშვებად მიიჩნა, ხოლო 13%-თვის - ნეიტრალურად. 26% თავის სფეროს ფულის შოვნის კარგ საშუალებად ასახელებს, 7% კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ დებულებას. საკმაოდ საინტერესო იყო იმ დაშვებაზე გაცემული პასუხები, რომლის მიხედვითაც, სპეციალობის არჩევის მთავარი მიზეზი კაცობრიობისთვის რაიმე ღირებულის შექმნა იყო. 67% ამ დებულებას დაეთანხმა, 10%-მა ნეიტრალური პოზიცია დაიჭირა,

ხოლო 7%-მა - უარყო. რაც შეეხება მოტივატორებს (იხ. გრაფიკი 6), მშობლების/ოჯახის წევრების მხარდაჭერა 45%-სთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, 23%-სთვის - უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე უმნიშვნელო, ხოლო 8%-სთვის - უმნიშვნელო. მეგობრების მხარდაჭერას შედარებით ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი ხვდა წილად, ეს ფაქტორი მნიშნელოვნად 25%-მა მიიჩნია, უმნიშვნელოდ კი - 11%-მა. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ინტერვიუების დროს რესპონდენტების მხრიდან დასახელდა, იყო წინააღმდეგობა ოჯახის ან საზოგადოების მხრიდან. გამოკითხვის შედეგად, 17% მას მნიშვნელობას ანიჭებს, 36% კი საპირისპირო აზრზეა. საუნივერსიტეტო სწავლებასა და გარემოსთან და ლექტორების კეთილგანწყობასა და პროფესიონალიზმთან დაკავშირებით შედეგები, დაახლოებით, ერთნაირად ნაწილდება და გამოკითხულთა უმრავლესობა მათ მნიშვნელოვნად მიიჩნევს. იგივე შეიძლება ითქვას სამუშაო გამოცდილებაზეც. ტელისა და ორტიზის (Talley & Ortiz) მიერ ჩატარებულ 2016 წლის ანალოგიური შინაარსის კვლევაში სამუშაო შესაძლებლობები და სახელფასო პირობები პროფესიის არჩევის ერთ-ერთ წამყვან მიზეზებად სახელდება. ამასთანავე, ედზის (Edzie, 2014) კვლევაში მეგობრების ფაქტორი ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებლით შეფასდა, შესაბამისად, დაემთხვა ამ კვლევის შედეგს.

მონაცემების დამუშავების დროს, კროსტაბულაციური ანალიზით დადგინდა, რომ იმ სტუდენტ გოგონათაგან, რომლებიც საკუთარი ძირითადი მიმართულების სფერო პერსპექტივის გამო აირჩიეს, მხოლოდ 17% მუშაობს პროფესიით, 72%-ს კი არასდროს უმუშავია(იხ. გრაფიკი 3). ასევე, მათგან, ვინც სპეციალობა ფულის შოვნის კარგ საშუალებად მიიჩნიეს, 32%-ია დასაქმებული, 54% კი - არა.



გრაფიკი 3 - პერსპექტივისა და დასაქმების ურთიერთკავშირი

რაც შეეხება სპეციალობაზე უარის თქმის სურვილს (იხ. გრაფიკი7), რომელმაც წინა თავშიც გაიჟღერა, აქ შედეგები თითქმის თანაბრად გადანაწილდა. კერძოდ, 47%-მა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში სწავლის დროს სპეციალობის შეცვლა სურდა, 48%-მა ამ კითხვას უარყოფითი პასუხი გასცა, ხოლო „არ ვიცი" პასუხი 5%-მა მონიშნა. საინტერესო იყო ის მიზეზებიც (იხ. გრაფიკი 8), რომელთა გამოც გოგონები მსგავსი ნაბიჯის გადადგმას აპირებდნენ. კროსტაბულაციამ აჩვენა, რომ მათგან 38%-ს ეგონა, კონკრეტულ სპეციალობას ვერ დაძლევდა, 34%-ს იმის შიში ჰქონდა, რომ საკუთარი პროფესიით მუშაობას ვერ შეძლებდა. ასევე, საუნივერსიტეტო სწავლებით უკმაყოფილება მიზეზად 31%-მა დაასახელა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უნდა გამოიყოს, არის სტერეოტიპების გავლენა გოგონებზე. მათმა 49%-მა დაადასტურა, რომ პროფესიის არჩევის კუთხით გენდერულ სტერეოტიპებთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს წააწყდნენ, 41%-მა კი აღნიშნული უარყო (იხ. გრაფიკი4). თუმცა, მასთან ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის მეორე კითხვის პასუხები, რომლის თანახმადაც, მხოლოდ 29%-ს უგრძვნია საზოგადოების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება, 63%-ს კი - არა. ამ ორ კითხვას მოჰყვებოდა იმ სტერეოტიპული გამონათქვამების ჩამონათვალი, რომლებიც რესპონდენტებს ერთხელ მაინც მოუსმენიათ. შემდეგ, გაკეთდა კროსტაბულაციური ანალიზი და გაირკვა, რომ იმ გოგონებს, რომლებიც გამხდარან სტერეოტიპების მსხვერპლნი, ყველაზე მეტი ინტენსივობით გაგონილი აქვთ შემდეგი სტერეოტიპი - "კაცის ტვინი მაინც სულ სხვაა, კაცებს უფრო აქვთ მათემატიკური აზროვნება".



გრაფიკი 4 - საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების გავლენა გოგონებზე STEM პროფესიის არჩევის დროს

კვლევის ერთ-ერთი ჰიპოთეზის შესამოწმებლად და გოგონების ინტერესებსა და მოტივაციას შორის კავშირის დასანახად, საჭირო გახდა ინტერესისა და მოტივაციის გამომწვევი ფაქტორების ჩამონათვლებს შორის კორელაციური ანალიზის გაკეთება. რადგანაც Q_6 და Q_7 რიგის სკალის ცვლადები იყო და მიმართულებებიც მსგავსი ჰქონდა, კერძოდ, Q_6-ის შემთხვევაში, 1 = სრულებით მცდარს, ხოლო 7 = სრულებით მართალს, Q_7-ის შემთხვევაში კი 1 = სრულებით უმნიშვნელოს, ხოლო 7 = სრულებით მნიშვნელოვანს, მათ შორის კავშირის დასადგენად, შეიქმნა ორივე ცვლადის ინდექსი. შემდგომ, ამ ინდექსებს შორის გაკეთდა კორელაცია, რომელმაც აჩვენა, რომ კავშირი, მართალია სუსტია, მაგრამ არსებობს და Sig = 0,01. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული ბივარიაციული კორელაცია ჩატარდა პირსონის კორელაციის კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც რაოდენობრივ ცვლადებს შორის წრფივი კავშირის სიძლიერეს და მის მიმართულებას ზომავს. იმის მიუხედავად, რომ Q_6 და Q_7 ცვლადების დებულებები რიგის სკალის იყო, მათი დაჯამების შედეგად წარმოქმნილი ინდექსები გახდა რაოდენობრივი და მასზე დატანილ ქულებს, ამ შემთხვევაში, არანაირი სიტყვიერი დატვირთვა არ აქვს. ეს ქულები გვეხმარება იმის გაგებაში, თუ რამდენმა რესპონდენტმა დააფიქსირა ყველა დებულებაზე 1, ან - 7 და ა.შ. მაგალითად, Q_6 ინდექსი გვიჩვენებს, რომ 3-მა რესპონდენტმა 10-ივე დებულებაზე 7= „სრულებით მართალი" მონიშნა, ხოლო 1-მა რესპონდენტმა ყველა დებულება 1 = „სრულებით მცდარი"-თ შეაფასა. Q_7 ინდექსის შემთხვევაში, 4-მა ადამიანმა ყველა დებულებას 7 ქულა = „სრულებით მნიშვნელოვანი" მიანიჭა, 1 ქულა = „სრულებით უმნიშვნელო" კი ყველა დებულებაზე 3-მა გოგონამ მონიშნა. ამ ორი ინდექსის შესადარებლად, დაითვალა თითოეულის საშუალო და აღმოჩნდა, რომ ორივე მათგანში ჩამოთვლილი დებულებები თითქმის ერთნაირი ქულებით შეფასდა: $\text{Mean}_{\text{Q\_6 ინდექსი}} = 55$, $\text{Mean}_{\text{Q\_7 ინდექსი}} = 54$.

დასკვნა

კვლევის თანახმად, გამოიკვეთა, რომ გოგონებისთვის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი, რომელიც პროფესიის არჩევის დროს მათ STEM-ის სპეციალობების დაუფლებისა და ამ სფეროში კარიერის შექმნისკენ უბიძგებს, საკუთარი სურვილი და ინტერესია. როგორც აღმოჩნდა, ეს ინტერესი სხვადასხვა წყაროდან იღებს სათავეს. თვისებრივი და რაოდენობრივი მიდგომების კომბინაციამ

ცხადყო, რომ ოჯახის წევრების ჩართულობა და მხარდაჭერა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გოგონების მათემატიკური და მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, რადგან სწორედ მშობლების ყურადღება და ხელშეწყობა ხდება სამიზნე ჯგუფის მომავალი პროფესიული წარმატების საწინდარი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოჯახი მათ მიმართ ყოველთვის მხარდამჭერი არ არის და წინააღმდეგობაშიც კი მოდის მათ გადაწყვეტილებასთან, თუმცა, ეს ფაქტი, უმეტესად, სტიმულის მიმცემი ხდება.

სიღრმისეულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ გოგონების თავდაჯერებულობაზე მეგობრების ფაქტორს საკმაოდ ძლიერი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, რადგან ისინი ყველაზე კარგად ახერხებენ, რესპონდენტები წაახალისონ და საკუთარ შესაძლებლობებში დააჯერონ. მიუხედავად ამისა, გამოკითხვის შედეგებმა ეს ფაქტორი არც ისე მნიშვნელოვნად მიიჩნია და აღნიშნული როლი სკოლის მასწავლებლებსა და ლექტორებს დააკისრა. ოჯახის შემდეგ, მასწავლებლები ხდებიან ის მოტივატორები, რომლებიც გოგონების STEM კარიერას უზრუნველყოფენ. დადასტურდა, რომ კარგ მასწავლებელს და ლექტორს, რომელიც ყურადღებით ეკიდება მოსწავლისა და სტუდენტის ინტერესებსა და შესაძლებლობებს და ცდილობს, სრულყოფილად მიაწოდოს საჭირო მასალა, შეუძლია კონკრეტული საგანი შეაყვაროს მას, რაც, თავის მხრივ, მოქმედებს კიდეც გოგონების პროფესიულ არჩევანზე. რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების 59%-მა STEM სპეციალობა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სიყვარულის გამო აირჩია. ამასთან ერთად, ერთ-ერთ მოტივატორად საუნივერსიტეტო გარემო და ადმინისტრაცია დასახელდა.

კიდევ ერთი ძირითადი შედეგი, რომელიც ორივე მიდგომის პროცესის დროს გამოიყო, გოგონების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებასთანაა დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოთეზა, რომელიც სტერეოტიპების გავლენას რესპონდენტებზე უმნიშვნელოდ მიიჩნევდა, თვისებრივი კვლევის დროს დადასტურდა, რადგანაც რესპონდენტების სრულმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სტუდენტობის პერიოდში არცერთხელ უნანიათ საკუთარი გადაწყვეტილება და სდომებიათ პროფესიის შეცვლა, მიუხედავად იმისა, რომ სტერეოტიპული გამონათქვამები არაერთხელ სმენიათ როგორც საზოგადოების, ისე ოჯახის წევრების მხრიდან. რაც შეეხება რაოდენობრივ ნაწილს, აქ გოგონების 49%-მა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტში სწავლის დროს საკუთარი სპეციალობის გამო სტერეოტიპების მსხვერპლი გამხდარა, 47%-მა კი აღნიშნა, რომ

პროფესიის შეცვლაზე უფიქრია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, მათი თქმით, ამის მიზეზი სტერეოტიპები ნაკლებად ყოფილა, ამიტომ მათი გავლენა არც ისე ძლიერი იყო.

აღნიშნული თემა აქამდეც ყოფილა შესწავლილი, თუმცა, ძირითადად, გენდერულ ჭრილში, იმ მოტივაციების და ინტერესების გამომწვევი ფაქტორების კვლევა კი, რომლებიც გოგონების პროფესიულ არჩევანს განაპირობებს, ქართულ რეალობაში არ ჩატარებულა. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტი ნაშრომისთვის ერთგვარ სტიმულსაც წარმოადგენდა. გარდა ამისა, კვლევამ სხვა ზევრ საინტერესო მიგნებასთან მიგვიყვანა. მაგალითად, გამოიკვეთა, რომ დედებს ზევრად ძლიერი გავლენა აქვთ ქალიშვილებზე, ვიდრე მამებს და, გოგონები, სპეციალობის არჩევის დროს, ხშირად, წინააღმდეგობას სწორედ მათგან აწყდებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანდღულაძე, ნ. (2016). მასწავლებლის შეფასება საქართველოში პროფესიული კაპიტალის პერსპექტივიდან. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

The article corroborates the dominant position in the scholarly literature that Gamsakhurdia’s foreign policy visions turned from being explicitly pro-western in the first phase of his governance to a more nativist, regional vision in later months of his presidency. The finding comes with a caveat, however. Contrary to other works, the present article finds that Pan-Caucasian and pro-western orientations coexisted in the first phase as well, only to be dominated by the former closer to the end of his term in office in Tbilisi. Importantly, the findings also show two gaps in the scholarly literature. First, the article challenges the position that Gamsakhurdia’s rhetoric was heavily informed by religious readings of global politics. While there indeed is some recognition of Georgia's Christian identity in relation to the Muslim 'others', the article fails to find religion as a defining factor in his foreign policy rhetoric. The article also challenges the scholarly consensus that Gamsakhurdia's stance on Russia was overly antagonistic. In fact, it shows Gamsakhurdia making a clear distinction between the Soviet Union and Russia in the initial months of his term in office. On the Soviet Union, he is extremely critical, but the portrayal of Russia is remarkably positive. In later texts, however, Gamsakhurdia starts treating Russia as the successor of the Soviet Union, accusing its government and armed forces of aiding the rebels in his overthrow.

In sum, Zviad Gamsakhurdia's portrayal of Georgia is essentially of a besieged nation – of a country that is trapped in the Soviet Union and that is trying to end its isolation by distancing from the imperial centre and seeking recognition and alliances abroad. As such, Gamsakhurdia's visions are indicative of the state of affairs of the early years of Georgia's independence and narrate a story of a country that is searching for a new place and a new purpose in times of dramatic political and economic transformations.

This research has been supported by a grant from the Research Council of Norway, project number 287815, "Competency through Cooperation: Advancing knowledge on Georgia's strategic path"

Bibliography:

Aprasidze, D. (2022). In the Caucasus but Towards the Black Sea: Georgia's Regional Identity in Flux. In T. German, K. Kakachia, & S. F. Jones, (Eds.), Georgia's Foreign Policy in the 21st Century: Challenges for a Small State. I. B. Tauris.

Atilgan, C., & Feyerabend, F. (2015). Georgian-Russian Relations: Between Necessity and Ambivalence. Konrad Adenauer Stiftung.

Berglund, C., & Blauvelt, T. (2016). Redefining the Nation: From Ethnic Fragmentation to Civic Integration. In G. Nodia (Eds.), 25 Years of Independent Georgia. Konrad-Adenauer-Stiftung and Ilia State University.

Brisku, A. (2013). Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878–2008. New York: Berghahn Books.

Coene, F. (2014). Instrumentalising Euro-Atlanticism: Euro-Atlantic Discourse in Georgia from the Rose Revolution to the Defeat of the United National Movement. Ghent University.

Dijkink, G. (1996). National Identity and Geopolitical Visions: Maps of Pride and Pain. London: Routledge.

Gamkrelidze, T. (2019). The Role of Europe in the Identity Formation of Post-Soviet Georgia. Ilia State University.

Jgerenaia, E., & Sabanadze, G. (2018). Georgia: Between a State and a Homeland. In G. Zedania (Eds.), Modernisation in Georgia: Theories, Discourses and Realities. Peter Lang

Jones, S. F. (2003). The Role of Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy. Journal of Communist Studies and Transition Politics, 19:3, 83-110.

Jones, S. F. (2013). Georgia: a Apolitical History Since Independence. I.B. Tauris.

Kakachia, K., & Minesashvili, S. (2015). Identity Politics: Exploring Georgian Foreign Policy Behavior. Journal of Eurasian Studies, Volume 6, Issue 2, 171-180.

MacFarlane, N. (2013). The Reluctant Patron: Georgia-U.S. Relations. In K. Kakachia, & M. Cecire (Eds.), Georgian Foreign Policy: The Quest for Sustainable Security. Konrad-Adenauer-Stiftung.

Meyer, K. (2001). Icebergs in the Caucasus. World Policy Journal, Vol. 18, No. 2 (Summer, 2001), pp. 89-92

Minesashvili, S. (2022). The Georgian Orthodox Church as a Foreign Actor. In T. German, K. Kakachia, & S. F. Jones, (Eds.), Georgia's Foreign Policy in the 21st Century: Challenges for a Small State. I.B. Tauris.

Nasmyth, P. (2006). Georgia: In the Mountains of Poetry. (3rd ed.). Routledge.

Nodia, G. 1998. The Georgian Perceptions of the West. In B. Coppieters, A. Zverev, and D. Trenin (Eds.), Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia. Routledge.

Ó Beacháin, D. & Coene, F. (2014). Go West: Georgia's European Identity and its Role in Domestic Politics and Foreign Policy Objectives. Nationalities Papers, 42(6), 923-941.

Oskanian, K. (2016). The Balance Strikes Back: Power, Perceptions, and Ideology in Georgian Foreign Policy, 1992–2014. Foreign Policy Analysis, 12, 628-652.

Rondeli, A. (2001). The Choice of an Independent Georgia. In G. Chufrin (Eds.), The Security of the Caspian Region. Oxford; Oxford University Press.

Shiriyev, Z. (2013). An Alliance Built on Understanding: The Geopolitics of Georgian-Azerbaijani Relations. In K. Kakachia, & M. Cecire (Eds.), Georgian Foreign Policy: The Quest for Sustainable Security. Konrad-Adenauer-Stiftung.

Smeets, R. (1999). Georgia's Uncertain Future: Between "Finlandization" and NATO Membership. Atlantisch Perspectief, Vol. 23, No. 6/7, Special issue together with Jason Magazine, pp. 20-26.

Research materials

Gamsakhurdia, Z. (1990a). November 8. Address to the residents of Adjara (მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი). Akhalgazrda Iverieli.

Gamsakhurdia, Z. (1990b). November 16. Speech at the Supreme Council of Georgia on November 14, 1990 (გამოსვლა საქართველოს უზენაესი საბჭოს 14 ნოემბრის სხდომაზე). Akhali Saqartvelo.

Gamsakhurdia, Z. (1990c). December 7. ინტერვიუ ამერიკელი ჟურნალისტის ედმუნდ სტივენსისადმი (Interview with American journalist Edmund Stevens). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1990d). December 12. Speech at the Supreme Council of Georgia on December 11 (გამოსვლა საქართველოს უზენაესი საბჭოს 11 დეკემბრის სხდომაზე). Akhali Saqartvelo.

Gamsakhurdia, Z. (1990e). December 18. Responses to journalists (პასუხი ჟურნალისტთა შეკითხვებს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991a). January 1. New year’s address on the television (საახალწლო მიმართვა ტელევიზიით). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991b). January 18. Statement for foreign mass media (განცხადება უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991c). February 5. Press conference of the chair of the Supreme Council of Georgia (საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991d). February 22. Interview with Komsomolskaya Pravda (ინტერვიუ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდა"). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991e). February 26. Press conference for Georgian and foreign journalists (პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991f). February 27. Interview with Ogoniok (ინტერვიუ „ოგონიოკთან"). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991g). March 2. Address to the United Nations, to the peoples and governments of the world (გაეროს, მსოფლიოს ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991h). March 7. Address to staff of Batumi University (ბათუმის უნივერსიტეტის თანამშრომლებს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991i). March 11. Press conference in the Supreme Council of the Republic of Georgia (პრესკონფერენცია საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991j). March 12. Address to the Abkhaz people (მიმართვა აფხაზი ხალხისადმი). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991k). March 13. Press conference for Georgian, Soviet, and foreign journalists on March 9 (9 მარტის პრესკონფერენცია ქართველი, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991l). March 16. Interview with Nezavisimaya Gazeta (ინტერვიუ გაზეთ „ნეზავისიმაია გაზეტა“). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991m). March 19. Meeting with James Baker (შეხვედრა ჯეიმს ბეიკერთან). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991n). March 23. Address to the peoples of Caucasus (მიმართვა კავკასიის ხალხებისადმი). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991o). March 26. Televised address of March 25 (გამოსვლა ტელევიზიით 1991 წლის 25 მარტს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991p). March 30. Address to the Armenian residents of Javakheti (მიმართვა ჯავახეთის სომეხ მოსახლეობას). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991q). March 31. Press conference for Georgian and foreign journalists (პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991r). April 10. Speech of the head of the Supreme Council of Georgia (უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991s). April 11. Press conference (პრესკონფერენცია). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991t). April 18. Interview with a Japanese television station, Fuji (ინტერვიუ იაპონიის ტელეკომპანია „ფუჯისთან“). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991u). April 30. Address to the Secretary General of the United Nations, Pérez de Cuéllar, peoples and parliaments of the world (მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს, მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991v). May 1. Televised address of April 28 (გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 28 აპრილს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991w). May 22. Presidential election manifesto (პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო პროგრამა). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991z). May 25. Presidential election manifesto: economic part (პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო პროგრამა). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991y). May 30. Press conference for foreign and Georgian journalists on May 27 (პრესკონფერენცია საზღვარგარეთის და საქართველოს ჟურნალისტებისათვის 27 მაისს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991ab). June 1. Statement of the President of the Republic of Georgia (საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991bb). June 7. Interview with a Turkish newspaper (ინტერვიუ გაზეთ „თურქიას" რედაქტორს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991cb). June 11. Speech at the Supreme Council of Georgia on June 7 (გამოსვლა საქართველოს უზენაესი საბჭოს 7 ივნისის სხდომაზე). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991db). June 28. Interview with the TV and radio broadcasting corporation of Saarland ინტერვიუ ზაარის მხარის ტელერადიოკორპორაციის კორესპონდენტთან). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991eb). July 3. Interview with Trud (ინტერვიუ გაზეთ „ტრუდს"). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991fb). June 29. Address to the President of the French Republic, Mr. François Mitterrand (მიმართვა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ფრანსუა მიტერანს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991gb). July 4. Interview with Argumenty i Fakty (ინტერვიუ გაზეთთან „არგუმენტი ი ფაქტი"). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991gb). July 11. Press conference in Moscow on July 3 (პრესკონფერენცია საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991ib). July 13. Address to an international meeting on the problems of Black Sea (მიმართვა შავი ზღის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991jb). July 16. Interview: we have decided to leave the Soviet Union (ინტერვიუ: „გადაწყვეტილი გვაქვს საბჭოთა კავშირიდან გასვლა). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991hb). July 16. Address to the President of Azerbaijan, Mr. Ayaz Mutallibov (მიმართვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ა. მუთალიბოვს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991lb). July 18. Press conference of the President of the Republic of Azerbaijan, Ayaz Mutallibov, and the President of the Republic of Georgia, Zviad Gamsakhurdia (აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის აიაზ მუთალიბოვისა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991mb). August 9. Address to the 23rd conference of peace and democracy in Costa Rica (მიმართვა მშვიდობისა და დემოკრატიის მსოფლიო ლიგის კოსტა-რიკის 23-ე კონფერენციისადმი). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991nb). August 21. Address to the peoples and governments of western countries (მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991ob). August 22. Letter to the Russian President (წერილი რუსეთის პრეზიდენტს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991pb). September 3. Statement on the human rights protection in Georgia (განცხადება საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991qb). October 12. Speech at the Supreme Council of Georgia on October 8 (გამოსვლა საქართველოს უზენაესი საბჭოს 8 ოქტომბრის სხდომაზე). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991rb). October 30. Meeting with Georgian and foreign journalists (შეხვედრა ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებთან). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991sb). October 31. Address to the conference on maintenance and revival of native soil (მშობლიური მიწის მოვლისა და აღორძინების კონფერენციის მონაწილეებს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991tb). November 12. Letter to the Russian President (წერილი რუსეთის პრეზიდენტს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991ub). November 23. Responses to TV audience members (პასუხები ტელემაყურებელთა შეკითხვებს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991vb). November 27. Address to the President of Azerbaijan, his excellence Ayaz Mutallibov (მიმართვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ აიაზ მუტალიბოვს). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1991wb). December 21. Conversation with the journalist of the central television (საუბარი ცენტრალური ტელევიზიის ჟურნალისტთან). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1992a). February 26. Address to the Georgian nation (მიმართვა ქართველი ერისადმი). Qartuli Azri.

Gamsakhurdia, Z. (1992b). March 28. Address to the residents of Georgia (მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი). Qartuli Azri.

Gamsakhurdia, Z. (1992c). April 8. Address to the students and youth (მიმართვა სტუდენტი ახალგაზრდობისადმი). Qartuli Azri.

Gamsakhurdia, Z. (1992d). April 9. Address to the Georgian nation (მიმართვა ქართველი ერისადმი). Qartuli Azri.

Gamsakhurdia, Z. (1992e). May 19. Address to the Circassian (Adige) peoples (მიმართვა ჩერქეზ (ადიღეელ) ხალხებს). Qartuli Azri.

Gamsakhurdia, Z. (1992f). June 1. Open letter to the Georgian television (on orientations) (ღია წერილი საქართველოს ტელევიზიისადმი (ორიენტაციათა შესახებ)). Qartuli Azri.

Gamsakhurdia, Z. (1992g). June 9. Address to the Georgian nation, to all residents of Georgia (მიმართვა ქართველი ერისადმი, სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1992h). June 14. Address to the National Guard (მიმართვა გვარდიისადმი). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1992i). June 14. Zviad Gamsakhurdia and Dzhokhar Dudayev are responding to the journalist of Sobesednik („სობესედნიკის" კორესპონდენტს პასუხობენ ჯოჰარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია). Agdgoma.

Gamsakhurdia, Z. (1992j). August 7. Zviad Gamsakhurdia is responding to the commentator of Literaturnaya Gazeta, Oleg Morozov (ზვიად გამსახურდია პასუხობს „ლიტერატურნაია გაზეტას" მიმომხილველის ოლეგ მოროზის შეკითხვებზე). Agdgoma.

Gamsakhurdia, Z. (1992k). September 26. Statement of the President of the Republic of Georgia (საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება). Agdgoma.

Gamsakhurdia, Z. (1992l). November 15. Address to Iberian-Caucasian movement of Georgia (მიმართვა საქართველოს იბერიულ-კავკასიური მოძრაობისადმი). Agdgoma.

Gamsakhurdia, Z. (1992m). December 6. Interview with Narodnaya Pravda (ინტერვიუ„ნაროდნაია პრავდასთან"). Agdgoma.

Gamsakhurdia, Z. (1992n). December 20. Conversation with Voice of America Georgian service (საუბარი „ამერიკის ხმის" ქართულ რედაქციასთან). Agdgoma.

Gamsakhurdia, Z. (1993a). February 27. Interview with Samani (ინტერვიუ გაზეთთან „სამანი"). Saqartvelos Respublika.

Gamsakhurdia, Z. (1993b). May 12. Facts and Reality (ფაქტები და სინამდვილე). Agdgoma.

---

[1] *E-Mail: tzurabashvili@gmail.com*

ტატიანა სიჭინავა

შრომითი მიგრანტების მდგომარეობა საქართველოში კოვიდ 19-ის პანდემიის პერიოდში (თბილისის და ბათუმის მაგალითები)

აბსტრაქტი

კოვიდ-19-ის პანდემია მთელი მსოფლიოსთვის უდიდეს გამოწვევად იქცა. მან მოიცვა ცხოვრების ყველა სფერო და ასპექტი, ამავდროულად რადიკალურად შეცვალა თითოეული ადამიანის ყოფა. კოვიდ-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა დააზარალა სახელმწიფოები, მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკა, რიგითი მოქალაქეები. პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის იმიგრანტებს და შეუქმნა მათ სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ჯანმრთელობის და სხვა სახის მრავალი პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ პანდემიის საწყის ეტაპზე დროული და შედეგიანი ნაბიჯები გადადგა, მეორე ტალღის შეზღუდვები ზედმეტად მკაცრი აღმოჩნდა, კერძოდ საზღვრების ჩაკეტვამ, ეკონომიკური აქტივობების ხანგრძლივი ვადით შეზღუდვამ და სხვა რეგულაციებმა ქვეყნის მყიფე ეკონომიკა უფრო დაასუსტა, დააზარალა საშუალო და მცირე ბიზნესი, ტურიზმისა და მომსახურების დარგები. რაც აისახა ადგილობრივ შრომით ბაზარზე დასაქმებულ მიგრანტთა ნაწილზე. შედეგად ისინი უცხო ქვეყანაში ფაქტობრივად შემოსავლის გარეშე დარჩნენ. ნაშრომის მიზანია, დავადგინოთ, თუ რა ზეგავლენა იქონია კოვიდ-19-ის პანდემიამ და ამის შედეგად გამკაცრებულმა საიმიგრაციო პოლიტიკამ შრომითი მიგრანტების მდგომარეობაზე საქართველოში. სტატიაში წარმოდგენილია თბილისსა და ბათუმში დასაქმებული, სხვადასხვა ეროვნების მიგრანტებთან ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგები. კვლევის მიზნიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე უცხო ქვეყნის მოქალაქეები შეირჩა ე.წ. „თოვლის გუნდის“ მეთოდით, რაც მსგავსი სოციალური ქსელების მქონე ჯგუფებთან დასაკავშირებლად საუკეთესო ხერხია და ამავდროულად გვეხმარება დროის მნიშვნელოვნად დაზოგვაში. საქართველოში მცხოვრებ შრომით მიგრანტებთან ჩატარდა 56 პირისპირი სიღრმისეული ინტერვიუ. გამოიკითხა პროექტ „იმუშავე საქართველოდან“ 5 მონაწილე. მიგრანტებთან ჩატარებული კვლევის შედეგად შეგვიძლია განვასხვაოთ პანდემიის მიერ ყველაზე მეტად დაზარალებული მიგრანტთა ჯგუფები. მათ მიეკუთვნებიან ადგილობრივ შრომით ბაზარზე ტურიზმისა და მომსახურების დარგებში დასაქმებული და ნაკლებად კვალიფიციურ სამუშაოებზე მყოფი ადამიანები. კვლევის ძირითადი მიგნება არის ის, რომ ნაკლებად ეფექტიანმა სამთავრობო

პოლიტიკამ პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად შეაფერხა მიგრანტთა ინტეგრაციის პროცესი. განსაკუთრებულ გამოწვევას კოვიდის დროს შრომითი მიგრანტებისთვის სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნება წარმოადგენდა, რასაც დაემატა სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა და ჯანდაცვის სისტემის სერვისებზე წვდომის შეზღუდვა, რაც პანდემიის პირობებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შეფერხებული მუშაობითა და ჯანდაცვის სისტემაზე დიდი დატვირთვით იყო განპირობებული.

საკვანძო სიტყვები: შრომითი მიგრანტები, კოვიდ-19-ის პანდემია, მიგრანტების ინტეგრაცია.

Abstract

The Covid-19 pandemic has become the biggest challenge for the whole world. It encompassed all spheres and aspects of life, at the same time radically changing the existence of each human being. The crisis caused by Covid-19 has affected states, the world and national economies, and ordinary citizens. The pandemic has dealt a blow to vulnerable groups in society, including immigrants, and has created many legal, socio-economic, health, and other problems. Although the Georgian government took effective steps-in the early stages of the pandemic, the second wave of restrictions proved too severe, with border closures, long-term restrictions on economic activity, and other regulations weakening the country's fragile economy, hurting medium and small businesses, tourism, and service sector. All of that affected the migrants employed in the local labour market. As a result, they were left with no income in a foreign country. This paper aims to determine the impact of the Covid-19 pandemic and the consequent tightening of immigration policies on the situation of labour migrants in Georgia. The article presents the results of qualitative research conducted with migrants of different nationalities employed in Tbilisi and Batumi. Based on the purpose and specifics of the research foreign citizens were selected using the "snowball sampling" method, which is the best way to connect with groups with similar social networks, and at the same time, helps us to save a lot of time. The 56 face-to-face interviews were conducted with labour migrants living in Georgia. 5 Participants of the project "Work from Georgia" were also interviewed. As a result of research conducted with migrants, we can distinguish the groups of migrants most affected by the pandemic. These include people employed in the local labour market in tourism and services and those with less-skilled jobs. The main finding of the study is that less effective government policies during the pandemic period significantly hampered the integration process of migrants. A particular challenge for immigrants during Covid-19 was the maintenance of legal status that was

compounded by socio-economic challenges, restrictions on access to information and healthcare services due to the pandemic work of the Public Service Development Agency and the heavy workload on the health care system.

Keywords: Labor Migrants, Covid-19 Pandemic, Integration of Migrants.

შესავალი

კოვიდ-19-ის პანდემიამ კაცობრიობის ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. 2021 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით, მსოფლიოში კოვიდ-19-ით ინფიცირების 219 მილიონზე მეტი შემთხვევაა რეგისტრირებული, ხოლო 4,5 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა (Worldometer, 2021). ვირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე ინფიცირებისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდა ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით კი იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი და ა.შ. (Dijkstra, 2022).

პანდემიამ ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სფერო დააზარალა. სახელმწიფოებში დაწესებული შეზღუდვების შედეგად დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, შეფერხდა სოციალურ-ეკონომიკური სექტორის განვითარება. კოვიდ-19-მა და მისგან გამოწვეულმა საკარანტინო ზომებმა შეზღუდა საერთაშორისო მიგრაციული ნაკადი. პანდემიის პირველ წელს მსოფლიოში დაფიქსირდა მოგზაურობის შეზღუდვისა და სახელმწიფო საზღვრების ჩაკეტვის დაახლოებით 111,000 შემთხვევა (OOH, 2020). სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ 2020 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში მიგრაცია 46%-ით შემცირდა, რაც ისტორიულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელია (OECD, 2020).

განსაკუთრებით ნეგატიური გავლენა პანდემიამ მიგრანტებზე, კერძოდ - შრომით მიგრანტებსა და მათი ოჯახის წევრებზე იქონია. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით (OECD, 2021) მიგრანტებმა, მოსახლეობის სხვა ჯგუფებთან შედარებით, უფრო მწვავედ იგრძნეს პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური გავლენა. დღეს მსოფლიოში დაახლოებით 164 მილიონი შრომითი მიგრანტია, რაც მსოფლიო შრომითი ძალის 4,7%-ს შეადგენს (International labour organization, 2020). მათ ეკონომიკის ყველა სექტორში ვხვდებით და უმეტესობა დასაქმებულია ისეთ სფეროში, სადაც ბევრია დაბალანაზღაურებადი, დროებითი,

არაფორმალური ან დაუცველი (არაუსაფრთხო) სამსახური, რომელიც გამოირჩევა შრომითი უფლებებისა და სოციალური დაცვის არარსებობით. არაფორმალურ პირობებში მომუშავე მიგრანტები (ეს განსაკუთრებით ეხება არალეგალურ მიგრანტებს) ექსპლუატაციისა და სიღარიბის რისკების წინაშე აღმოჩნდნენ, ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში, მათ არ აქვთ ჯანდაცვის სისტემასთან წვდომა და პანდემიის პერიოდში სახელმწიფოს მიერ დადგენილი აუცილებელი სამედიცინო დახმარების გარეშე რჩებიან (FAO, 2020).

მიგრანტთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ პანდემიამდე იყო დასაქმებული მცირე ბიზნესში, განსაკუთრებით ვაჭრობის, ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის სფეროებში. ეკონომიკის აღნიშნული სექტორების მდგომარეობა პანდემიამ განსაკუთრებულად დააზარალა. მრავალი მცირე და საშუალო საწარმოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებული სასტუმროების ბიზნესში დასაქმებულთა მეოთხედი მესამე მსოფლიოს ქვეყნებიდან ჩამოსულ მიგრანტებზე მოდის. მათი უმრავლესობა მოკლევადიანი კონტრაქტებით მუშაობს, ამიტომ, პირველ რიგში სწორედ ისინი დარჩნენ სამსახურის გარეშე (Хассельбах & Шаталин, 2020).

პანდემიის პერიოდში შრომითი მიგრანტები ისეთი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, როგორებიცაა: ანაზღაურების შემცირება, სამუშაო პირობების გაუარესება, სამუშაოს დაკარგვა, ჯანდაცვის სისტემასთან წვდომის არარსებობა, ინფიცირების შემთხვევაში სათანადო სამედიცინო დახმარების მიღებასთან დაკავშირებული სირთულეები. მათზე არ გავრცელდა კოვიდ 19-ის უარყოფითი შედეგების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ისეთი ზომები, როგორებიცაა ხელფასის სუბსიდირება, უმუშევრობის შეღავათები, სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სოციალური დაცვა და ჯანდაცვის პროგრამები. საზღვრების ჩაკეტვისა და იზოლაციის მკაცრი ზომების გამო, მრავალმა მიგრანტმა შინ დაბრუნების ან დროებით ჩასვლის შესაძლებლობა დაკარგა, ხოლო მათ, ვინც ეს მოახერხა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვეღარ შეძლო მიმღებ სახელმწიფოში დაბრუნება (ILO, 2020). რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ ფულადი გზავნილების გარეშე დარჩენილი მიგრანტთა ოჯახები, ხოლო თავად უცხოელები მიგრანტოფობიის რისკის წინაშეც კი დადგნენ, რამაც თავი იჩინა პანდემიის პირველ ეტაპზე. რიგ ქვეყნებში კოვიდის გავრცელება საერთაშორისო მოგზაურობასთან იყო დაკავშირებული, შესაბამისად, ამ პერიოდში ჩამოსული მოგზაურების და ზოგადად უცხოელების მიმართ დამოკიდებულება უარყოფითად შეიცვალა.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა (საქართველოს მთავრობა, 2020). ჩვენი ქვეყანა პანდემიის პირველ ტალღას (მარტი-აპრილი, 2020 წ.) კარგად მართული და კოორდინირებული მოქმედებებით დახვდა, კერძოდ, ეპიდემიოლოგიური გზით გავრცელების პრევენცია, შეზღუდვა, მეთვალყურეობა (Gogsadze et, al 2021). საზღვარი ჩაიკეტა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე შეჩერდა ყველა სავაჭრო ობიექტის (სასურსათო მაღაზიების, სააფთიაქო ქსელის, ბენზინგასამართი სადგურების, საბანკო და საფოსტო გზავნილების ქსელის გარდა) მუშაობა (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2020). 2020 წლის 21 მარტს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება#1, 2020). 30 მარტს კი შემოიღეს „ფაქტობრივი საყოველთაო კარანტინი" და „კომენდანტის საათი" (საქართველოს მთავრობა, 2020). კარანტინის პირობებში შეჩერდა როგორც მუნიციპალური, ასევე საქალაქთაშორისო საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება. მიგრაციული პროცესების გამკაცრების პარალელურად გაიზარდა ფასები და მოხდა ინფლაცია. ამან კიდევ უფრო გაართულა მიგრანტთა მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გავრცელების პირველ ეტაპზე საქართველოში, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, უკეთესი ეპიდსიტუაცია იყო, პანდემიის თანმდევი ეკონომიკური შედეგები ძალიან მძიმე ტვირთად დააწვა აქ მცხოვრებ და დასაქმებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ბევრმა მათგანმა სამსახური დაკარგა ან ონლაინ მუშაობის რეჟიმზე გადავიდა. ნაწილმა ამ რთულ პერიოდში სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლო ან პირიქით, დროებით სამშობლოში წასულმა საქართველოში უკან შემოსვლა ვეღარ მოახერხა. უცხოელთა ნაწილი საარსებო სახსრების გარეშე დარჩა. ისინი, ვისაც მცირე ბიზნესი ჰქონდა, იჯარის ხარჯებს ვერ ფარავდა და დაქირავებულ პერსონალს ჯამაგირს ვერ უხდიდა.

სტატია აფასებს პანდემიისა და მის შედეგად გამკაცრებული საიმიგრაციო პოლიტიკის გავლენას საქართველოში მცხოვრებ შრომით მიგრანტებზე.

თეორიული ჩარჩო

მიგრაცია საკმაოდ რთული სოციალური ფენომენია, რომლის მხოლოდ ერთი თეორიით ახსნა შეუძლებელია. არსებობს განსხვავებული მიდგომები აღნიშნული მოვლენის შესასწავლად. სტატიაში განხილულია სამი ძირითადი თეორია, რომელიც ყველაზე უკეთ ერგება არსებულ რეალობას. საერთაშორისო მიგრაციის უძველესი და ყველაზე ცნობილი მიგრაციის ნეოკლასიკური თეორია შეიქმნა ეკონომიკური განვითარების პროცესში შრომითი მიგრაციის ასახსნელად. ამ თეორიის

მიხედვით, მიგრაცია აიხსნება შრომით ბაზარზე არსებული საშემოსავლო სხვაობით. მას წარმართავს გეოგრაფიული სხვაობებით განპირობებული შრომითი ძალის მიწოდება/მოთხოვნის ფაქტორი. ეს იწვევს ხელფასებს შორის სხვაობას შრომითი რესურსით მდიდარ და მის საწინააღმდეგოდ კაპიტალით მდიდარ ქვეყნებს შორის. ნეოკლასიკური მიდგომის ცენტრალური არგუმენტი სწორედ რომ ხელფასებზე კონცენტრირდება. ის ხედავს პირდაპირ კავშირს ხელფასებს შორის არსებულ სხვაობასა და მიგრაციულ ნაკადებს შორის (Massey et al, 1993). დადგენილია, რომ ხელფასებს შორის სხვაობა უნდა იყოს 30%-ზე მეტი, რათა მიგრაციდან მიღებულმა სარგებელმა გადაფაროს მისი ხარჯები (Mansoor & Quillin, 2006).

ნეოკლასიკური თეორიის მაკროდონე (მიგრაცია, როგორც სხვადასხვა ქვეყნების შრომით ბაზრებს შორის არებული სხვაობის შედეგი) შეიძლება ტრანსფორმირდეს მიკრო დონედ, რომელშიც წამყვანი ადგილი უკავია პირის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას მიგრაციის შესახებ. იგი შემოთავაზებული იყო სჯაადსტადის (Sjaadstad) მიერ 1962 წელს და ეწოდა ადამიანური კაპიტალის თეორია. იგი ამდიდრებს ნეოკლასიკურ თეორიას ინდივიდის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების დამატებით (Bauer & Zimmermann, 1999). აღნიშნული ანალიზის დროს ყურადღების ცენტრს წარმოადგენს ინდივიდი, რომელიც მიგრირებს თავისი სარგებელისა და მიღწევების მაქსიმიზაციის მიზნით (Bonin, Holier et al, 2008).

კიდევ ერთი თეორიაა მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია, რომელიც უპირისპირდება ნეოკლასიკური თეორიის ძირითად დებულებებს. თუკი ნეოკლასიკური თეორიის ცენტრს წარმოადგენს ინდივიდი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, ახალი ეკონომიკური თეორიის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებისას პრიორიტეტი ენიჭება ოჯახს ან შინამეურნეობას (Stark, 1991). მეტიც – მიგრანტთა გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორები, მათ შორის თავიანთ ქვეყანაში არსებული ვითარება. მიგრანტთა გადაწყვეტილება არ ეფუძნება მხოლოდ პირად სარგებელს, არამედ წარმოადგენს ქვეყანაში ან შინამეურნეობაში არსებულ რისკებზე საპასუხო რეაქციას (Massey et al, 1998).

ახალი ეკონომიკური თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ შინამეურნეობები უცხოეთში გზავნიან თავიანთი ოჯახის წევრებს არა მხოლოდ ზოგადად შემოსავლის გასაუმჯობესებლად, არამედ სხვა შინამეურნეობებთან შედარებით შემოსავლის გასაზრდელად და, შესაბამისად, მათი შედარებითი დეპრივაციის შესამცირებლად ზოგიერთ ჯგუფთან შედარებით (Stark, 1991).

მიგრაციის ქსელის თეორიის მეშვეობით შეგვიძლია იმის ანალიზი, თუ რატომ და როგორ ჩამოდიან შრომითი მიგრანტები საქართველოში. მიგრანტთა ქსელები პიროვნებათშორისი კავშირებია, რომლებიც აერთიანებს მიგრანტებს, ყოფილ მიგრანტებსა და არამიგრანტებს წარმოშობისა და დანიშნულების ადგილებში ნათესაური კავშირის, მეგობრობის და საერთო წარმომშობი საზოგადოების მეშვეობით. ეს კავშირები ხელს უწყობს საერთაშორისო მობილობის ალბათობას, რადგან ამცირებს გადაადგილების ხარჯებსა და რისკებს და ზრდის მიგრაციით მოსალოდნელ მატერიალურ მოგებას. ქსელური კავშირები წარმოადგენს სოციალური კაპიტალის ისეთ ფორმას, რომლის საშუალებითაც ადამიანებს შეუძლიათ დასაქმდნენ საზღვარგარეთ (Arango, 2004). მიგრანტთა ქსელები ნათლად გვიჩვენებს, თუ რატომ გრძელდება მიგრაცია მაშინაც კი, როდესაც ხელფასების სხვაობა ან დასაქმების პოლიტიკა არ არსებობს (Dustmann & Glitz, 2005). მიგრანტთა დიდი ნაწილი საქართველოში პირველად სწორედ იმ ახლობელთან ვიზიტით ჩამოვიდა, რომლისგანაც შეიტყო ან მიიღო რჩევა მიგრაციასთან დაკავშირებით. იგივე შეიძლება ითქვას დასაქმების მაძიებელ მიგრანტებზეც, რომლებიც სოციალური კავშირების წყალობით ჩამოვიდნენ და დასაქმდნენ.

აღნიშნული მოძღვრებები წარმოადგენს თანამედროვე შრომითი მიგრაციის ამხსნელ ძირითად და ყველაზე გავლენიან თეორიებს, რომლებიც ნათლად ასახავს მიგრაციის მოტივებს განსხვავებული პერსპექტივიდან და სხვადასხვა დონეზე აანალიზებს საერთაშორისო მიგრაციაზე მოქმედ ფაქტორებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვა მრავალი მიგრაციული მოძღვრება, აღნიშნულ სტატიაში ისინი განხილული არ იქნება, რადგან ნეოკლასიკური, ახალი ეკონომიკური და მიგრაციის ქსელის თეორიები ყველაზე უკეთ ერგება კვლევის სპეციფიკასა და საქართველოში არსებულ მდგომარეობას.

მიგრაცია კომპლექსური სოციალური ფენომენია, რომელსაც თან სდევს იმიგრანტთა ახალ გარემოსთან შეგუების ხანგრძლივი პროცესი. არ არსებობს ტერმინ ინტეგრაციის არც ერთიანი სამართლებრივი ცნება და არც ერთიანი თეორია. ამ სოციალური ფენომენის აღსაწერად იყენებენ ტერმინთა მრავალფეროვნებას, რომელთაც მსგავსი მნიშვნელობა აქვს: ადაპტაცია, აკულტურაცია, ასიმილაცია, ინტეგრაცია. ამ უკანასკნელს უფრო ხშირად შეხვდებით ევროპულ ლიტერატურაში, ხოლო ამერიკელი მკვლევრები ტერმინ „ასიმილაციას“ ანიჭებენ უპირატესობას (Heath & Schneider, 2021). ყველაზე უკეთ მიგრანტთა ინტეგრაციის განმარტება ჩამოაყალიბა რინუს პენინქსმა:

ინტეგრაცია არის იმიგრანტთა საზოგადოებაში მიღების პროცესი (Penninx, 2003). ევროპელი იმიგრანტების ადაპტაციის პირველ კვლევას წარმოადგენდა უილიამ თომასისა და ფლორიან ზნანიეცკის ნაშრომი „პოლონელი გლეხი ევროპასა და ამერიკაში“. აშშ-ში პოლონელი იმიგრანტების ბიოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ავტორებმა მიგრაციის მიზეზები და მექანიზმები შეისწავლეს (Thomas, Znaniecki 1996). ჯონ ბერის აზრით, ადაპტაციის დროს იმიგრანტი თავისი კულტურის შენარჩუნებით ეგუება ახალ კულტურას შემდეგი ოთხი სტრატეგიიდან ერთის გამოყენებით: ასიმილაცია (assimilation); ინტეგრაცია (integration); განცალკევება (seperation) და მარგინალიზაცია (marginalization) (Berry, 1980).

ასიმილაცია ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები შორდებიან თავიანთ კულტურას, ტრადიციებს, ღირებულებებს და უფრო ფართო/დიდი საზოგადოების კულტურას ითვისებენ. ინტეგრაცია არის მიგრანტების ჩართვა მასპინძელ საზოგადოებაში მათი კულტურის ზოგიერთი ელემენტის შენარჩუნებით. ინტეგრაცია არ ნიშნავს „მშობლიური“ კულტურის სავალდებულო დაკარგვას. განცალკევება ან სეპარაცია/სეგრეგაცია ხდება მაშინ, როდესაც მიგრანტთა ჯგუფები განცალკევდება, რადგან დომინანტური კულტურა უწესებს მათ ქცევის ნიმუშებს, რათა თავისი ადგილი მიუჩინოს „სხვებს“. განცალკევება თავად ჯგუფის არჩევანია. ისინი ინარჩუნებენ თავიანთ ტრადიციებს ყოველდღიურ ცხოვრებაში დომინანტური საზოგადოების გარეთ და არსებობენ იზოლირებულად (სეპარატისტული მოძრაობები). მარგინალიზაცია ნიშნავს იდენტობის დაკარგვას, დაბნეულობას და სტრესს პიროვნულ დონეზე, გაუცხოების გრძნობას. ჯგუფი კარგავს კონტაქტს როგორც საკუთარ კულტურასთან, ასევე უმრავლესობის კულტურასთან. შესაძლებელია საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები (Berry, 1980).

ინტეგრაცია შეიძლება გავიგოთ, როგორც მოცემულ საზოგადოებაში ახალმოსულთა დასახლების პროცესი, კერძოდ ახალჩამოსულთა ურთიერთქმედება მასპინძელ საზოგადოებასთან და შემდგომი სოციალური ცვლილებები.

ამასთანავე ინტეგრაცია გულისხმობს პასუხისმგებლობას, ადამიანთა უფლებების პატივისცემას, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფას და ეს ყოველივე უკავშირდება ნებისმიერი პლურალისტური საზოგადოების ყოფას. მრავალფეროვან საზოგადოებებში ინტეგრაციული პროცესების ძირითადი მიმართულებები მოცემულია „ლუბლიანას დოკუმენტში“ (ეუთო, 2012).

გარდა ამისა, ინტეგრაცია მოითხოვს მიგრანტის მხრიდან მიმღები სახელმწიფოსა და მისი საზოგადოებისადმი ლოიალობას. ინტეგრაცია წარმატებულია, თუ საზოგადოების ყველა წევრი ავლენს პატივისცემას ინსტიტუციებისადმი. ინტეგრაცია ხელს უწყობს მრავალფეროვანი საზოგადოების ყველა წევრის ეფექტიან მონაწილეობას ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში და საერთო, ინკლუზიური გრძნობის განცდას.

ჰეკმანი ინტეგრაციის პროცესის ოთხ დონეს გვთავაზობს: სტრუქტურული ინტეგრაცია (Structural integration) - ჩამოსული პირების მდგომარეობა მიმღები ქვეყნის ძირითად ინსტიტუტებში (შრომითი ბაზარი, ეკონომიკა, განათლება და სხვ)კულტურული ინტეგრაცია (Cultural integration), - მიმღები ქვეყნის კულტურისა და ცხოვრების წესის ათვისება. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ენას, ვინაიდან იგი ინტეგრაციის სხვა საშუალებებს უზრუნველყოფს.ინტერაქტიური ინტეგრაცია (Interactive integration) - მიგრანტთა მონაწილეობა და მიღება მასპინძელი საზოგადოების სოციალურ ქსელებში. მის ტიპიურ ინდიკატორებად შეგვიძლია განვიხილოთ: მეგობრობა, კლუბებისა და ორგანიზაციების წევრობა და უფრო მაღალ დონეზე რომანტიკული პარტნიორობა და ქორწინება. იდენტიფიკაციური ინტეგრაცია (Identificational integration) - უფრო გვიან ეტაპებზე ვითარდება და ეფუძნება წინა სამ განზომილებას. იგი წარმოადგენს იმ მდგომარეობას, როდესაც ახალჩამოსული საკუთარ თავს აღიქვამს არა მხოლოდ როგორც მიგრანტად მიმღები ქვეყნის სოციალურ სისტემაში, არამედ განიცდის კოლექტიური კუთვნილების გრძნობას მასპინძელ საზოგადოებასთან და კულტურასთან (Heckmann, 2005).

კრიტიკოსთა აზრით ჰეკმანის მოდელი ყურადღების მიღმა ტოვებს მიმღები საზოგადოების არაერთგვაროვნებას და მიგრანტის წინაშე არსებულ ისეთ გამოწვევას, როგორიცაა ორმაგი ინტეგრაციული გამოწვევა, კერძოდ მიგრანტს რეალურად ინტეგრაცია უწევს არა მხოლოდ მიმღები ქვეყნის საზოგადოებაში, არამედ ეთნიკურ/იმიგრანტთა თემშიც, რომლის დახმარებითაც მან შეიძლება იპოვოს სამსახური (King & Lulle, 2016).

ზოგადად ინტეგრაციის პროცესისა და ინტეგრაციული პოლიტიკის გასაგებად გამოიყენება მარტივი ტიპოლოგია, რომელიც ემყარება მოქალაქეობის კონცეფციას, კერძოდ კი მის სამ განზომილებას: სამართლებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-რელიგიური განზომილება (Penninx, Garcés-Mascareñas, 2016).

სამართლებრივ-პოლიტიკური განზომილება მოიცავს ბინადრობას, პოლიტიკურ უფლებებს და სტატუსს. აქ მთავარი საკითხია, თუ რამდენად განიხილება იმიგრანტი პოლიტიკური საზოგადოების სრულუფლებიან წევრად.

სოციალურ-ეკონომიკური განზომილება გულისხმობს მიგრანტთა სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა. აღნიშნული განზომილების ფარგლებში, იმიგრანტთა ვითარების შესაფასებლად შეიძლება გაანალიზდეს იმიგრანტთა ხელმისაწვდომობა და მონაწილეობა ნებისმიერი ბინადარისთვის მნიშვნელოვან სფეროებში. აქვთ მათ თანაბარი წვდომა ინსტიტუციურ დაწესებულებებთან სამსახურის მოძიების, განსახლების, განათლების მიღებისა და ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისთვის? რამდენად სარგებლობენ ისინი ამ საშუალებებით?

კულტურულ-რელიგიური განზომილება ეხება იმიგრანტებისა და მიმღები საზოგადოების აღქმებისა და პრაქტიკის სფეროს, ისევე როგორც მათ საპასუხო რეაქციას განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებაზე.

ეს სამი განზომილება ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი არ არის. სამართლებრივ-პოლიტიკურმა განზომილებამ შესაძლოა განაპირობოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური მახასიათებლები (Penninx, 2019). თუმცა ამტკიცებენ (მაგ., Entzinger, Biezeveld, 2003), რომ მიგრანტების ინტეგრაციის აღნიშნული სამი განზომილების გარდა, არსებობს კიდევ ერთი: მიმღები საზოგადოებების დამოკიდებულება. მიმაჩნია, რომ ეს უკანასკნელი არის არა დამოუკიდებელი მოცემულობა, არამედ განხილული მახასიათებლების შემადგენელი ნაწილი.

ამრიგად, წარმატებული ინტეგრაციული პროცესის გაზომვა რთულია, რადგან ის მრავალშრიანია და მოიცავს მიგრანტების გამოცდილების ყველა სფეროს, დაწყებული განათლებითა და დაბინავებით, დამთავრებული პოლიტიკური მონაწილეობითა და სამოქალაქო ჩართულობით (Gallagher, 2018).

ინტეგრაციული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია მოქალაქეობა, ვინაიდან იგი ინტეგრაციის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს და ხელს უწყობს პირის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართულობას და მასპინძელი საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის შეგრძნებას ამძაფრებს, შესაბამისად ის ხელს უწყობს მიმღებ საზოგადოებაში ინტეგრაციას. მოქალაქეობის, როგორც თანამედროვე ფენომენის კვლევა 1980-იანი წლებიდან იწყება. რა თქმა უნდა,

მეცნიერები აღნიშნული საკითხით ბევრად უფრო ადრე ინტერესდებოდნენ და უკვე მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში იქმნებოდა აღნიშნული დარგის კლასიკური მაგალითები (Bendix, 1964; Marshall, 1950; Rokkan, 1961). მოქალაქეობა თავდაპირველად ასოცირდებოდა იმ პრივილეგიებთან, რომლებიც ენიჭებოდა პოლიტიკური თემის წევრებს და ავალდებულებდა მათ ჩართულიყვნენ საზოგადოებრივ საქმეებში, მონაწილეობა მიეღოთ საჯარო განხილვებში და ზოგადი გადაწყვეტილებების მიღებაში.

მოგვიანებით მოქალაქეობის იდეა გაფართოვდა (Bellamy, 2008) და მოიცვა შემდეგი ასპექტები:

- გარკვეული პოლიტიკური საზოგადოების წევრობა;
- პოლიტიკური თემის წევრობით მიღებული უფლებები და მათი მატერიალური უზრუნველყოფა;
- თემის ცხოვრების განმსაზღვრელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში, მონაწილეობა.

აღნიშნული ელემენტები ერთმანეთისგან განუყოფელია. ისინი ქმნის აუცილებელ კონტექსტს დემოკრატიული ცხოვრებისა და ადამიანთა გაერთიანებების კეთილდღეობისთვის. მოქალაქეობის ამ სამ ძირითად მდგენელს შორის პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა, არის წევრობა, რომელიც პასუხობს შეკითხვას, ვინ არის მოქალაქე? (Дмитриев, 2014).

მოქალაქეობის ფენომენს მარშალი 3 ტიპის უფლებას უკავშირებს: სამოქალაქო, პოლიტიკურ და სოცუალურ უფლებებს (Marshall, 1949. გვ. 10–11). მარშალის თეზისის მთავარი კრიტიკა ის არის, რომ მან სამოქალაქო უფლებების გავრცელების ევოლუციური მოდელი ბრიტანულ ისტორიულ და სოციალურ გამოცდილებას დააფუძნა. ამავდროულად სათანადო ყურადღება არ მიაქცია გეოპოლიტიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს (Mann, 1988).

21-ე საუკუნეში მოქალაქეობა, როგორც ინტეგრაციის უმაღლესი ფორმა საზოგადოების ახალ წევრებს ისეთ ფორმალურ უფლებებს ანიჭებს, როგორებიცაა სრული ხელმისაწვდომობა საჯარო შეღავათებზე, ხმის მიცემის უფლება, დეპორტაციისგან დაცვა და საჯარო თანამდებობაზე კენჭისყრის უფლება. თუმცა მას ასევე აქვს მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა - ფარული ფუნქცია, მოქალაქეობა ეხმარება ჩამოსულ პირებს მიმღები ქვეყნისადმი მიკუთვნებულობის

გრძნობის განმტკიცებაში და ამ გზით შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იმიგრანტების ინტეგრაციისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის საკვლევი კითხვა მდგომარეობს შემდგომში: როგორ შეცვალა კოვიდ-19-ის პანდემიამ და ამის შედეგად გამკაცრებულმა საიმიგრაციო პოლიტიკამ შრომითი მიგრანტების მდგომარეობა საქართველოში?

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- არსებული სახელმწიფო პოლიტიკის და იმ სამთავრობო ღონისძიებების დახასიათება, რომლებიც გატარდა პანდემიის პერიოდში;
- იმ გამოწვევების დადგენა, რომელთა წინაშეც აღმოჩნდნენ საქართველოში მცხოვრები შრომითი მიგრანტები უკანასკნელი 1-1,5 წლის განმავლობაში;
- განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის მქონე პირთა მდგომარეობის ანალიზი კოვიდ 19-ის დროს;
- პანდემიის დროს თბილისსა და ბათუმში მცხოვრებ მიგრანტთა ვითარების შესწავლა და შედარება;

სტატიაში გამოყენებულია კვლევის ძირითადი მეთოდები:

- სიღრმისეული ინტერვიუები, რომლებიც ჩატარდა საქართველოს ორ მსხვილ ქალაქში – თბილისსა და ბათუმში – მცხოვრებ შრომით მიგრანტებთან;
- დოკუმენტების ანალიზი - აღნიშნული მეთოდით დამუშავდა საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC), საქართველოს მთავრობის (StopCov.ge), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) და საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური და სხვა სახის მასალები;

თვისებრივი კვლევა ჩატარდა 2021 წელს თბილისსა და ბათუმში, წინასწარ მომზადებული ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის საფუძველზე. ქალაქები შეირჩა მიგრანტთა რაოდენობის მიხედვით, სწორედ ამ ორ ქალაქშია თავმოყრილი ყველაზე მეტი მიგრანტი, რაც აიხსნება თბილისისა

და ბათუმის ეკონომიკური შესაძლებლობებით, სწორედ მათზე მოდის ქვეყნის მშპ-ის უდიდესი წილი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019), ვინაიდან თბილისი ქვეყნის დედაქალაქი, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრია, ხოლო ბათუმი სიდიდით მეორე, აგრეთვე სწრაფად მზარდი, სატრანსპორტო და ტურისტული ქალაქია. ჯამში, ორივე ქალაქში ერთად, ჩატარდა ინდივიდუალური სიღრმისეული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მომუშავე, განსხვავებული სამართლებრივი სტატუსისა და მოქალაქეობის 56 შრომით მიგრანტთან. რესპონდენტთა ასეთი მრავალფეროვნება უკეთ წარმოაჩენს პანდემიის გავლენას მიგრანტთა მრავალგვარ ჯგუფებზე. იქიდან გამომდინარე, რომ მიგრანტები ხასიათდებიან სოციალური კავშირებით, კვლევის საწყის ეტაპზე დაიგეგმა „თოვლის გუნდის“ შერჩევის დიზაინის გამოყენება. ეს მეთოდი გამოსადეგია ჩაკეტილ ჯგუფებთან დასაკავშირებლად. ვინაიდან არ არსებობს მიგრანტთა ერთიანი მონაცემების ბაზა და მათთან დაკავშირება არ არის მარტივი, შერჩევის აღნიშნული მეთოდი საუკეთესოა აღნიშნული ჯგუფისადმი წვდომის მოსაპოვებლად. ამავდროულად იგი წარმოაჩენს მიგრანტთა ინფორმირებულობის დონეს. გამოკითხულთა ასაკი: 20-71 წელია. თბილისსა და ბათუმში მცხოვრები შრომითი მიგრანტების საშუალო ასაკი კი 37-38 წელი. მიღებული შედეგები გაანალიზდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების კონტექსტში. პანდემიის პერიოდში მიგრანტთა გარკვეული ნაწილი ადგილობრივებთან შედარებით, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა, მათ ჰქონდათ მეტი ან ისეთივე ხარჯი, როგორიც ადრე (ქირის გადასახადი, კომუნალური გადასახადი ა.შ.), მაგრამ ნაკლები შემოსავალი, შეზღუდული წვდომა სხვადასხვა სოციალურ თუ ჯანდაცვის პროგრამაზე და ნაკლებადაც იყვნენ ინფორმირებული. ინტერვიუების ანალიზის დროს გამოყებული იყო შედარებითი მიდგომა თბილისისა და ბათუმის მიგრაციულ ტენდენციებს შორის არსებული სხვაობის წარმოსაჩენად.

სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის შეგროვების-განზოგადების-ანალიზის მეთოდის გამოყენებით მოხდა კოვიდ-19-ის პერიოდში განხორციელებული სამთავრობო ღონისძიებების შესწავლა, გამოკვლევა, რათა შეფასებულიყო მათი გავლენა შრომით მიგრანტებზე, ამავდროულად დამუშავდა უახლესი სტატისტიკური და სხვა სახის მასალები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ვებგვერდიდან და საერთაშორისო ორგანიზაციების გვერდებიდან, რათა ციფრებით წარმოჩენილიყო პანდემიის გავლენა როგორც ეკონომიკის ცალკეულ დარგებზე, ისე მთლიანად მოსახლეობასა და მიგრანტთა ჯგუფებზე.

კვლევა (PHDF-21-137) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის სათაური: „შრომით მიგრანტთა სამოქალაქო და სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ასპექტები საქართველოში“.

იმიგრაციის სამართლებრივი საკითხები და სამთავრობო პოლიტიკა საქართველოში

ტერმინი „შრომითი მიგრანტი" ნიშნავს პირს, რომელიც იქნება, არის ან იყო დაკავებული ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობით იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც ის არ არის (OOH, 1990).

მიგრაცია თანამედროვეობის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა. სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე მიგრაციულ პროცესებს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, ამიტომ აუცილებელია მიგრაციული პროცესების მართვა. ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკიდან გამომდინარე, საქართველო ერთდროულად არის როგორც მიგრანტთა წარმოშობის, ისე მათი დანიშნულებისა და სატრანზიტო ქვეყანა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო, 2017).

საქართველოში შემოსვლა და დარჩენა შესაძლებელია საქართველოს ვიზის, ბინადრობის ნებართვის, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის, საერთაშორისო დაცვის მქონე პირის დროებითი ბინადრობის მოწმობის საფუძველზე ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (საქართველოს პარლამენტი, 2014).

საქართველოს ვიზა არის პირობითი ნებართვა, რომელიც ადასტურებს პირის უფლებას, შემოვიდეს ან იმყოფებოდეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. საქართველოში ბოლო ოთხი წელია უცხოელებზე გაცემული შრომითი საიმიგრაციო (D1 კატეგორიის)[2] ვიზების რიცხვი შემცირდა. ეს შეიძლება აიხსნას 2015 წელს ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებებით, კერძოდ, უვიზოდ შემოსვლისა და ერთი წლის ვადით ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენის უფლება მიეცა 95 ქვეყნის 28 მოქალაქეს. 50-მდე ქვეყნის პირს კი, რომელსაც აქვს ბინადრობის ნებართვა, უვიზოდ 90 კალენდარული დღის ვადით დარჩენის შესაძლებლობა მიეცა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო, 2017). იმ ქვეყნების სია, რომელთა მოქალაქენიც საქართველოში შემოსვლის შემთხვევაში თავისუფალნი არიან სავიზო ვალდებულებისგან, განისაზღვრება კანონით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“.

ეს კანონი არეგულირებს საქართველოში უცხოელთა შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტისა და გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს (საქართველოს პარლამენტი, 2014). საიმიგრაციო ვიზა აღარ არის ბინადრობის ნებართვის მისაღებად სავალდებულო წინაპირობა. შესაბამისად 2016 წლიდან მკვეთრად მცირდება შრომითი საქმიანობის (D1) მიზნით გაცემული ვიზები. ოფიციალური სტატისტიკა შრომით მიგრანტებთან დაკავშირებით არ არსებობს.

ბინადრობის ნებართვა არის მისი მოქმედების პერიოდში საქართველოში უცხოელის შემოსვლის ან ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის უფლება. ბინადრობის ნებართვის მფლობელმა შეიძლება საქართველოში მოიწვიოს სხვა ქვეყნის მოქალაქე. საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით უცხოელზე კანონმდებლობით გაიცემა შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომლის მისაღებად უცხოელმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს შრომითი/სამეწარმეო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი ცნობითურთ, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოში საქმიანობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავლის ოდენობა არ არის საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგზე ნაკლები, ხოლო საწარმოს (გარდა სამედიცინო ან საგანმანათლებლო დაწესებულებისა) წლიური ბრუნვა თითოეულ უცხოელზე, რომელსაც სურს შრომითი ბინადრობის ნებართვა, მინიმუმ 50 000 ლარია (საქართველოს პარლამენტი, 2014).

ბოლო წლებში აქტიური ბინადრობის მოწმობების რაოდენობა დროებითი ბინადრობის მოწმობების ხარჯზე იზრდება. 2018 წლის მონაცემებით, საქართველოში გაიცა 52,167 მოქმედი ბინადრობის მოწმობა. მუდმივ ბინადრობის მოწმობებს ფლობენ ჩვენი სამეზობლოს (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ასევე უკრაინა) მოქალაქეები, დროებითს – ირანის, ინდოეთისა და რუსეთის მოქალაქეები (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019). ბინადრობის მოწმობის მქონე უცხოელთა უმრავლესობა თბილისშია რეგისტრირებული. ბოლო 4 წლის განმავლობაში სხვადასხვა საფუძვლით 88,493 ბინადრობის ნებართვა გაიცა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019), მათგან ყველაზე მეტი 2015 წელს და ისინი ძირითადად დროებითი ტიპის შრომით ნებართვებზე მოდიოდა. 2018 წელს შემცირდა შრომითი ბინადრობის ნებართვები. 2015 წლის შემდეგ კი მცირდება საქართველოს ყოფილი მოქალაქეების ბინადრობის ნებართვათა რიცხვიც. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვებმა 2018 წელს შეადგინა 5,346 და ისინი ძირითადად ირანის მოქალაქეებზე მოდიოდა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019). 2015-2018 წლებში გაცემული

ბინადრობის ნებართვათა უმრავლესობა 18-65 წლის მამაკაცებზე (66%) მოდიოდა. შრომითი ბინადრობის ნებართვებს რაც შეეხება, ისინი უმეტესად 26-40 წლის პირებზე იყო გაცემული, ხოლო ინვესტიციებზე გაცემული ნებართვების 40%-ზე მეტი მოდიოდა შუახნის ასაკზე (41-65 წლის) (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

ბოლო 4 წლის განმავლობაში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში მომუშავე შრომითი იმიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისში მომუშავე ინდოეთის, ჩინეთის, თურქეთისა და ირანის მოქალაქეა. ისინი საქმდებოდნენ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მშენებლობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

კოვიდ-19-ის პანდემია და საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები

ბოლო აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 3 716 858 შეადგენს, თბილისში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 34%-1,184,800 ადამიანი, ქუთაისში – 135,200, ბათუმში – 169,100 და რუსთავში – 128,700 (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021). შესაბამისად, ზემოაღნიშნულ 4 ქალაქში კონცენტრირებულია საქართველოს მოსახლეობის 43.5%. აღსანიშნავია, რომ თბილისზე მოდის ქვეყნის მშპ-ის 51,2%, იმერეთზე – 8,5%, აჭარაზე – 10,1%, ქვემო ქართლზე – 7,5% (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019). ამიტომაც მოსახლეობის მობილობის შესამცირებლად მთავრობამ აქცენტი სწორედ ამ ქალაქებზე გააკეთა.

კოვიდ-19-ის გავრცელებიდან ქვეყნის ხელისუფლებამ ბრძოლა დაიწყო: მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვისა და ეკონომიკური კრიზისის შემსუბუქებისთვის. გამოიყო 4 პრიორიტეტული მიმართულება: ჯანდაცვა, ეკონომიკა, უსაფრთხოება და მარაგებისა და ლოჯისტიკის საკითხები. ქვეყანაში მიმდინარეობდა ახალი შემთხვევების კლასტერიზაცია, კონტაქტების მოძიება.

ბრძოლის მეორე ეტაპზე მიმდინარეობდა გამკაცრებული ეპიდზედამხედველობა, რათა არ მომხდარიყო ჯანდაცვის სისტემის კოლაფსი (საქართველოს მთავრობა, 2020, გვ. 9). სავალდებულო გახდა იზოლაციის ნორმების დაცვა (იქვე, გვ. 7). დაიწყო საქართველოს მოქალაქეების სხვადასხვა

ქვეყნიდან ეტაპობრივი დაბრუნება (პირველი სპეცრეისი განხორციელდა ჩინეთიდან). უკვე 22 მაისისთვის სახელმწიფომ სამშობლოში დააბრუნა საქართველოს 12 720 მოქალაქე (იქვე, გვ. 40).

საქართველო იყო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც ჩინეთთან საჰაერო მიმოსვლა შეწყვიტა, შემდეგ იგივე შეეხო ირანს (იქვე, გვ. 8). ირანის მოქალაქეებისთვის შეიზღუდა გადაადგილება საქართველოს სახმელეთო საზღვრებზე (იქვე, გვ. 22), ეტაპობრივად აიკრძალა მეზობელ ქვეყნებთან მიმოსვლა და საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლა.

ჯერ კიდევ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე დაიწყო სასტუმროების საკარანტინო სივრცეებად გადაკეთება. მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა დედაქალაქისა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მდებარე 300-ზე მეტ სასტუმროსთან (საქართველოს მთავრობა, 2020, გვ. 33). 2020 წლის 22 მაისისთვის ქვეყნის მასშტაბით საკარანტინო ზონაში შედიოდა 84 სასტუმრო, რაც ხელს უწყობდა სასტუმროების ოპერირებასა და სექტორის შემოსავლების შენარჩუნებას. საკარანტინო ზონებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 32.5 მლნ ლარი (იქვე, გვ. 34).

ვირუსის გავრცელების მესამე ეტაპზე სრულიად შეჩერდა საერთაშორისო ავიამიმოსვლა, პერიოდულად მუნიციპალიტეტებსა და გარკვეულ სოფლებში ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე წესდებოდა მკაცრი საკარანტინო რეჟიმები.

საქართველომ ნაწილობრივ გამოიყენა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-15 მუხლით დაშვებული გადახვევები და პრეზიდენტის დეკრეტით საგანგებო მდგომარეობის პერიოდში შეზღუდა ქვეყნის კონსტიტუციით განსაზღვრული ისეთი უფლებები, როგორებიცაა: ადამიანის თავისუფლება, მიმოსვლის თავისუფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები (რაც გულისხმობდა პენიტენციურ დაწესებულებებში პაემნის უფლების შეწყვეტას), სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები, საკუთრების უფლება, შეკრების თავისუფლება, შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება. მეოთხე ეტაპზე ეპიდსიტუაციის გაუმჯობესებასთან ერთად, ეტაპობრივად დაიწყო შეზღუდვების მოხსნა. 2020 წლის აპრილში მთავრობამ ეკონომიკის ამოქმედების გეგმა წარადგინა. ამავე წლის მაისის თვეში

საქართველოში ინფიცირებისა და გარდაცვალების მაჩვენებელი ჩამორჩებოდა როგორც მსოფლიო მონაცემებს, ისე მეზობელი ქვეყნების (თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი) მაჩვენებლებსაც. 2020 წლის პირველ კვარტალში, წინა წელთან შედარებით, 26%-ით შემცირდა საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლები. იმავე წლის აპრილში ექსპორტი შემცირდა 28%-ით, იმპორტი კი – 39%-ით. 42.3%-ით შემცირდა ფულადი გზავნილების ოდენობა ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა რუსეთი (-61.8%), იტალია (-27.5%), საბერძნეთი (-37.9%), აშშ (-33.6%), ისრაელი (48.4%). ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში განხორციელდა მიზნობრივი პროგრამები ეკონომიკის ცალკეული სექტორებისთვის (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, დეველოპერული) (საქართველოს მთავრობა, 2020).

29სახელმწიფომ შეიმუშავა ანტიკრიზისული პაკეტი, რომლითაც ღონისძიებები 2 ეტაპად განხორციელდა: პირველ ეტაპზე მოქალაქეებს დაუფინანსდათ 3 თვის კომუნალური გადასახადი. 3 თვის განმავლობაში ელექტროენერგიის გადასახადის შეღავათით ისარგებლა 1.2 მილიონზე მეტმა აბონენტმა, ხოლო ბუნებრივი აირის გადასახადის შეღავათით – 670 ათასზე მეტმა აბონენტმა. პროგრამის ბიუჯეტი იყო 170 მლნ ლარი (საქართველოს მთავრობა 2020, გვ. 54).

გაცვლითი კურსის ცვლილებით ფასების ზრდის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფომ დააზღვია 9 ძირითადი სასურსათო პროდუქტი. აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 14 მლნ ლარს (იქვე, გვ. 54-55).

მოქალაქეებს მიეცათ სესხის 3 თვით გადავადების შესაძლებლობა, სახელმწიფოს აღნიშნული დახმარებით 600 000-მდე პირმა0ისარგებლა. მეორე ეტაპი მოიცავდა უფრო მასშტაბურ ღონისძიებებს, კერძოდ, ფინანსურ დახმარებას თვითდასაქმებულებისთვის, დაქირავებით დასაქმებულებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისათვის.

სახელმწიფომ 6 თვის განმავლობაში თვეში 200 ლარის ოდენობის (სულ 1200 ლარი) დახმარება აღმოუჩინა დასაქმებულ პირებს, რომელთაც დაკარგეს სამსახური ან რომლებიც გაუშვეს უხელფასო შვებულებაში. დახმარებით ისარგებლა 350 000-მდე მოქალაქემ. პროგრამის ბიუჯეტი 450 მლნ ლარამდე იყო. თვითდასაქმებულებისთვის ფულადი დახმარება შეადგენდა ერთჯერად 300 ლარს.

დამსაქმებლებისთვის დაწესდა საგადასახადო შეღავათი სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით. 750 ლარის ოდენობის ხელფასი გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადისგან 6 თვით. პროგრამის ბიუჯეტი იყო 250 მლნ ლარი (იქვე, გვ. 55).

ქვეყნის მთავრობა პროაქტიულ ზომებს იღებდა მოწყვლადი ჯგუფებისა და უმცირესობების უფლებების დასაცავად, უზრუნველყოფდა მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირთა, ასაკოვანი მოსახლეობის, მარტოხელა მშობლების და უმცირესობათა სხვა ჯგუფების ინფორმაციაზე, სერვისებზე, ძირითად საარსებო მხარდაჭერაზე წვდომას (იქვე, გვ. 50). 70 წლის და ზედა ასაკის პენსიონერებს გაეზარდათ პენსია 30 ლარით (იქვე, გვ. 55).

საქართველოს მთავრობის მიერ კოვიდის წინააღმდეგ შექმნილი ანტიკრიზისული გეგმის 1 და მე-2 ეტაპის ღონისძიებათა ბიუჯეტი 2020 წლის განმავლობაში მოქალაქეებზე ზრუნვისა და მათი სოციალური მხარდაჭერისთვის – 1.04 მლრდ ლარს, ეკონომიკისა და მეწარმეთა მხარდასაჭერად – 1.76 მლრდ ლარს, ჯანდაცვის გასაძლიერებლად კი 350 მლნ ლარს მოიცავდა (იქვე, 57).

კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის გამოცდილება განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან საქართველოს ჯანდაცვის სისტემა კოვიდ-19-ის პირველ ტალღას კარგად მომზადებული შეხვდა. 2020 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში საქართველოს მთავრობის მიერ პანდემიის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯები დროული, კოორდინირებული და ეფექტიანი იყო. ზოგადად, პანდემიის პირველმა ტალღამ საქართველოში მშვიდად, გართულებების გარეშე ჩაიარა. 2020 წლის საგაზაფხულო პერიოდში კოვიდ-19-ის შემთხვევების რიცხვი რამდენიმე ასეულს აღწევდა. ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ საქართველოში პანდემიის პირველი ტალღა საერთოდ არ ყოფილა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მედიამ კი საქართველო პანდემიის წარმატებული მართვის ეტალონად დაასახელეს (Gogsadze, G; et, al, 2021, გვ. 3). უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა აკრძალა ფრენები ვუჰანიდან და აფეთქების კერებიდან, შემოიღო სავალდებულო კარანტინი, რაც WHO-ის რეკომენდაციას ეწინააღმდეგებოდა. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რასაც რამდენიმე სამეცნიერო კვლევაც ადასტურებს, რომელთა მიხედვითაც კოვიდ-19-ის ეფექტიანი კონტროლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა შეზღუდვებსა და მათს სიმკაცრეს, არამედ მათი შემოღების დროულობას (ზოიძე, 2021).

კოვიდ-19-ის მეორე ტალღა საქართველოსთვის, ისევე როგორც მსოფლიოს დიდი ნაწილისთვის, პირველზე უფრო მძლავრი აღმოჩნდა (კირკიტავა, 2020). უკვე 2020 წლის შემოდგომაზე კოვიდ-19-ის შემთხვევებმა ქვეყანაში იმატა და საქართველო ვირუსის გავრცელების ტემპით ქვეყნების პირველ შვიდეულში აღმოჩნდა (ზოიძე, 2021). აღნიშნული, შესაძლოა, უკავშირდებოდეს შეზღუდვების მოხსნას, ვირუსის გავრცელებას საკურორტო ზონებიდან (აჭარა), ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს (2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, შემდგომი დემონსტრაციები, პროტესტები) (Gogsadze et al. 2021) და ა.შ. მეორე ტალღის პიკი შემოდგომა-ზამთრის პერიოდს დაემთხვა. პაციენტების უკიდურესად გაზრდილ ნაკადს საავადმყოფო სექტორმა ე.წ. კლინიკური თუ კოვიდსასტუმროების დახმარებით გაუძლო (ზოიძე, 2021).

დეკემბრის შუა რიცხვებისათვის შემთხვევების რაოდენობით (დღიურად 4000-5000) საქართველო ევროპის პირველ სამ ქვეყანას შორის აღმოჩნდა. დეკემბრის შუა რიცხვებში კოვიდ-19-ისგან სიკვდილიანობა 1 მილიონ ადამიანზე იყო 11,6. ლეტალური შედეგები მამაკაცებში (55%) უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალებში (Report NCDCP, 2021, pp. 19-20).

2021 წლის აპრილის თვეში ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების მესამე ტალღა დაიწყო (ამერიკის ხმა, 2021), რომლის შემდგომაც ივლისის შუა რიცხვებიდან მეოთხე და ჯერჯერობით ყველაზე ძლიერი ტალღა გავრცელდა, შესაბამისად ამ პერიოდში დადგა კოვიდპაციენტების ჰოსპიტალიზაციის პრობლემა, კვლავ შემოიღეს პირბადის ტარების ვალდებულება ღია სივრცეში, ხოლო 14 აგვისტოდან 13 სექტემბრის ჩათვლით შეიზღუდა თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა (თბილისის მერია, 2021).

საქართველოს მთავრობა კოვიდპანდემიის პერიოდში უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა და ეკონომიკა ურთულესი გამოწვევების წინაშე დადგა. ამიტომაც, მთავრობამ აღნიშნულ პერიოდში პრიორიტეტად თავისი მოსახლეობისა და ადგილობრივი კომპანიების დახმარება დაისახა, რაც განახორციელა კიდეც, აღნიშნული ჩანს იმ სოციალური პაკეტების, დახმარებებისა და ღონისძიებების სიმრავლიდან, რაც იმ პერიოდში გატარდა. თუმცა, ვინაიდან გამოიკვეთა ზევრი მიმართულება და დაზარალებული მხარე, მიგრანტთა მდგომარეობა და მათი პრობლემები უყურადღებოდ დარჩა. შესაბამისად, მათ გართულებულ მდგომარეობას არ მიენიჭა სათანადო მნიშვნელობა.

საერთო ჯამში, ანტიპანდემიურმა შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ გარემოზე. განსაკუთრებით დაზარალდა მომსახურების, ტურიზმის, სასტუმრო და სარესტორნო სექტორი.

შრომით მიგრანტებთან ჩატარებული კვლევის შედეგები

ჩვენ მიერ გამოკითხულმა შრომით მიგრანტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო. ეს სხვადასხვა ფაქტორით იყო განპირობებული, მათ შორის დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილით, ოჯახური მდგომარეობით (დაუოჯახებელი), ცუდი ურთიერთობებით ან ურთიერთობის არქონით ოჯახის წევრებთან, დასავლური კულტურისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმის, ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებისკენ სწრაფვით, თავად ოჯახის ხედვებითა და სხვ.

მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორიის მიდგომები გვეხმარება იმის ახსნაში, რომ გამოკითხული იმიგრანტების გადაწყვეტილება კოლექტიური ხასიათის იყო. ჩვენს კვლევაში ეს განსაკუთრებით აქტუალური აღმოჩნდა ტრადიციული საზოგადოებებისათვის (მაგ., ირანი). სწორედ ამ შემთხვევაში იყო გადაწყვეტილება დამოკიდებული ოჯახზე. კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პანდემიის პერიოდში სამთავრობო პოლიტიკამ მიგრანტთა ინტეგრაციის მხრივ არასასურველი შედეგები მოიტანა. ამის ძირითადი მიზეზები იყო გამკაცრებული საიმიგრაციო პოლიტიკა, ხანგრძლივი შეზღუდვები და მიგრანტთა პრობლემების მიმართ არასათანადო ყურადღება. სამთავრობო პოლიტიკა ნაკლებად ითვალისწინებდა მიგრანტთა სპეციფიკურ საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

გამოკითხულ მიგრანტთა უმრავლესობამ პანდემიის პირველი ტალღის პერიოდში საქართველოში დარჩენა უფრო უსაფრთხო და მართებულ გადაწყვეტილებად მიიჩნია და სამშობლოში არ დაბრუნდა, რაც განპირობებული იყო ამ დროს მთავრობის მიერ დროული და ეფექტიანი ღონისძიებებითა და კრიზისის ხარისხიანი მენეჯმენტით, რომლებიც მეორე ტალღის დროს გაუარესდა.

ბათუმი, თბილისთან შედარებით, სამთავრობო შეზღუდვების ნაკლები სიმკაცრით გამოირჩეოდა. ამიტომ, მიგრანტთა ნაწილი (მათ შორის სამართლებრივი სტატუსის არმქონე) პანდემიის პერიოდში

საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა. „გულწრფელად გეტყვით, ე.წ. ნიღბის რეჟიმი საშინელებაა, სუნთქვა გაუსაძლისია, ბათუმში ამ მხრივ პრობლემას არ ქმნიან, შეგიძლია უნიღბოდაც იარო, თბილისში როცა ჩამოვედი, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მომიწია ნიღბით მგზავრობა, ღია სივრცეში კი დავჯარიმდი ნიღბის არტარების გამო, ამ მხრივ ბათუმი ბევრად კომფორტულია...“ (ტურიზმის სფეროში მომუშავე 38 წლის რუსეთის მოქალაქე ბათუმიდან).

ბათუმში შეზღუდვებზე ნაკლები სიმკაცრის შესახებ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ზღვისპირა ქალაქში გამოკითხულთა უმრავლესობა არ მალავდა თავის არალეგალურ სტატუსს. თბილისში მკაცრი კარანტინით განპირობებულმა შეზღუდვებმა, კერძოდ რიგი დაწესებულებების ჩაკეტვამ (მაღაზიები, გასართობი, კულტურული ადგილები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები – ყველაფერი ის, რაც დედაქალაქში ცხოვრებას მიმზიდველს ხდის) განაპირობა მიგრანტთა ნაწილის ბათუმში გადინება. ამასთანავე შესამჩნევი იყო საკვლევ ქალაქებში ცხოვრებისა და საყოფაცხოვრებო ხარჯებს შორის არსებული სხვაობაც, რაც მიგრანტებს განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებდა. რადგან ბათუმი უფრო პატარა სოციუმია, ადგილობრივი მოსახლეობა იქ მეტად ეხმარებოდა და თანაუგრძნობდა მიგრანტებს. ბათუმში ბევრმა ადგილობრივმა გამქირავებელმა გაითვალისწინა მიგრანტთა გართულებული მდგომარეობა და რესპონდენტთა თქმით, მათ ამ პერიოდში არ ახდევინებდნენ ქირას ან ახდევინებდნენ შეთანხმებულზე ბევრად დაბალ თანხას. „ბინის ქირა პანდემიის პერიოდში მე თვითონაც შემიმცირდა და ამ დრომდე შემცირებული ტარიფით ვსარგებლობ...“ (40 წლის დამლაგებელი ყაზახეთის მოქალაქე ბათუმიდან).

ზოგადად საცხოვრებლად მიგრანტთა მრავალი ჯგუფისთვის ბათუმი უფრო მოსახერხებელი ქალაქია თბილისთან შედარებით. განსაკუთრებით კომფორტულია ბათუმში ცხოვრება პოსტ-საბჭოთა სივრციდან ჩამოსული შრომითი მიგრანტებისთვის, ვინაიდან ამ ქალაქში ისინი არ აწყდებიან ენობრივი ბარიერის პრობლემას და ადგილობრივი მოსახლეობაც ჰეტეროგენულია (არაერთგვაროვანი), შესაბამისად პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტებისთვის უფრო ადვილია ბათუმში ადგილობრივებთან ინტეგრაცია იმიგრანტთა სხვა ჯგუფებთან შედარებით.

ენობრივი და კულტურული დაბრკოლებების არ არსებობობისა და კოვიდ შეზღუდვებზე დაწესებული ფაქტორების გარდა აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლის გამოც მიგრანტები ბათუმს ანიჭებდნენ უპირატესობას - საზოგადოების მიმღებლობა და ინტეგრაციის მზაობა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან აქ უფრო მაღალია, ვიდრე თბილისში.

შრომით მიგრანტთა ის ნაწილი, რომელიც იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო (სამუშაოს დაკარგვის, შემოსავლის წყაროს არქონის ან სხვა მიზეზებით) სახელმწიფო საზღვრის ჩაკეტვის პირობებში მასპინძელ ქვეყანაში უკან ვეღარ დაბრუნდა. 2020 წლის 14 მარტიდან ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც შეეზღუდათ საქართველოში შემოსვლა (Civil.ge, 2020). რაც მათი უფლებების დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს. ბინადრობის ნებართვა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოში შემოსვლისა და კანონიერად ყოფნის საფუძველს წარმოადგენს და იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა საზღვრის კვეთის უფლება მისცეს ევროკავშირის არამოქალაქე ბინადრობის მქონე პირებს (European Commission, 2020), საქართველოს მთავრობამ კი ეს უფლება მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებს მიანიჭა, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო არასამართლიანი დამოკიდებულება მიგრანტთა მიმართ.

აღნიშნული პრობლემის გამოსწორების ერთ-ერთ საშუალებად პროგრამა „იმუშავე საქართველოდან" იქცა, რომელიც 2020 წლის 27 აგვისტოდან ამოქმედდა და რომლითაც ისარგებლეს საქართველოს ბინადრობის მქონე ქვეყნის არამოქალაქე პირებმაც და გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი ქვეყანაში დაბრუნების მიზნით.

აღნიშნული პროექტი ამოქმედდა ქვეყნის მთავრობის დავალებით იმ უცხოელებისთვის, რომლებსაც საქართველოში დისტანციურად მუშაობის სურვილი აქვთ. პროექტის ფარგლებში 95-ზე მეტი სახელმწიფოს მოქალაქეებსა და რეზიდენტებს საქართველოში 180-ზე მეტი დღით დარჩენის შესაძლებლობა მიეცათ. ახალი პლატფორმით სარგებლობა შეეძლოთ თვითდასაქმებულებს, სრული განაკვეთით დასაქმებულ დისტანციურად მომუშავე პირებსა და მეწარმეებს, რომელთა შემოსავალი თვეში მინიმუმ 2000 დოლარს შეადგენს.

კოვიდ-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა განსხვავებული გავლენა მოახდინა მიგრანტთა სხვადასხვა ჯგუფზე. უფრო მოწყვლადი, ნაკლები შემოსავლის, შეზღუდული რესურსებისა და განვითარებადი, მყიფე ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოქალაქეები მეტი რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ.

პანდემიამ განსაკუთრებით გაართულა იმ უცხოელების მდგომარეობა, რომლებსაც არ გააჩნდათ ქვეყანაში დარჩენის სამართლებრივი უფლება, პრობლემები წარმოიშვა ოფიციალური დოკუმენტების საქმეთწარმოებასთან დაკავშირებით. ბევრმა მათგანმა დაკარგა სამსახური, ისინი

განიცდიდნენ ინფორმაციის ნაკლებობას და აქედან გამომდინარე, არ ჰქონდათ სახელმწიფო სერვისებზე წვდომა და ვერ იცავდნენ თავიანთ უფლებებს.

კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად შრომით მიგრანტთა გარკვეულმა ნაწილმა ქვეყანა დატოვა დისკრიმინაციის მიზეზით, რომელიც განსაკუთრებით გამძაფრდა პანდემიის პირველი ტალღის დროს, ძირითადად იმ პირთა მიმართ, რომლებიც შორეული აზიიდან იყვნენ ჩამოსული. აღნიშნული ძირითადად შეეხო ჩინეთის მოქალაქეებს. „განსაკუთრებით კორონა ვირუსის შემდეგ ჩაგვრა გამძაფრდა. ხალხი სოციალურ ქსელში აქვეყნებდა დამცინავ, დისკრიმინაციულ მოსაზრებებს ჩემი ქვეყნის შესახებ, ისინი არ სცემდნენ პატივს ჩინელ ხალხს, წერდნენ, რომ ჩინელმა ხალხმა გაავრცელა კორონა მსოფლიოში, აღნიშნული მიზეზით ბევრმა ქართველმა მეგობარმა შეწყვიტა ჩემთან ურთიერთობა, წამშალა სოციალური ქსელიდან...“ (ვაჭრობის სფეროში დასაქმებული 25 წლის ჩინელი მიგრანტი თბილისიდან).

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ აზიიდან ჩამოსული შრომითი მიგრანტები, პანდემიის პერიოდში, სხვა მიგრანტებთან შედარებით, უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ეს განპირობებული იყო როგორც მშობლიურ ქვეყანაში სხვა ქვეყნებთან შედარებით გართულებული ეპიდსიტუაციით, რომლის შედეგად მათ უწევდათ ოჯახის წევრებისა და ახლობლებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენა და დახმარება (გაიზარდა მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, ფინანსური ვალდებულებები), ასევე იმ ფაქტითაც, რომ აღნიშნულ პერიოდში გართულდა დოკუმენტების მოწესრიგების საკითხი. კიდევ უფრო გამძაფრდა მანამდე არსებული ისეთი ხშირი პრობლემა, როგორიცაა ბინადრობის ნებართვის მოპოვებისას დაუსაბუთებელი უარი, სახელმწიფო უსაფრთხოების მოტივით. აღნიშნულის შესახებ განაცხადა სილამაზის სალონში დასაქმებულმა 30 წლის ირანელმა მიგრანტმა თბილისიდან: „როდესაც ვეკითხები მიზეზს, თუ რატომ მეუბნებიან უარს ბინადრობის ნებართვაზე, ისინი არ მეუბნებიან პასუხს, მე ხომ არაფერს ვაშავებ და ყველა საბუთი წესრიგში მაქვს...“

პანდემიამ გაართულა მათი მდგომარეობაც, ვინც სპეციალური სავიზო რეჟიმის მქონე ქვეყნიდან იყო ჩამოსული (მათ მიეკუთვნებიან ის უცხოელები, რომლებსაც აქვთ საქართველოს მთავრობის #256 დადგენილებაში მითითებული რომელიმე ქვეყნის ვიზა ან ბინადრობის ნებართვა და შეუძლიათ ქვეყანაში უვიზოდ შემოსვლა და ცხოვრება ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90 კალენდარული დღის ვადით) (საქართველოს მთავრობის დადგენილება #256, 2015). საზღვრების ჩაკეტვის გამო მათმა

დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო საზღვრის კვეთა, რის შედეგადაც დაარღვია კანონი და ქვეყანაში არალეგალურად იმყოფებოდა. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირად ვლინდებოდა ბათუმში და ძირითადად ეხებოდა დსთ-ს ქვეყნების მოქალაქეებს.

საქართველოს მთავრობამ უცხოელებისთვის კანონიერად ყოფნის ვადა რამდენჯერმე გაახანგრძლივა. 2020 წლის 16 აპრილს, მთავრობის განკარგულებით იგი 30 ივნისამდე განისაზღვრა[3]. შესაბამისად მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე 2020 წლის 14 მარტს კანონიერად იმყოფებოდა და რომელმაც ვერ შეძლო ლეგალურად ყოფნის ვადის გასვლამდე ქვეყნის დატოვება, დართეს ნება 30 ივნისამდე დარჩენილიყო საქართველოს ტერიტორიაზე (TDI, 2021).

შემდგომში ვადა აგვისტოს ბოლომდე გადაწიეს, შემდეგ, 2020 წლის დეკემბრის ბოლომდე, საბოლოო თარიღად 2021 წლის 1 ივლისი დატოვეს (TDI, 2021). აღსანიშნავია, რომ გამოკითხული შრომითი მიგრანტები აღნიშნულის შესახებ არ ფლობდნენ ინფორმაციას, ბევრ მათგანს ეგონა, რომ იმ პერიოდში უკვე არალეგალურად იმყოფებოდა საქართელოს ტერიტორიაზე.

სხვა მიგრანტებთან შედარებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დასავლეთ ევროპიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული მიგრანტები. განსაკუთრებით ისინი, რომელთა მშობლიური ენა ინგლისურია. აღსანიშნავია, რომ ისინი თავიდანვე უკეთეს სამუშაო პოზიციებზე იყვნენ დასაქმებული, ვიდრე სხვა მიგრანტები. მათი ნაწილის საქმიანობა დაკავშირებული იყო ინგლისური ენის სწავლებასთან ისეთ დაწესებულებებში, როგორებიცაა კერძო, ელიტარული სკოლები, ენის შემსწავლელი ცენტრები, ინსტიტუტები და უნივერსიტეტები, ან გულისხმობდა ონლაინ მუშაობას თავისი ქვეყნის ბაზარზე, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში. შესაბამისად, მათი შემოსავლები განსხვავდებოდა სხვა ქვეყნის მიგრანტთა შემოსავლებისგან. მათ არ დაუკარგავთ სამუშაო პანდემიის პერიოდშიც, ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულებები გადავიდნენ ონლაინ მუშაობის რეჟიმზე და ზოგ შემთხვევაში სამუშაოს რაოდენობა და შესაბამისად შემოსავალიც, აღნიშნულ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა. ამავდროულად, ვინაიდან მათ მშობლიურ ქვეყნებში არ იყო რთული ეპიდსიტუაცია პანდემიის გავრცელების პირველ ეტაპზე, მათ ჰქონდათ უფრო ძლიერი მორალური და მატერიალური მხარდაჭერა მშობლიური ქვეყნებიდან. მიგრანტთა აღნიშნული ჯგუფი სამართლებრივი კუთხითაც უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა აზიელ მიგრანტებთან შედარებით. გამოკითხულთაგან არც ერთს არ ჰქონდა საბუთების პრობლემა

საქართველოში. “სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის მართლაც რომ ძალიან დიდი განსხვავებაა პრივილეგიების თვალსაზრისით, თუნდაც ავიღოთ ის ფაქტი, რომ საზღვრის გადაკვეთისას ყოველთვის მაჩერებენ და დიდხანს მამოწმებენ როდესაც იგებენ, რომ ირანის მოქალაქე ვარ, მაგრამ თუკი ამერიკელ საქმროსთან ერთად ჩამოვდივარ საქართველოში, პრობლემები სასაზღვრო პუნქტში ნაკლებად მექმნება...“ (უძრავი ქონების სფეროში დასაქმებული 36 წლის ირანელი მიგრანტი თბილისიდან).

2020 წლის 4 მაისს საქართველოს მთავრობამ 286-ე დადგენილებით დაამტკიცა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც კორონავირუსით მიყენებული ზიანის შემსუბუქებას ისახავდა მიზნად. პროგრამა ვრცელდებოდა საქართველოს მოქალაქეებზე, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ან მოქალაქეობის არმქონე ფიზიკურ პირებსა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის ქვეშ მყოფი დროებითი ბინადრობის მოწმობის მქონე ფიზიკურ პირებ-ზე. პროგრამის ფარგლებში გაიცემოდა ფულადი კომპენსაციები - დახმარებები, იმ დაქირავებული პირებისთვის, რომლებიც ეწეოდნენ შრომით საქმიანობას 2019 წლის ივლის-დეკემბრის თვეებიდან ნებისმიერ უწყვეტ სამ თვეს ან 2020 წლიდან და ამ პერიოდში იღებდნენ ხელფასს, მათთვის კომპენსაცია გაიცემოდა პროგრამის ამოქმედებიდან, თვეში 200 ლარის ოდენობით, არაუმეტეს 1200 ლარისა ერთ პირზე (საქართველოს მთავრობა, 2020). აღნიშნული პროგრამის შესახებ კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობას არ ჰქონდა ინფორმაცია. ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ის მიგრანტები, რომლებსაც არ გააჩნდათ მუდმივი ბინადრობის მოწმობა ან იმყოფებოდნენ სპეცსავიზო რეჟიმის მქონე ქვეყნიდან, სამსახურებიდან დათხოვნის შემთხვევაში არ იღებდნენ ფულად დახმარებას სახელმწიფოსგან, ქართველებისგან და სხვა სამართლებრივი სტატუსის მქონე უცხოელებისგან განსხვავებით.

პანდემიამ გამოკვეთა არაერთი სისტემური ხასიათის პრობლემა. საქართველოში შრომით მიგრანტებს, და ზოგადად იმიგრანტებს, შეექმნათ ინფორმაციისადმი წვდომის სერიოზული ბარიერი. ვინაიდან სერვისების და მათ შორის სახელმწიფო სერვისების უდიდესი ნაწილი ონლაინსივრცეში გადავიდა, გაუარესდა უცხოელების ინფორმირებულობის დონე, შედეგად ისინი ვერ ჩაერთნენ რიგ პროგრამებში და ვერ ისარგებლეს მათთვის განკუთვნილი ჯანდაცვისა თუ სოციალური სერვისებით.

საქართველოში დასაქმებული შრომითი მიგრანტებისთვის შედარებით პრობლემური საკითხი იყო ჯანდაცვა, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის ფასიანია. გამოკითხულთა უდიდეს უმრავლესობას არ ჰქონდა ჯანმრთელობის დაზღვევა, დიდ კომპანიებში დასაქმებული შტატიანი თანამშრომლების გარდა. დაზღვევის გარეშე კი სასწრაფოს გამოძახებაც ფასიანია, ისევე, როგორც ნებისმიერი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის, რასაც ზოგიერთი გამოკითხული დისკრიმინაციად მიიჩნევდა. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში ისინი, ვისაც ჰქონდათ კოვიდი ან დაავადების რაიმე სიმპტომი, არ მიმართავდნენ არც პოლიკლინიკებს და არც საავადმყოფოებს. უცხოელთათვის ფასიანი იყო კოვიდტესტებიც. რაც შეეხება ვაქცინაციის პროცესს, მასზე უფლება ჰქონდა მუდმივი ბინადრობის მქონე, საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალურად მყოფ უცხოელს, რომლის ქვეყანაში შემოსვლიდან გასული იყო 3 თვე. უცხოელთათვის სირთულეს წარმოადგენდა კოვიდშეზღუდვების დარღვევის შედეგად ჯარიმის გადახდის პროცედურა, რისთვისაც საჭიროა გადასახად აპარატთან მუდმივი ან დროებითი ბინადრობის მოწმობის ინდივიდუალური ნომრის მითითება, რომელიც ზევრ მიგრანტს არ აქვს. შედეგად, აღნიშნული პროცესი დროში იწელებოდა და რთულდებოდა.

დასკვნა

ამრიგად, კოვიდ-19-მა გააუარესა მიგრანტების საცხოვრებელი და სამუშაო პირობები, გაართულა სერვისებთან წვდომა და შეაფერხა მათი ინტეგრაცია საქართველოში. ამავდროულად პანდემიამ წარმოაჩინა არაერთი სისტემური ხასიათის პრობლემა, რომელიც არსებობდა იმიგრაციის კუთხით. მაგალითად აღსანიშნავია ხარვეზები საქართველოს მიგრაციულ პოლიტიკაში, მათ შორის ვიზების გაცემის პოლიტიკაში. არსებობს პრეფერენციული მიდგომა მიგრანტების მიმართ - უფლებრივი სხვაობა იმიგრანტთა განსხვავებული ჯგუფებისადმი, კერძოდ აზიიდან ჩამოსული მიგრანტების მიმართ პოლიტიკა უფრო მკაცრია, ვიდრე განვითარებული ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტებისადმი (ევროპა, ამერიკა და ა.შ.). გამოიკვეთა ენობრივი ბარიერის პრობლემა - სერვისების ონლაინ სივრცეში გადასვლამ მიგრანტები ინფორმაციის გარეშე დატოვა.

შედარებითი ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბათუმში მცხოვრები იმიგრანტები ნაკლები შეზღუდვების გამო თავს უფრო კომფორტულად და მშვიდად გრძნობდნენ დედაქალაქში დასახლებულ შრომით მიგრანტებთან შედარებით. სწორედ ამ მიზეზით მრავალმა იმიგრანტმა (ფრილანსერები და ონლაინ მომუშავე მიგრანტები) შეიცვალა საცხოვრებელი ლოკაცია

და თბილისიდან ბათუმში გადავიდა საცხოვრებლად. თუმცა Covid-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა მძიმე კვალი დაამჩნია ორივე ქალაქს და ზოგადად მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს საქართველოში. საგრძნობლად შეიცვალა იმიგრაციის დინამიკაც. ჩაკეტილმა საზღვრებმა გაართულა შრომითი მიგრანტების გადაადგილება სამშობლოსა და მიმღებ ქვეყანაში. კოვიდთან საბრძოლველად გატარებულმა სამთავრობო ღონისძიებებმა კი არათუ შეამსუბუქა შრომითი მიგრანტების მდგომარეობა, არამედ ისინი დამატებითი გამოწვევების წინაშე დააყენა. დაწესებულმა აკრძალვებმა გამოიწვია გადაადგილების შეზღუდვა, თავშეყრის ადგილების დახურვა და ბევრი ისეთი მკაცრი ღონისძიების გატარება, რომელმაც უმუშევრობის ზრდა განაპირობა, აღნიშნული განსაკუთრებით შეეხო ისეთ სპეციფიკურ და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან დარგებს, როგორებიცაა: ტურიზმი, მომსახურების და ტრანსპორტის სფერო, რომელშიც მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილია დასაქმებული. პანდემიის პერიოდში წარმოებულმა სამთავრობო პოლიტიკამ იმიგრანტთა ინტეგრაციის მხრივ არასასურველი შედეგები მოიტანა. ამის მთავარი მიზეზები კი გამკაცრებული საიმიგრაციო პოლიტიკა, ხანგრძლივი შეზღუდვები და მიგრანტთა პრობლემების მიმართ არასათანადო ყურადღება გახდა. საქართველოს სამთავრობო პოლიტიკა ნაკლებად ითვალისწინებდა მიგრანტთა სპეციფიკურ საჭიროებებს კოვიდ-19-ის დროს.

საერთო ჯამში, კოვიდ-19-მა და ამის შედეგად გამკაცრებულმა საიმიგრაციო პოლიტიკამ შრომითი მიგრანტების ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა საქართველოში უარესობისკენ შეცვალა. პანდემიის წელიწადნახევარმა მნიშვნელოვნად დაწია უკან მიგრანტთა ინტეგრაციული პროცესები და არასაიმედო ვითარება შეუქმნა მათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ამერიკის ხმა (2021). საქართველოში კორონავირუსის გავრცელების მესამე ტალღა დაიწყო.

https://www.amerikiskhma.com/a/how-the-georgia-stacks-up-the-coronavirus-third-wave/5848992.html

ზოიძე, ა. (16.02.2021). პანდემიაზე რეაგირების ზოგიერთი გაკვეთილი.
https://forbes.ge/health/pandemiaze-reagirebis-zogierthi-gakvethili/

თბილისის მერია (2021). დედაქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდვები წესდება.

https://tbilisi.gov.ge/news/11867

კირკიტავა, ზ. (2020). კოვიდ-19-ის მეორე ტალღა და ახალი შეზღუდვები ევროპაში - ტაქტიკური გადახვევა.
https://www.geocase.ge/ka/publications/296/kovid-19-is-meore-talgha-da-akhali-shezghudvebi-evropashi-taqtikuri-ukandakheva

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (2019). საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო (2017). ლეგალური იმიგრაციის გზამკვლევი.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (2020). Covid-19-ის ინფექციის გამოწვევის მართვა - ხელისუფლების ქმედებების შეფასების ანგარიში.

საქართველოს მთავრობა (2020). კოვიდ 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. საქართველოს მთავრობა (2020). საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, საყოველთაო კარანტინი ცხადდება - 21:00 საათიდან 06:00 საათამდე ქვეყანაში გადაადგილება იკრძალება.

https://www.old.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=75772

საქართველოს მთავრობა (2020). დადგენილება ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ (#286). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4864421?publication=18

საქართველოს მთავრობა (2013). დადგენილება საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ (#59). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1874689.?publication=0

(საქართველოს მთავრობა (2015). დადგენილება იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა ვიზების ან/და ბინადრობის ნებართვების მქონე უცხოელებს შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შესაბამისი ვადითა და პირობებით (#256).

https://migration.commission.ge/files/visa_res_geo.pdf

საქართველოს პარლამენტი (2014). საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. ქუთაისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806?publication=12

საქართველოს პრეზიდენტი (2020). ბრძანება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ (#1).

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830390?publication=0

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2021). მთლიანი შიდა პროდუქტი.

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2019). მთლიანი შიდა პროდუქტი
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2021). მოსახლეობა.
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2021). მოსახლეობა.
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

საქართველოს მთავრობა (2020) განკარგულება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“, (N164).

Reginfo (2021). მესამე ტალღის პიკი გადავლილია - ამირან გამყრელიძე.
https://reginfo.ge/people/item/22436-mesame-talgis-piki-gadavlilia-%E2%80%93-amiran-gamybreliwe

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) (2021). უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში კოვიდპანდემიის პირობებში და მის მიღმა 2020-2021 (ივნისი). ანგარიში.
http://ewmi-prolog.org/images/files/3433migrants_rights_2020-2021-geo.pdf

Arango, J. (2004). Theories of International Migration. Aldershot.

Bauer, T. & Zimmermann, K. F. (1999). Assessment of possible migration pressure and its labor market impact following EU enlargement to Central and Eastern Europe. A study for the Department of Education and Employment.

Bellamy R. (2008). Citizenship: A Very Short Introduction. Oxford University Press.

Bendix R. (1964). Nation-building and Citizenship. Willy.

Berry J. W. (1980). Acculturation as varieties of adaptation. A. Padilla (Ed.). Acculturation: Theory, models and some new findings. Boulder: Westview Press. P. 9–25).

Bonin, Holier et al. (2008). Geographic Mobility in the European Union: Optimising its Economic and Social Benefits. IZA Research Report No. 19.

Civil.ge.(2020). პანდემიის ფონზე საქართველო კანონიერ ბინადრებს შემოსვლაზე უარს ეუბნება.

https://civil.ge/ka/archives/366981

Dijkstra L. (2022). European Structural and Investment Funds. The regional impact of Covid-19.

https://cohesiondata.ec.europa.eu/stories/s/The-regional-impact-of-COVID-19/24gj-n8r2/

Dustmann, C. & Glitz, A. (2005). Immigration, Jobs and Wages: Theory, Evidence. Centre for Research and Analysis of Migration, CEPR.

Entzinger, H., Biezeveld, R. (2003). Benchmarking in Immigrant Integration. European Research Centre on Migration and Ethnic Relations (ERCOMER), Faculty of Social Sciences. Erasmus University Rotterdam.

European commission (2020). COMMISSION RECOMMENDATION of 22.12.2020 on a coordinated approach to travel and transport in response to the SARS-COV-2 variant observed in the United Kingdom

https://ec.europa.eu/info/sites/default/files/commission-recommendation-coordinated-approach-travel-transport_en.pdf

Gallagher, A. (2018). We need to talk about integration after migration. Here are four ways we can improve it. World Economic Forum.

https://www.weforum.org/agenda/2018/10/we-need-to-talk-about-integration-after-migration/Gogsadze, G. et al. (2021). Tourism Industry of Georgia and the COVID-19 Pandemic: Regional Patterns (In production).

Heath, A. F; Schneider, S. L. (2021). Dimentions of Migrant Integration in Western Europe.

Heckmann, F. (2005). Integration and Integration Policies, European Forum for Migration Studies, Bamberg.

King, R., & Lulle, A. (2016). Research on Migration:Facing Realities and Maximising Opportunities. European Commission.

Mann, M. (1988). Ruling Class Strategies and Citizenship, Blackwell.

Mann, M. (1988). States, War and Capitalism. Blackwell.

Marshall, T. H. Citizenship and Social Class and other Essays. Cambridge: Cambridge University Press, 1950; Marshall T. H. Op. cit. P. 10–11.

Massey et al. (1993). Theories of International Migration: A Review and Appraisal. Population and Development Review , 431-466.

Massey, D. et al. (1998). Worlds in Motion. Understanding International Migration at the End of the Millennium. Clarendon Press.

Mansoor, A., & Quillin, B. (2006). Migration and Remittances. Eastern Europe and the Former Soviet Union. The World Bank.

Organization for Economic Cooperation and Development (2021). The Impact of Covid-19 in the Migration Area in EU and OECD Countries, introduction and Key findings.

Organization for Security and Co-operation in Europe (2012). The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. OSCE High Commissioner on National Minorities (HCNM).

Penninx, R. (2019). Problems of and solutions for the study of immigrant integration. Comparative Migration Studies.

Penninx, R., Garcés-Mascareñas B. (2016). The Concept of Integration as an Analytical Tool and as a Policy Concept. In: B. Garcés-Mascareñas, and R. Penninx (Eds.), Integration Processes and Policies in Europe, pp. 11–29. IMISCOE Research Series. Cham: Springer.

Penninx, R. (2003): Integration: The Role of Communities, Institutions, and the State. Migration Information Source. The Online Journal of the Migration Policy Institute. https://www.migrationpolicy.org/article/integration-role-communities-institutions-and-state#

National Center for Disease Control and Public Health (2021). A Year with COVID-19.

Rokkan S. (1961). Mass Suffrage, Secret Voting and Political Participation. European Journal of Sociology. P. 132–152.

Stark, O. (1991). The migration of labor. Basil Blackwell.

Taylor, J. E. (1986). Differential migration, networks, information and risk. JAI Press.

Thomas W. I., Znaniecki F. (1996). The Polish Peasant in Europe and America. University of Illinois Press. P. 127.

Todaro, M. P. (1969). A model of labor migration and urban unemployment in less-developed countries. American Economic Review 59.

Международная организация по миграции (2020). Доклад о миграции в мире 2020.

Организация обьедененных наций (1990). Международная конвенция о защите прав всех трудящихся-мигрантов и членов их семей.

Дмитриев, Т. (2014). Институт граждансва и современное общество: исторический опыт Запада. Фонд исторической перспективы.https://www.perspektivy.info/print.php?ID=296288.

Хассельбах К., Шаталин В., (2020). Как пандемия повлияла на миграцию и мигрантов:неутешительный доклад ОЭСР.
https://www.dw.com/ru/kak-pandemija-povlijala-na-migraciju-i-migrantov-doklad-ojesr/a-55318321

Sputnik (2021). Дефицита коек в клиниках больше нет – глава минздрава Грузии.

https://sputnik-georgia.ru/20210922/defitsita-koek-v-klinikakh-bolshe-net--glava-minzdrava-gruzii-259800260.html

---

[1] *ელფოსტა:tatiana.sitchinava344@sps.tsu.edu.ge*

[2] D1 კატეგორიის ვიზა - ასეთი ვიზა გაიცემა საქართველოში შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად ჩამოსულ პირებზე, კომპანიებისა და ფირმების წარმომადგენლებსა და კონსულტანტებზე, იმ უცხოელებზე, რომლებიც ჩამოდიან სამუშაოდ, გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, ასევე საქართველოს კანონის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად მომავალ პირებზე;

[3] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 დეკემბრის განკარგულება N 2460, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე